საბანკო მონიტორინგი A8 | ქართველი მისები B2 | გულახდილად B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 27 სექტემბერი, 2004 წელი. №229 (778)

ფასი 50 თეთრი

### პოლიტიკა

## საქართველოს გაერთიანების რეცეპტი პრეზიდენტმა შიდა ქართლში იპოვა



მიხეილ სააკაშვილმა ბავშვობა გაიხსენა და "ეშმაკის ბორბალს" მიაშურა.

A2

### ეკონომიკა

## რუსული პრესა ახალი ქართული ინიციატივის შესახებ



რუსული პრესის ინფორმაციით, ბენდუქიძე ახალი ინიციატივის წინააღმდეგია.

A4

### უცხოეთი

## უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში „პირველი სისხლი" დაიღვარა



A5

### საზოგადოება



## კრწანისის გმირთა სამაროვანი

300 არაგველის სახელობის ბაღში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ კრწანისის ომში დაღუპულ გმირთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა.

A6

### ამინდი

| | 27/9 | 28/9 |
|---|---|---|
| თბილისი | 31 | 30 |
| ქუთაისი | 36 | 36 |
| ბათუმი | 37 | 37 |
| სოხუმი | 33 | 33 |
| ფოთი | 36 | 37 |
| თელავი | 30 | 29 |
| ზუგდიდი | 36 | 36 |
| გორი | 28 | 28 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8400 |
| ევრო | 2.2580 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3087 |
| რუბლი | 0.0630 |

# კახეთი ღელავს



*სოფელ ჯუგაანის მოსახლეობამ რამდენჯერმე ავტომაგისტრალი გადაკეტა. თუ ამანაც არ გაჭრა, ქიზიყელები ყურძნით სავსე მანქანებით პარლამენტის წინ აპირებენ საპროტესტო აქციის მოწყობას.*

*კახელი კაცის აღელვება არც ისე ადვილია, მაგრამ უკვე მეორე დღეა, აქაური გლეხები ყურძნის მოსავლის რეალიზაციის პრობლემის გამო ცენტრალურ საგზაო მაგისტრალს კეტავენ და დახმარებას პრეზიდენტისგან ითხოვენ. გუშინ კი აქციამ პიკს მიაღწია - პროტესტის ნიშნად სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანის მოსახლეობამ რამდენიმე საათით თბილისი-ხირსას მაგისტრალი გადაკეტა. "იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი პრობლემა ამ ორ დღეში არ მოგვარდა, სააკაშვილს შევარდნაძის ბედი ეწევა," - იმუქრებიან ქიზიყელები.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

როგორც კახელები ამბობენ, მათი მოსავალი წყალში იყრება. იმის მიუხედავად, რომ რთველი უკვე ერთი კვირაა, დაიწყო, ქარხნები გლეხის ნაშრომს არ იბარებენ. უფრო მეტიც, ჯერჯერობით, კვლავ გაურკვეველია, თუ რას გადაუხდის მეწარმე კახელ კაცს მოყვანილ მოსავალში. სახელმწიფოს კი, როგორც ჩანს, გლეხის ბედი ნაკლებად ადარდებს. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ თანხა, რომელიც სახელმწიფომ ღვინის ქარხნებს ყურძნის შესყიდვის ორგანიზებისთვის გამოუყო, საწარმოებისთვის ჯერ კიდევ არ გაუნაწილებიათ, რადგან, როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში განგვიცხადეს, ტენდერი ისევ არ გამართულა. ამასობაში კი მოსავალი ფუჭდება.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ხანძარი და ქუთაისური დასკვნები

*შაბათს საღამოს, დაახლოებით შვიდ საათზე, ქუთაისის მერიისა და სამხარეო ადმინისტრაციის შენობის სახურავს ხანძარი მოედო. მეხანძრეები ცეცხლს თითქმის მთელი ღამე ებრძოდნენ. მართალია, შენობა დაწვას გადაურჩა, მაგრამ მთლიანად დაიწვა მერიის შენობის სახურავი და მნიშვნელოვნად დაზიანდა მეოთხე სართული. ამჟამად მერია მთლიანად პარალიზებულია. ერთადერთი ვერსია, რასაც ქუთაისის თვითმმართველობა ხანძრის მიზეზად განიხილავს, დივერსიაა. სამართალდამცავები ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებენ და ექსპერტების*

ბექა სისაური
*ქუთაისიდან*

როგორც თვითმხილველები აცხადებენ, ქუთაისის თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობის თავზე ცეცხლი მიმდებარე შენობების მაცხოვრებლებმა შენიშნეს და სახანძროს გამოუძახეს. მეხანძრეები კი მაშინ მოვიდნენ, როდესაც მერიის თავზე აალებული ეროვნული დროშა უკვე ცეცხლმა შთანთქა. თავის მხრივ, სავალალო დღეშია ქუთაისის სახანძრო სამსახურიც. შეიძლება ითქვას, რომ მერია დაწვას, მეხანძრეებმა პირადი თავდადების წყალობით გადაარჩინეს. ამჟამად ქუთაისის სახანძრო სამსახურს სამი ავტომანქანა გააჩნია. სამივე მათგანს სამუშაო რესურსი უკვე კარგა ხნის წინ ამოეწურა. უფრო მეტიც, მერიასთან მოსულმა სახანძრო მანქანებმა თავდაპირველად მხოლოდ იქვე მყოფი მოშიმშილეების შეშინება შეძლეს ("ეროვნულ ძალთა გაერთიანებისა" და "ნაციონალების" წევრები უკვე რამდენიმე დღეა მერიის კიბეებთან შიმშილობდნენ და მუმლაძის გადადგომას მოითხოვდნენ). მოშიმშილეებს ეგონათ, რომ სახანძრო მანქანები მათ დასარბევად იყო გამიზნული. თვითმხილველები აცხადებენ, რომ მოშიმშილეებს "ლეჟანკები" ოპერატიულად გადაუყირავებიათ და მათ უკან დროშებით მომარჯვებულნი "გამაგრებულან". როდესაც მეხანძრეებს წყლის შესხმა შენობის სახურავისთვის დაუწყიათ, გონზე მოსულან, აქციის ინვენტარი სასწრაფოდ აულაგებიათ და გაქცეულან. აქციის დაშლა იყო ერთადერთი დადებითი შედეგი, რაც ქუთაისის მერიისა და სამხარეო ადმინისტრაციისთვის აღნიშნულ ხანძარს მოჰყვა...

მანამდე კი, მეხანძრეებს ქალაქში წყლის ძებნა კარგა ხანს მოუწიათ - წყალს იღებდნენ ყველგან, სადაც რაიმე შადრევანი ან აუზი არსებობდა. ასე ვაი-ვაგლახით ნაშოვნი წყალი კი შენობის სახურავამდე ძლივს აღწევდა. წყლის ძირითადი ნაწილი, უვარგისი შლანგების გამო, მერიის ეზოში შადრევანივით იღვრებოდა. დაახლოებით ორ საათში იმერეთის რაიონის ყველა სახანძრო სამსახური ქუთაისის მერიის წინ იყო მობილიზებული, თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ რაიონების სახანძრო ავტომანქანებიც საკმაოდ სავალალო ტექნიკურ მდგომარეობაშია.

ხანძრის მიზეზების შესახებ პირველი კომენტარები შაბათს საღამოსვე გაკეთდა. თავდაპირველად ქუთაისის თვითმმართველობის წარმომადგენლები ხანძრის გაჩენას დივერსიას უკავშირებდნენ და ხელს იმ აქციის მონაწილეებისაკენ იშვერდნენ, რომლებიც მუმლაძის წინააღმდეგ შიმშილობდნენ. **"როდესაც მერიაში ხანძარი გაჩნდა, შუქიც არ იყო.**

გაგრძელება A7 გვერდზე

### მთავარი თემა

# ჯანმრთელობის ფასი საქართველოში

ზაზა ფაჩუაშვილი

*კითხვამ - რა ღირს ჯანდაცვა? - ყოფილი საბჭოთა მოქალაქეები სსრკ-ს დაშლის შემდეგ შეგვაწუხა, როცა ცენტრალიზებული მმართველობა და დაფინანსება მოიშალა და სამედიცინო დაწესებულებებში სალაროები გაჩნდა. შოკური მდგომარეობის გამწვავება იმპერიის ნანგრევებში მოყოლამაც განაპირობა, რასაც დღემდე ვერ დავაღწიეთ თავი. შესაბამისად, ჩვენი ჯანმრთელობისთვის აუცილებელი თანხის შოვნა და გადახდა ქრონიკულად გვიჭირს, სათანადო დახმარებას ვერც სახელმწიფო გვიწევს და დავდივართ ასე, დაავადებულები. როგორ წარმოიშვა სამედიცინო მომსახურების ფასები, რამდენს ხარჯავს სახელმწიფო და რამდენს ვხარჯავთ ჩვენ, ამ საკითხებთან დაკავშირებით ვესაუბრეთ ექსპერტს,*

**- ბატონო ამირან, როგორ წარმოიქმნა სამედიცინო მომსახურების ფასები?**

- ფასების რეგულირების ორი მექანიზმი არსებობდა. პირველი, სამედიცინო მომსახურების ე.წ. საბაზისო პაკეტს აფინანსებდა სახელმწიფო. ეს იყო სამინისტროს შესაბამისი სპეციალისტების მიერ შედგენილი ნორმატიული აქტი, რომელიც გადიოდა ექსპერტიზას ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებში და ქვეყნდებოდა მაცნეში.

გაგრძელება A3 გვერდზე

# სიმბოლური თანხის კატასტროფულობა

**სულხან ქემოკლიძე, ექიმთა და პაციენტთა უფლებების დაცვის ასოციაცია, ექიმი:**

- სამედიცინო დახმარების დაფინანსების სფერო აქამდე სრულიად არეული იყო. ამჟამად სამინისტრო ცდილობს მის დალაგებას და, დარწმუნებული ვარ, თუ ყველა მიმართულება სწორად იქნა განსაზღვრული, გამოყოფილი თანხა სავსებით საკმარისი იქნება ყველასთვის. არეულობას იმიტომ ვამბობ, რომ აქამდე სახელმწიფოში სამედიცინო დახმარება, ავადმყოფის ნაცვლად, ორიენტირებული იყო საავადმყოფოებზე. სწორედ ამიტომ შეიქმნა ყბადაღებული კორუფციის თემა სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით. მახსოვს, მეორე საავადმყოფოში სახელმწიფოს უარი უთხრეს სასწრაფო დახმარების უფასო მომსახურებაზე. რატომ? იმიტომ, რომ სახელმწიფოს მიერ გადმორიცხულ ფულს ვილაცები მოჰყვებოდნენ ხოლმე, ანუ უკან ითხოვდნენ ნაწილს. ჯერ ერთი, ეს ფინანსურად შეუძლებელია საავადმყოფოსთვის, მეორეც, ამაზე დიდი შეურაცხყოფა არაფერია.

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 საბანკო მონიტორინგი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 კვირა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# კახეთი ღელავს

პირველი გვერდიდან

**"ყურძენს მარცვალი აღარ შერჩა. რა ვუყო სამ ჰექტარ ვენახს, ანდა როგორ ვარჩინო ოჯახი ამ ზამთარს? თუ ასე გაგრძელდა, იძულებული გავხდები, 60 წლის მოხუცმა ქურდობა დავიწყო,"** - ამბობს ჯუგაანელი ზაქრო ათანელიშვილი, რომლისთვისაც ვაზი, როგორც კახელების უმრავლესობისთვის, ოჯახის საარსებო წყაროა.

უნდა აღინიშნოს, რომ კახეთში რთველი ქიზიყიდან იწყება. აქ გლეხკაცობას მოსავლის აღება სექტემბრის დასაწყისში უწევს, მაგრამ ამჯერად ყურძნის ფასების დაუდგენლობის და ღვინის ქარხნების უმოქმედობის გამო, რთველი ჯერ კიდევ არ დაწყებულა, რის გამოც კახელი კაცის აღელვებამ პიკს მიაღწია. გუშინ სოფელ ჯუგაანის მოსახლეობამ თბილისთან დამაკავშირებელი ცენტრალური მაგისტრალი გადაკეტა. ისინი ხელისუფლებას უმოქმედობაში ადანაშაულებენ და "ყურძნის რევოლუციით" იმუქრებიან. **"ეს არის ჩვენი რჩეული პრეზიდენტის საარჩევნო დანაპირები, რომ ოქროს რთველი იქნებაო და ქვეყანა აყვავდებაო... კაი რამე კი გვასწავლა სააკაშვილმა, ვარდებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თუ ყურადღებას არავინ მოგვაქცევს, ყურძნით სავსე მანქანებით რომ დავდგებით პარლამენტის წინ, ეს უდავოა,"** - ამბობენ ქიზიყელები.

საგულისხმოა, რომ გასულ წლებში საქართველოში წარმოებული ღვინის რეალიზება უმეტესწილად რუსეთში ხდებოდა და ინვესტორები კახეთში ამ ქვეყნიდან შემოდიოდნენ, ამჯერად კი საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა ქარხნებს სპონსორები დაუკარგა. საწარმოების ხელმძღვანელები რთველის დაგვიანებას სწორედ ამ პრობლემის მოუგვარებლობას აბრალებენ.

სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული საწარმო კი ამ უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი. სოფლის მეურნეობის სამინისტრო გლეხს ამ უახლოეს დღეებში მოსავლის რეალიზაციაში ახალი მეთოდით დაეხმარება - თბილისის ყველა რაიონში გაიხსნება ცენტრები, სადაც კახელ კაცს შეეძლება, მოწეული ყურძენი გაყიდოს. ამ დროისთვის კი კახეთში ყურძნის ფასი 35-38 თეთრამდე მერყეობს. სამინისტროში აცხადებენ, როგორც კი ტენდერი გაიმართება, სახელმწიფო კილოგრამზე ამ თანხას კიდევ 15 თეთრს დაუმატებს. **"როდისღა უნდა დაგვიდგინონ ფასები, როცა რთველი დამთავრდება?"** - კითხულობენ კახელი გლეხები.

# საქართველოს გაერთიანების რეცეპტი პრეზიდენტმა შიდა ქართლში იპოვა

ვასილ ბულეური

გორის კულტურისა და დასვენების პარკს, ან, როგორც გორელები ეძახიან, "ახალბაღს", აგვისტოში საუკუნე შეუსრულდა. 90-იან წლებში ბაღი თითქმის მთლიანად გაპარტახდა. დაიწვა საჭიდაო დარბაზის შენობა, მოიჭრა მრავალწლოვანი ხეები, განადგურდა სათამაშო ატრაქციონები.

ხელისუფლებამ ბაღის რეკონსტრუქცია და განახლება გადაწყვიტა და, რწმუნებულის ფონდიდან გამოყოფილი თანხებით, ბაღი მართლაც განახლდა, თუმცა, ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი მისი სახის დასაბრუნებლად. "ახალბაღის" საზეიმო გახსნა რამდენჯერმე გადაიდო, და აი, 26 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი გორს ეწვია იმ მიზნით, რომ განახლებული "ახალბაღის" გახსნას დასწრებოდა.

პეზიდენტის ჩამოსვლამდე რამდენიმე საათით ადრე ქალაქის ცენტრალური ქუჩები საგულდაგულოდ გადაიკეტა – ხელისუფლება პრეზიდენტის შესახვედრად ძველი მეთოდებით მოემზადა.



მიხეილ სააკაშვილმა ბავშვობა გაიხსენა და "ეშმაკის ბორბალს" მიაშურა.

ვასილ ბულეურის ფოტო

პრეზიდენტი დანიშნულ ვადაზე თითქმის ერთი საათის დაგვიანებით ჩამოვიდა ქართლის გულში. თავდაპირველად იგი საბრძოლო დიდების მუზეუმის წინ ახლახან გახსნილ, აფხაზეთში და სამაჩაბლოში დაღუპულთა მემორიალს ესტუმრა და გვირგვინით შეამკო. მემორიალთან მოსული, შავებში ჩაცმული ქალბატონი, რომელიც აფხაზეთის ომში უგზო-უკვლოდ დაკარგული ვასილ კილაძის დედა აღმოჩნდა, ამაოდ შეეცადა პრეზიდენტისთვის წერილი გადაეცა - დაცვამ იგი ახლოს არ მიუშვა. მიუხდავად დაცვის თავგამოდებისა, ერთმა ახალგაზრდა გოგომ მაინც მოახერხა პრეზიდენტისთვის ხელში კონვერტი მიეჩეჩებინა.

მემორიალიდან პრეზიდენტი "ახალბაღისკენ" გაეშურა, სადაც მას უამრავი ადამიანი ელოდა. **"ასეთი რაღაცები უნდა გავაკეთოთ ყველგან. ამიტომ ჩამოვიყვან ყველა გუბერნატორს, მე თვითონ დავპატიჟებ შიდა ქართლში, გორში, გამოცდილების გასაზიარებლად. თუ ყველა ასე ვიმუშავებთ, ის ენერგია, რაც აქ არის, ყველას თუ გადაედება, ჩვენი დამმარცხებელი არავინ იქნება. ეს არის საქართველოს გაერთიანების რეცეპტი,"** – აღნიშნა მან და მიხეილ ქარელი კვლავ მისაბაძი მაგალითად დაუსახა ყველას. პრეზიდენტმა კონცერტის დაწყებამდე აღარ დაიცადა და "ახალბაღში" გასეირნება გადაწყვიტა. დაცვა კი კვლავ მედგრად იგერიებდა ბავშვებს, რომლებიც "მიშა, მიშას" ძახილით მისდევდნენ პრეზიდენტს. მიხეილ სააკაშვილმა ბავშვობა გაიხსენა და "ეშმაკის ბორბალს" მიაშურა.

მიხეილ სააკაშვილმა არ უღალატა თავის ჩვევას, მოულოდნელი გადაწყვეტილებები მიეღო, და "ახალბაღიდან" ფეხით გაეშურა თეატრისკენ. თუმცა, პრეზიდენტმა მარშრუტი ისევ შეცვალა და იქვე მდებარე საცხოვრებელი სახლისკენ გაეშურა, სადაც ერთ-ერთი ოჯახი მოინახულა... თეატრმა პრეზიდენტს იაპონელი დრამატურგის ჯუჯი კინოსიტას "წეროს ფრთები" უჩვენა, მაგრამ პრემიერაზე ის მაყურებლებიც არ შეუშვეს, ვისაც ბილეთები ჰქონდა.

**"ეჰ, შევარდნაძე რომ იყო გორში ჩამოსული, მაშინაც ასე იყო,"** - გულდაწყვეტით ჩაილაპარაკა თეატრთან მდგომმა მოხუცმა კაცმა, რომელიც პრეზიდენტის სანახავად მოსულიყო, - **"ეტყობა, მარტო ხალხი იცვლება ამ თანამდებობებზე,"** - გულდაწყვეტით ამოიოხრა და სპექტაკლის დამთავრებას აღარ დაუცადა, ისე გატრიალდა.

# "ხუთი ვერცხლის" პრინციპი

ნინო ბერელიძე

*სამოცდაათმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ხელი მოაწერა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ეთიკის კოდექსს და "ხუთი ვერცხლის პრინციპს". დოკუმენტის შემუშავებაზე მუშაობა მიმდინარეობდა 2003 წლიდან.*

ეთიკური კოდექსიდან გამომდინარე, "ხუთი ვერცხლის პრინციპის" არსი შემდეგში მდგომარეობს: საზოგადოებრივი ორგანიზაცია წელიწადში ერთხელ გამოაქვეყნებს წლიურ ანგარიშს; რეგულარულად ჩატარდება მოწვეული აუდიტორიული შემოწმება; საზოგადოებრივი ორგანიზაცია იმართება კოლეგიალური ორგანოს მიერ, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში დამოუკიდებელი იქნება; აგრეთვე, ორგანიზაცია ვალდებულია, ჰქონდეს შინაგანაწესი; დაბოლოს, ინფორმაცია საზოგადოებრივი ორგანიზაციის მისიის, წევრების, მოღვაწეობისა და ფინანსების შესახებ ღიაა და ყველასათვის ხელმისაწვდომი. ამ სახის ინფორმაცია გავრცელდება არასამთავრობო სექტორის ხელთ არსებული ყველა საშუალებით.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** კოდორის ხეობის მოსახლეობას ზამთრის მარაგისთვის საჭირო ფქვილი 27 სექტემბრიდან დაურიგდება.

უკვე შეძენილია 170 ტონა, რომლის ტრანსპორტირებაც ზუგდიდის რაიონის დაბა ჯვარიდან 26 სექტემბერს დაიწყო.

როგორც ხეობაში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატში აცხადებენ, რამდენიმე დღის შემდეგ ზამთრის მარაგის დარიგების მეორე ეტაპი დაიწყება და კოდორელები კიდევ 170 ათას ტონა ფქვილს მიიღებენ.

კოდორის ხეობის მოსახლეობისთვის ფქვილის შესასყიდად ფინანსთა სამინისტრომ 360 ათასი ლარი გამოყო. ამავე თანხიდან დაიფარება ტრანსპორტირების ხარჯებიც.

შეგახსენებთ, რომ კოდორის ხეობაში 3.186 მოსახლეა. თითო სულს კი დაახლოებით 100 კილოგრამი ფქვილი ერგება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს მთავრობას პარლამენტის მიერ პირველი და მეორე მოსმენით მიღებული კანონპროექტების გაწვევის უფლება მიეცემა, თუ პარლამენტი საპროცედურო საკითხთა კომიტეტის მიერ "პარლამენტის რეგლამენტში" შესატანი ცვლილების პროექტს დაამტკიცებს.

კომიტეტის თავმჯდომარის ხათუნა გოგორიშვილის განცხადებით, რეგლამენტში არ არის ჩადებული მექანიზმი, რომელიც პირველი და მეორე მოსმენით მიღებული, მაგრამ აქტუალობადაკარგული კანონპროექტების მთავრობის მიერ უკან გაწვევის საშუალებას ასახავს. "კომიტეტი ცდილობს, აღნიშნული მექანიზმი შეიმუშაოს. მთავრობას ამგვარი კანონპროექტების გაწვევის უფლება ბიუროს თანხმობით მიენიჭება"- აღნიშნა მან.

ამასთან, ცვლილებათა პროექტში კომიტეტის წარმომადგენლები მოითხოვენ, რომ პარლამენტის საკანონმდებლო ინიციატივაზე დასკვნა საქართველოს მთავრობამაც მოამზადოს და კანონპროექტი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მხოლოდ ამის შემდეგ გავიდეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიციის" წევრი მამუკა კაციტაძე მმართველი პარტიის წარმომადგენლებს პარლამენტის რეგლამენტის დარღვევაში ადანაშაულებს. კაციტაძის განცხადებით, "ნაციონალური მოძრაობის" საპარლამენტო წარმომადგენლები რეგლამენტის იმ მუხლს არღვევენ, რომლის მიხედვით, ერთი პარტიის წევრებმა შეიძლება, მხოლოდ ერთი ფრაქცია შექმნან. "ამ საკითხის გასარკვევად მივმართე პარლამენტის კადრების განყოფილებას და მივიღე ოფიციალური პასუხი იმის შესახებ, რომ პოლიტიკური გაერთიანება "ნაციონალური მოძრაობის" წევრი 7 დეპუტატი არა "ნაციონალ-დემოკრატების", არამედ "მაჟორიტართა" ფრაქციაში ირიცხება, რომლის თავმჯდომარე ბესო ჯუღელია," - განმარტა მან. "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელმა საკითხის გარკვევის მიზნით დოკუმენტაცია საპროცედურო საკითხთა კომიტეტს გადასცა. **ინტერ-პრესი**

# აშშ-ს მხარდაჭერის კიდევ ერთი დადასტურება

*საქართველო მზად არის ერაყში საკუთარი სამხედრო კონტინგენტი გაზარდოს, ამერიკა კი აგრძელებს ქართული ჯარის გაძლიერებას - ეს არის საქართველოს თავდაცვის მინისტრის გიორგი ბარამიძის ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტის მთავარი შედეგი.*

*თავდაცვის მდივანთან დონალდ რამსფელდთან, ეროვნული უშიშროების მდივნის კონდოლიზა რაისის თანაშემწესთან, სახელმწიფო დეპარტამენტის გენერალური მდივნის კოლინ პაუელის ორ მოადგილესთან, სენატორებთან – მაკკეინთან და ლუგართან, ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის სარდალთან, გენერალ პოიტრესთან საუბარი სწორედ სამხედრო თანამშრომლობის საკითხებს დაეთმო.*

*თავად გიორგი ბარამიძე ვიზიტით კმაყოფილია და აცხადებს, რომ ყველა შეხვედრაზე საქართველოს მიმართ დიდი დაინტერესება და მხარდაჭერა იკვეთებოდა.*

*გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს თავდაცვის მინისტრთან.*

ნინო გომართელი

**- ბატონო გიორგი, ვიზიტის ფარგლებში რა თემებზე იყო საუბარი და საქართველოსთვის რომელი მნიშვნელოვანი საკითხები გადაწყდა დადებითად?**

- საქმე ეხება ქართული სამხედრო კონტინგენტის გაძლიერებას, წვრთნას, შეიარაღებას და მომზადებას. საუბარია სამჯერ უფრო მეტ დახმარებაზე, ვიდრე შეერთებულმა შტატებმა ადრე გამოუყო საქართველოს.

მნიშვნელოვანი იყო, ასევე, ერაყში ქართული სამხედრო კონტინგენტის გაზრდის ინიციატივა, რაც შტატებში მოიწონეს. მაგრამ, საბოლოო გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ არის, რადგან დაისვა საკითხი, რომ ქართველი სამხედროები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ შეერთებული შტატების მიერ, არა მარტო ლოჯისტიკური თვალსაზრისით, არამედ, ხელფასების თანხაც უნდა გამოიყოს ამერიკის ბიუჯეტიდან.

ამასთანავე, მე მქონდა შეხვედრები სენატორ მაკკეინთან და ლუგართან და ორივემ მხარდაჭერა აღგვითქვა. შედგა საუბარი სენატის წარმომადგენლებთან, სადაც გამოიკვეთა, რომ ქართული ჯარის მშენებლობის დიდ პროექტზე იქნება სენატის მხარდაჭერის წერილი ადმინისტრაციისადმი.

**- შეხვედრებისას თუ იყო საუბარი პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივაზე, საქართველოში რეზერვისტთა კორპუსის დამკვიდრების შესახებ?**

- ამ საკითხზე საუბარი მქონდა ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის სარდალთან, გენერალ დევიდ პოიტრესთან. მან მხარდაჭერა გამოხატა და გამოიკვეთა, რომ ისინი ყველაფრით დაგვეხმარებიან, რისი შესაძლებლობაც ექნებათ, ასევე სტრუქტურული რეორგანიზაციის შესახებ რჩევებით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

**- ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს ყოველ მხრივ დახმარების ხელს უწვდის?**

- ყველა შეხვედრა ძალიან პოზიტიური იყო და ვფიქრობ, უახლოესი ორი კვირის განმავლობაში ამერიკის პოზიცია საბოლოოდ ჩამოყალიბდება, თუ რა ფინანსურ და მატერიალურ დახმარებაზე მოდიან ისინი.

განსაზღვრული იყო, რომ 2005 წელს, სამხედრო კუთხით, მივიღებდით 12 მილიონ აშშ დოლარის ოდენობის დახმარებას. სენატმა დასვა საკითხი, რომ ეს დახმარება გაიზარდოს კიდევ სამი მილიონით. ანუ საქართველო მომავალ წელს 15 მილიონ აშშ დოლარს მიიღებს.

**- დაბოლოს, შეხვედრებისას თუ გქონდათ საუბარი საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე, რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანაზე და სამაჩაბლოსა და აფხაზეთში არსებულ ვითარებაზე?**

- ბუნებრივია, ყველა ამ ადამიანთან გვქონდა საუბარი რუსეთის ბაზების გაყვანის უალტერნატიობაზე, ამ პროცესის ჰარმონიულად და ცივილურად წარმართვის აუცილებლობაზე, რათა რუსეთთან დამატებითი პრობლემები არ შევქმნათ.

რა თქმა უნდა, საუბარი შეეხო კონფლიქტებს სამაჩაბლოსა და აფხაზეთში და ამ კუთხით ამერიკის როლის გააქტიურების აუცილებლობას.

bp

## ეკოლოგია და ეკონომიკა ჰარმონიაში

ჩვენ გვჯერა, რომ შევძლებთ მოვახდინოთ რეალური, ზომიერი და დადებითი ზემოქმედება მსოფლიოს ბიომრავალფეროვნებაზე. თუ თქვენ ანალოგიურად მოაზროვნე არასამთავრობო ან სამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენთ, გიწვევთ მონაწილეობა მიიღოთ საქართველოში "BP"-ს მესამე

**ბიომრავალფეროვნების კონკურსში**

კონკურსი, რომელიც საქართველოში ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული `BP"-ს სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს, ხელს უწყობს აღნიშნულ სფეროში ჩვენს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რათა განვახორციელოთ რიგი კონკრეტული ინიციატივები იმ ქვეყნებში და ტერიტორიებზე, სადაც ჩვენ ვმუშაობთ.

კონკურსზე წარმოდგენილი პროექტის ღირებულება უნდა შეადგენდეს თანხას 5,000-20,000 აშშ დოლარის ფარგლებში. საპროექტო წინადადებები უნდა:

- მოიტანონ გრძელ-ვადიანი სარგებლობა
- შეეძლოთ ორმაგი სარგებლობა მოიტანონ კლიმატის ცვლილებისა და ბიომრავალფეროვნებისათვის
- მოიცავდნენ მდგრად ინიციატივებს
- განსაზღვრონ მუშაობისა და წარმატების შეფასების საშუალებები
- ეფუძნებოდნენ ჯანსაღ მეცნიერებას
- იყვნენ რენტაბელური

შესაძლებელია კვლევითი ელემენტის შემცველი პროექტების განხილვაც, თუკი ეს ელემენტი დამატებით გრძელვადიან სარგებელს ითვალისწინებს

პროექტების წარდგენა შეუძლია როგორც ერთ ორგანიზაციას, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფს. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ აკრედიტებულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ორგანიზაციებს.

კონკურსზე წარდგენილი დოკუმენტი უნდა მოიცავდეს პროექტის დეტალურ აღწერას (მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებს, განხორციელების ვადებს, დეტალურ სამუშაო გეგმას, (ღონისძიებებს, ვადებს, პასუხისმგებელ პირებს და მათ CV-ს) და ბიუჯეტს.

პროექტის წარდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 25 ოქტომბერი. გამარჯვებული პროექტი გამოცხადდება 2004 წლის დეკემბრის ბოლოს.

საპროექტო წინადადებები უნდა გაუგზავნოთ მთავრობასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფს, მისამართზე:საბურთალოს ქ. 38, თბილისი; 0177 ტელ:(995 32) 59 34 00

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მობრძანდეთ შეხვედრაზე, რომელიც გაიმართება ა.წ. 4 ოქტომბერს სასტუმრო ქორთიარდ მარიოტის წვეულებათა დარბაზში 11 სთ-ზე.

## საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

სახაზინო ვალდებულებები 1,500,000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით, რომლის დაფარვა განხორციელდება 2005 წლის 28 სექტერმბერს, გამოტანილ იქნება N33 აუქციონზე, რომელიც შედგება 2004 წლის 29 სექტემბერს 10 საათზე.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით, არაუგვიანეს 2004 წლის 29 სექტემბრის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მომოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ " დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

**აუქციონის კომიტეტი**

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის განცხადება

უკანასკნელ პერიოდში მედიაში მომრავლდა სარეკლამო სახის განცხადებები თუ სტატიები, რომლებშიც ესა თუ ის ორგანიზაცია აბიტურიენტებს 2005 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მომზადებას სთავაზობს. სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანი დაუშვებელი მეთოდებით ცდილობს აბიტურიენტებისა და მათი მშობლების ყურადღების მიპყრობას.

ასე მაგალითად, სარეპეტიტორო სკოლა "სტს''ის წარმომადგენელთან ინტერვიუში ვკითხულობთ: "ჩვენთან მუშაობენ პედაგოგები, რომლებიც თავად მიიღებენ მონაწილეობას მისაღებ გამოცდებზე ტესტების შედგენაში".

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია საგამოცდო ტესტების მომზადებაზე და მისაღები გამოცდების ჩატარებაზე, სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ზემოთქმული სიცრუეა - ცენტრის არც ერთ თანამშრომელს არ აქვს უფლება და არ იღებს მონაწილეობას სარეპეტიტორო საქმიანობაში! მსგავსი განცხადებები კი მხოლოდ საზოგადოების მოტყუებას ისახავს მიზნად.

ოფიციალურ ინფორმაციას მომავალი წლის მისაღები გამოცდების შესახებ ფლობს მხოლოდ განათლების და მეცნიერების სამინისტრო და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

უახლოეს მომავალში გამოვა შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში მომზადებული ტესტურ კითხვათა და დავალებათა ნიმუშების კრებულები, რომლებიც დაეხმარება აბიტურიენტებს მოემზადონ ტესტირებისთვის. გაითვალისწინეთ, რომ კრებულების გარეკანზე გამოსახული იქნება შეფასების ცენტრის ლოგო, ყველა სხვა კრებულზე კი ცენტრი პასუხისმგებელი არ არის.

ამოქმედდება სატელეფონო ცხელი ხაზი, რომლის საშუალებითაც ნებისმიერი დაინტერესებეული პირი შეძლებს ამომწურავი ინფორმაციის მიღებას.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
ი.ჯავახიშვილის 60, 0102 თბილისი
ტელ: (+99532) 952588, ფაქსი: (+99532) 959825
ელ.ფოსტა: naec@naec.ge; ვებ-გვერდი: WWW.NAEC.GE

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ჯანმრთელობის ფასი საქართველოში

პირველი გვერდიდან

მეორე, შიდა სტანდარტები, რომელშიც შედიოდა სახელმწიფო პროგრამების გარეთ დარჩენილი ყველა ნოზოლოგია და რომელსაც სამედიცინო დაწესებულება თავად ადგენდა. შესაბამისად, სახელმწიფო ფასები ფიქსირებული და ყველასთვის ერთნაირი იყო, შიდა სტანდარტები კი - დიფერენცირებული. სახელმწიფო დაფინანსება უსახსრობის გამო საგრძნობლად შეიზღუდა, შიდა სტანდარტები კი საბაზრო ფასებს უახლოვდებოდა.

მოგვიანებით ისეთი სახელმწიფო პროგრამებიც გაჩნდა, რომელთა დაფინანსება რეალურ საბაზრო ფასს მიუახლოვდა. მაგალითად, ბავშვთა კარდიოქირურგიის პროგრამა, რომელსაც სახელმწიფო სრულად აფინანსებს; ასევე დიალიზის პროგრამა და სხვა.

ასე ვაპირებდით მეანობის სახელმწიფო პროგრამასთან დაკავშირებითაც. თბილისში მშობიარობა დაახლოებით 400 ლარი ღირს. ჩვენ ვიხდიდით 260 ლარს. წლეულს გვინდოდა, 300 ლარამდე ავსულიყავით, მომავალში 350-მდე და ასე მივახლოვებოდით რეალურ ფასს.

როდესაც გავხსენით ღუდუშაურის ეროვნული სამედიცინო ცენტრი, რეალური დაფინანსება დავიწყეთ. შესაბამისად, 7 თვის განმავლობაში "ღუდუშაურში" პრობლემა არ ყოფილა. იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფო მოთხოვნილების 70 პროცენტს აკმაყოფილებდა, უმწეო ავადმყოფები მაღალი ხარისხის სამედიცინო დახმარებას მაინც უფასოდ იღებდნენ და ექიმებსაც სოლიდური ანაზღაურება ჰქონდათ.

ამ სახელმწიფო პროგრამებში მონაწილე ექიმების თვიური ანაზღაურება თითქმის 1000 ლარს შეადგენდა. ამ გზით მივდიოდით და ვცდილობდით, რომ ეტაპობრივად მოგვეცვა რაც შეიძლება დიდი არეალი.

**- რატომ არის დაბალი სახელმწიფო ფასები?**

- მწირი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სახელმწიფო სტანდარტებში ჩადებული გვქონდა ის მედიკამენტები, რომლებიც შევიტანეთ ე.წ. სასიცოცხლოდ აუცილებელ წამალთა ნუსხაში (ასეთი სულ 250 ერთეული იყო) და არა ძვირად ღირებული მედიკამენტები. ამასთან, საგრძნობლად იკლო სტაციონარული ქსელის დატვირთვამ.

ვინაიდან სახელმწიფო სტანდარტში შედიოდა მხოლოდ სასიცოცხლოდ აუცილებელი წამლები, ხოლო შიდა სტანდარტში - ძვირად ღირებული, ამ ორ სტანდარტს შორის სხვაობა საგრძნობი იყო. ამიტომ სახელმწიფო სტანდარტით მოსარგებლე პაციენტებსაც ყოველთვის აძრობდნენ ტყავს.

მრავალი მცდელობა გვქონდა, დაგვეწყო ფასთა რეგულაცია, იყო ბევრი კამათი, მაგრამ მიზეზთა გამო ვერ მოხერხდა. სხვათა შორის, უცხოელი ექსპერტები ფასთა მკაცრ რეგულაციას არც გვირჩევდნენ. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დსთ-ს სხვა ქვეყნებთან შედარებით ჩვენთან მაინც სიიაფე იყო. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ ჯანდაცვა დღგ-სგან თავიდანვე გავათავისუფლეთ. მთელი რიგი სხვა შეღავათებიც დავაწესეთ, რის გამოც ფარმაცევტული ბაზარიც გაიაფდა. ბოლოს სამედიცინო დაწესებულებები ხუთი სახის გადასახადიდანაც გათავისუფლდნენ. ყოველივე ამან ფასების შემცირება გამოიწვია, მაგრამ ჩვენი გადახდისუუნარო მოქალაქეებისთვის სამედიცინო მომსახურება მაინც ძვირი დარჩა.



შეძლებს თუ არა სახელმწიფო ხარჯების გაზრდას, ეს მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვისას გახდება ცნობილი.

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

**- რა კრიტერიუმებით შეიქმნა ნოზოლოგიები სახელმწიფო პროგრამებისთვის?**

- იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა დაეფინანსებინა სახელმწიფოს, დიდი კამათი მიმდინარეობდა. ჩატარდა მრავალი კონფერენცია, უცხოელი ექსპერტების კონსულტაცია. გავიზიარეთ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილებაც და 1995 წელს შევქმენით 6 სახელმწიფო პროგრამა - ფტიზიატრიის, ფსიქიატრიის, ონკოლოგიის, დედათა და ბავშვთა დახმარების, ურგენტული დახმარების და დიალიზის. თავიდან ნოზოლოგიების რაოდენობა შეზღუდული იყო, მაგრამ ყოველწლიურად ვაფართოებდით.

1997 წლიდან შემოვიღეთ უმწეოთა დახმარების სახელმწიფო პროგრამა. ჩვენთვის ამოსავალი წერტილი ერთი იყო, სახელმწიფო დაფინანსების საბაზისო პაკეტში შეგვეტანა ის დაავადებები, რომლებიც ყველაზე უფრო ხშირად იწვევენ ადამიანის სიკვდილს. სამწუხაროდ, ისევ და ისევ მწირი ბიუჯეტის გამო, სახელმწიფო პროგრამით ხდებოდა ადამიანის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანა და არა მისი ხანგრძლივი მკურნალობა.

**- რამდენად მოიცავდა სახელმწიფო პროგრამები მოსახლეობას?**

- სახელმწიფო პროგრამები 2003 წლისთვის 30-მდე გაიზარდა და მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი მოიცვა (საყოველთაო იმუნიზაცია, უსაფრთხო სისხლის პროგრამა, პროფილაქტიკური პროგრამები და სხვა), მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, სახელმწიფო ფარავს მოსახლეობის მოთხოვნილების მხოლოდ 15-20 პროცენტს. დანარჩენი იფარებოდა შიდა სტანდარტით, ანუ პაციენტის ჯიბიდან.

**- რითი განისაზღვრება ჯანდაცვის პრიორიტეტულობა?**

- რამდენს ხარჯავს სახელმწიფო ჯანმრთელობის დაცვაზე მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში. ჩვენ ვხარჯავთ 1 პროცენტს, მაშინ როცა ჩვენნაირი ქვეყნებისთვის საშუალო მაჩვენებელი 3 პროცენტია; რამდენს ხარჯავს სახელმწიფო წლიური ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვაზე. ჩვენ ვხარჯავთ 6,6 პროცენტს, რაც აგრეთვე ძალიან დაბალია ჩვენი ტიპის ქვეყნებთან შედარებით. შედარებისთვის, ჩვენი მეზობელი რუსეთი ხარჯავს 12-14 პროცენტს.

**- რამდენი სჭირდება დღეს საქართველოში ჯანდაცვის სისტემას ნორმალური ფუნქციონირებისთვის?**

- ეს გათვლილი გვქონდა. მინიმალური თანხა იმისთვის, რომ ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები რეალურად დაფინანსდეს, საჭიროა 300 მილიონი ლარი. დღეს არის 100 მილიონი. იმის გათვალისწინებით, თუ როგორი ტემპით მიმდინარეობს დღეს შემოსავლების ლეგალიზაციის პროცესი, ვფიქრობ, ამის საშუალება ორ წელიწადში უნდა იყოს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

2000 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ჩაატარა სერიოზული კვლევა - "მაკროეკონომიკა და ჯანმრთელობა" - და დაადგინა, ჯანდაცვაში ინვესტირების გაზრდა ამცირებს სიღარიბის დონეს. ასევე დადგენილია, რომ ამისთვის ერთი სული მოსახლის ჯანმრთელობის დაცვაზე ქვეყანა უნდა ხარჯავდეს, სულ ცოტა, 35 დოლარს, ანუ 3-4-ჯერ მეტს ვიდრე ჩვენ. როგორც ვიცი, 2005 წლის ბიუჯეტი სერიოზულად იზრდება და თუ პოლიტიკური ნება იქნება, ჯანდაცვის სისტემისთვის 100 მილიონი ლარის დამატება შესაძლებელი გახდება. შემდეგ კიდევ 100 მილიონი უნდა დავუმატოთ და შედეგად 2006 წლისთვის მივიღებთ ჯანდაცვის ისეთ ბიუჯეტს, რომელიც ძალიან ბევრ პრობლემას მოუხსნის ჩვენს გაჭირვებულ მოსახლეობას.

**- რამდენს ხარჯავს დღეს საქართველოს მოქალაქე ჯანმრთელობაში?**

- ჯანდაცვის სფეროში რამდენიმე კვლევაა ჩატარებული, მათ შორის ჩვენი სამინისტროს მიერაც. ჩვენი სამინისტროს გათვლებით, საქართველოში ჯანმრთელობის დაცვაზე წელიწადში მთლიანად იხარჯება 350 მილიონი ლარი. აქედან დაახლოებით მეოთხედს იხდის სახელმწიფო, დანარჩენს - პაციენტი (სამწუხაროდ, ძალიან ცოტაა კერძო დაზღვევის წილი). ამასთან, ძალიან დაბალია ლეგალიზაციის მაჩვენებელი, ვინაიდან დაბალანაზღაურებადი ექიმი ცდილობს, სალაროს გვერდის ავლით მიიღოს პაციენტი.

**- რამდენად სტაბილური იყო სამედიცინო მომსახურების ფასი?**

- სახელმწიფო პროგრამებში დიდი ცვლილებები არ მომხდარა. რაც შეეხება შიდა სტანდარტებს, მაინცდამაინც არც აქ გაზრდილა ფასები დრამატულად. ასე რომ, შეიძლება ითქვას, სტაბილური იყო.

**- როგორი პროგნოზის გაკეთება შეიძლება მომავლისთვის?**

- ერთ-ერთი ჟურნალისთვის მოვამზადე სტატია - "ჯანმრთელობა, როგორც ეკონომიკური კატეგორია", - რომელშიც მოყვანილია ციფრები იმის შესახებ, თუ რა ძვირია ჯანმრთელობა. ყველასთვის ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ფაქტია, რომ მთელ მსოფლიოში ჯანმრთელობის დაცვაზე იხარჯება 4-ჯერ მეტი თანხა, ვიდრე შეიარაღებაზე. ჯანმრთელობა ძალიან ძვირი სიამოვნებაა. აშშ-ში ჯანდაცვის ბიუჯეტი ორჯერ მეტია, ვიდრე პენტაგონის ბიუჯეტი. მთლიანად ჯანმრთელობაზე კი ორჯერ მეტი თანხა იხარჯება, ვიდრე ბიუჯეტიდან და ეს ციფრი ყოველწლიურად იზრდება. შესაბამისად, გვინდა თუ არ გვინდა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ფასების ზრდას გამოიწვევს. ამიტომ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის აუცილებელია, რომ სახელმწიფომ შეძლოს ჯანდაცვის ხარჯების გაზრდა.

*ასეთია დღევანდელი მდგომარეობა. შეძლებს თუ არა სახელმწიფო ხარჯების გაზრდას, ეს მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვისას გახდება ცნობილი. აი, რას ამბობს ამასთან დაკავშირებით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი* ***ლადო ჭიპაშვილი:*** *"რევოლუციური ცვლილებები დაიწყება 2005 წლის ბიუჯეტიდან, როდესაც ჩვენ დავგეგმავთ იმდენი ლარის სამუშაოებს, რამდენიც ფული გვექნება. მართალია, ვალდებულებები ცოტათი შემცირდება, მაგრამ პაციენტებისთვის ეს სრულებითაც არ იქნება მტკივნეული, ვინაიდან ისინი ამ მომსახურებას მაინც ვერ იღებდნენ.*

*ერთადერთი, ვისთვისაც ეს მტკივნეული იქნება, მთავარი ექიმია, რომელიც ველარ მოიპარავს. თუმცა, ის მთავარი ექიმები, რომლებიც შემჩნეულნი იქნებიან მსგავს ქმედებებში, თანამდებობებიდან გათავისუფლდებიან".*

## სიმბოლური თანხის კატასტროფულობა

პირველი გვერდიდან

დღეს, როცა ხელისუფლებამ პაციენტზე აიღო ორიენტაცია, ვფიქრობთ, ყველაფერი დალაგდება. თუ ადრე სახელმწიფო ამბობდა, ამა თუ იმ პროგრამის მომსახურების მისაღებად მხოლოდ რომელიმე განსაზღვრულ საავადმყოფოს მიაკითხეთო და ამით აშკარა კორუფციულ მანქანას ქმნიდა, დღეს, მაგალითად, მშობიარეები მიიღებენ სახელმწიფოსგან ვაუჩერს და ამოირჩევენ იმ საავადმყოფოს, რომელიც მათ სურთ. ამით დაცულია როგორც პაციენტის უფლება არჩევანთან დაკავშირებით, ისე ექიმის. აღარ იქნება ისეთი ტენდენცია, რომ ერთი საავადმყოფო პაციენტებს ვერ აუდიოდეს, მეორე კი პაციენტების დეფიციტს განიცდიდეს და ამის გამო ავადმყოფს ყვლეფდეს, რაც აქამდე საკმაოდ ხშირად გვხვდებოდა. რა თქმა უნდა, მე არ ვამბობ, რომ ყველაფრის ერთბაშად დალაგება იოლია, მაგრამ მეც და ბევრ ჩემს კოლეგას ახალი მინისტრის იმედი გვაქვს.

**დოდო ნაფეტვარიძე, ექიმთა თავისუფალი პროფკავშირები "სოლიდარობა":**

- ასე გადაჭრით არ შეიძლება თქვა, რომ საქართველოში სამედიცინო მომსახურება ძალიან ძვირი ან იაფია. ევროპასთან და ამერიკასთან შედარებით სიმბოლურიც არის, მაგრამ საქართველო გაჭირვებული ქვეყანაა და ამიტომ ხალხისთვის ის თანხაც კატასტროფულია, რაც დღეს საქართველოშია. მედიცინის დანიშნულება ის არის, რომ პაციენტს და ხალხს მოემსახუროს. ჩვენი ძველი ხელისუფლება სულ ამბობდა, ერთადერთი და უმთავრესი ორიენტირი პაციენტიაო. როგორ ფიქრობთ, ზრუნავდა თუ არა ხელისუფლება პაციენტებზე, როცა ექიმს 29 თეთრს უხდიდა? რა თქმა უნდა, არა. ექიმის პირობების გაუმჯობესება ავტომატურად ნიშნავს პაციენტის მდგომარეობის გაუმჯობესებას და პირიქით - თუ არ არის დაცული ექიმი, ვერც პაციენტს ექნება დაცვის გარანტია. საიდან უნდა გადაიხადოს ექიმმა დენის, წყლის, წამლის, გადასხმისა და საოპერაციო საშუალებების ფული, რომელიც პაციენტის მკურნალობისთვს არის გამიზნული? ჯიბიდან ვერ ამოიღებს, სახელმწიფო კი, რასაც ბიუჯეტიდან ურიცხავს, იმის 90 პროცენტს უკან ართმევდა და ა.შ. ამიტომაც იყო, რომ ექიმების დიდი უმრავლესობა პაციენტებს ყვლეფდა. მე მათ არ ვამართლებ, მაგრამ მეორე მხარეზეც ხომ უნდა დავფიქრდეთ.

დღეს რაღაც იმედი გაჩნდა, სახელმწიფომ პროგრამებზე დაიწყო მუშაობა. ამასთან, ეს პროგრამები გაცილებით მაღალი დონით გამოირჩევა, ვიდრე გასულ წლებში ამუშავებული პროგრამები, რომლებიც, ძირითადად, კორუფციისა და საავადმყოფოების ხელმძღვანელების ჯიბის გასქელებისკენ იყო მიმართული. საუბარია იმაზეც, რომ, მაგალითად, ქირურგის ხელფასი 10-15 ლარიდან გაიზრდება ას ლარამდე, ანუ თითო ოპერაციიდან ამდენ თანხას მიიღებს. ასეთი ანაზღაურების პირობებში, რა თქმა უნდა, კორუფცია გამორიცხულია. ყოველდღიური შემოსავალი 29 თეთრიდან 4-5 ლარამდე გაიზრდება. ყოველ შემთხვევაში, სამინისტროში მსგავსი ინიციატივები უკვე გამოჩნდა. მიდგომები სწორედ ასე, სახელმწიფო პროგრამების კუთხით უნდა შეიცვალოს. სხვა გამოსავალი არ არის. საქართველოს მოსახლეობის 90 პროცენტი უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს და ათასების გაღება, უბრალოდ, არ შეუძლია, თორემ, მაგალითად, ევროპაში შუნტირება 30 ათასი დოლარი ღირს, ჩვენთან - 4000. შეძლებს ამას საქართველოს უბრალო მოქალაქე? რა თქმა უნდა, ვერა.

*ოთარ ქირია*

## ხარისხი და ფასი

*ქვეყანაში მედიცინის მუშაკის მომზადების დონე, კლინიკური აზროვნება და სამედიცინო სფეროს ინფრასტრუქტურა ერთიანობაში სამედიცინო მომსახურების ხარისხს განაპირობებს, თუმცა, საქართველოში ამ მიმართულებით ბალანსი დარღვეულია და თუ სამედიცინო პერსონალის მომზადების დონე მაღალია, სამაგიეროდ ინფრასტრუქტურაა მოუწესრიგებელი. ამიტომ როცა ინტერესდებიან იმის თაობაზე, თუ როგორია საქართველოში სამედიცინო მომსახურების ხარისხი, პასუხის გაცემა ჭირს, თუმცა, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე ვატო სურგულაძე ცალსახად და გარკვევით გვპასუხობს.*

ნონა მაისურაძე

ვატო სურგულაძე: "საქართველოში სამედიცინო მომსახურების ხარისხი დაბალია, რადგან არ შეიძლება ექიმთან მისულ ადამიანს მხოლოდ დანიშნულება მიეცეს და ამით დასრულდეს მკურნალობა. კონკრეტულ პოზიციას გამოვხატავ იმის თაობაზეც, რომ, როგორც პროფესიონალები, ჩვენი ექიმები საკმაოდ მაღალი დონით გამოირჩევიან. საქართველოს ექიმების შედარება ევროპის ქვეყნების სამედიცინო პერსონალთან არც შეიძლება, რადგან ჩვენი და მათი სამუშაო პირობები ძალიან განსხვავებულია. უცხოეთში (ვგულისხმობ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს) ყველაფერი კომპიუტერულ მომსახურებას ეყრდნობა, მათთვის გამზადებული და აწყობილია საქმე. ღრმად ვარ დარწმუნებული, ვერც ერთი ევროპელი ექიმი საქართველოს პირობებში ნაყოფიერად ვერ იმუშავებს. ჩვენ კი ამას უკვე შევეჩვიეთ.

ზოგადად ქვეყნის განვითარების დონეზე, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ფაქტია, საზოგადოებრივი საპირფარეშოები და საავადმყოფოები მეტყველებენ. აქ კომენტარი ზედმეტია. თუმცა, საქართველოშიც არის ბევრი ელიტური, კერძო კლინიკა, რომელიც მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი არ არის, მაგრამ სამედიცინო აღჭურვილობისა და მომსახურების მხრივ მაღალი დონისაა.

ცალკე თემაა მოსახლეობის გადახდისუუნარობის გამო წარმოქმნილი პრობლემები. პარადოქსულია ის გარემოება, რომ ხშირად პაციენტი ექიმის დანიშნულების გარეშე, მეზობლის რეკომენდაციით იღებს ამა თუ იმ პრეპარატს. ხშირად ასეთი დაუდევრობა ლეტალობით მთავრდება. მაგალითის მოყვანაც შემიძლია, თუ როგორ ისარგებლა მეზობლის რჩევით სახსრების ტკივილით გაწამებულმა ადამიანმა ჰორმონით, რომელიც არასწორი დოზით მიიღო და შედეგად იმუნოდეფიციტი ჩამოუყალიბდა. სამწუხაროდ, ეს ადამიანი დაიღუპა.

ევროპაში სიცხესაც კი არ გაიზომავენ ექიმის გარეშე. მიზეზი სავსებით გასაგებია, მათთვის პრიორიტეტი ჯანმრთელობაა. იქ ექიმები კი არა, პაციენტებიც კი არ მიდიან რისკზე. ჩვენთან კი ექიმების აზროვნების დონე და რისკის კოეფიციენტი საკმაოდ მაღალია. თბილისში კიდევ შესაძლებელია სიტუაციის გაკონტროლება, რეგიონებზე კი საუბარიც ჭირს. გურიის ერთ-ერთ რაიონში პაციენტს იშემიურ ტკივილებს ანალგინითა და სუპრასტინით უხსნიდნენ. როცა სხვა საშუალება არა აქვს, ჩვენი ექიმი ასეთ გამოსავალს მიმართავს. უცხოელი ამას ვერც მოიფიქრებს".

**- როგორია სამედიცინო მომსახურების ფასები, თუ ხარისხსაც გავითვალისწინებთ?**

- ფასები ჩვენთან ძალიან დაბალია, თუმცა, გააჩნია, ვისთვის. მოსახლეობისთვის, რომლის შემოსავალი სიმბოლურია, რა თქმა უნდა, მაღალია, მაგრამ ევროპულ სტანდარტს რომ შევადაროთ, საქართველოში ფასები კატასტროფულად დაბალია. სამედიცინო პერსონალის ხელფასზე აღარაფერს ვამბობ, საუბარია განფასებაზე. სახელმწიფო სტანდარტული ფასები 1997 წელს შემუშავდა, იგი დღემდე მოქმედებს. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მიზანმიმართულად მუშაობს ახალი სტანდარტების შემუშავებაზე, რომელიც აუცილებლად უნდა მიუახლოვდეს საბაზრო ფასებს. კერძო კლინიკებში საბაზრო ფასებია. სახელმწიფო დაწესებულება კი ოფიციალური სტანდარტით მუშაობს და პრობლემა ექნება მანამ, სანამ ეს სიტუაცია არ დარეგულირდება. იყო დრო (საბედნიეროდ, ახლა ეს სიტუაცია აღარ არის), როცა ბებიაქალისთვის ერთ მშობიარეზე სტანდარტით გათვალისწინებული იყო 30 თეთრი. საბაზრო ფასიც კი ევროპულ ფასებთან შედარებით საკმაოდ დაბალია. ამიტომ, შესაძლოა, ხარისხიც დაბალი მივიღოთ, მაგრამ საუბარია ინფრასტრუქტურის და არა, დაუშვათ, ქირურგიული ჩარევის ხარისხზე. პრობლემებია პოსტოპერაციული მოვლის, მუდმივი მეთვალყურეობის მიმართულებით. ამიტომაა აუცილებელი ოჯახის ექიმის ინსტიტუტის განვითარება.

**- როგორი ხარისხის სამედიცინო მომსახურებით ისარგებლებს გადახდისუუნარო პაციენტი?**

- პაციენტი არც ერთ შემთხვევაში განწირული არ არის და მას სახელმწიფო აუცილებელ დახმარებას აღმოუჩენს. შესაძლოა, მან სრულად ვერ დაუფინანსოს მკურნალობის ხარჯები, მაგრამ სასიცოცხლო პრობლემებს უყურადღებოდ არ დატოვებს.

მთავარი კი მაინც უკვე ცნობილი თეორიაა: ავადმყოფს წამალი კი არა, ექიმისა და ახლობლის ყურადღება აჯანსაღებს.

## ჩვენი სიამაყე

*თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბავშვთა კარდიოქირურგია საქართველოში უმაღლეს დონეზეა მოწესრიგებული. ამისთვის "ჯოენის ცენტრში" ყველა პირობაა შექმნილი თანამედროვე სტანდარტების დონეზე. ოპერაციებიც შესაბამისად კეთდება და, რაც ყველაზე სასიხარულოა, ამ ძვირად ღირებულ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მთლიანად სახელმწიფო აფინანსებს. პატარა პაციენტები აფხაზეთიდანაც მოჰყავთ. იმის შესახებ, თუ რამდენი უჯდება სახელმწიფოს გულით ავადმყოფი ბავშვების მომსახურება, გვესაუბრება ცენტრის ხელმძღვანელი, კარდიოქირურგი ირაკლი მეტრეველი.*

ირაკლი მეტრეველი: "ბავშვებში გულის თანდაყოლილი მანკების მკურნალობას 1997 წლიდან სახელმწიფო აფინანსებს. დღის წესრიგშია, რომ "ბავშვთა კარდიოქირურგიული დახმარების სახელმწიფო პროგრამას" გადაერქვას სახელი და ეწოდოს "გულის თანდაყოლილი მანკების ქირურგიის პროგრამა". მიზეზი ისაა, რომ სახელმწიფო პროგრამით იმკურნალონ არა მხოლოდ 15 წლამდე ბავშვებმა, არამედ 18 წლამდე მოზარდებმაც, როგორც ეს, ფაქტობრივად, დღეს ხდება.

სახელმწიფოს ინვაზიური მკურნალობა უჯდება დაახლოებით 2200-2500 ლარი.

რაც შეეხება ქირურგიას, აქ ფასები იყოფა იმის მიხედვით, თუ რა სახის ოპერაცია კეთდება, რა ასაკობრივ ჯგუფში. გამოყოფილია შემდეგი კატეგორიები: სისხლის ხელოვნური მიმოქცევის კომპლექსური ოპერაციები, რომელიც დაყოფილია 0-6 თვემდე (12 ათასი ლარი), 6-12 თვე (15 ათასი ლარი), 1-14 წელი (დაახლოებით ამდენივე, 15 ათასი ლარი).

სისხლის ხელოვნური მიმოქცევის არაკომპლექსური ოპერაციები ღირს დაახლოებით 13 ათასი ლარი.

პალიატიური (დამხმარე) ოპერაციები ღირს 6 ათასი ლარი".

**- ბატონო ირაკლი, რამდენად შეესაბამება ანაზღაურება თქვენთან შესრულებულ სამუშაოს?**

- სახარჯე მასალები და მედიკამენტები ისეთივე გვაქვს, როგორც ამერიკაში, ამიტომ ჩვენ ისევე ვაკეთებთ ოპერაციებს, როგორც იქ. მაგრამ ჩვენი ანაზღაურება ისეთია, როგორიც შეიძლება იყოს დღეს საქართველოში. თუ შევადარებთ, რაც ამერიკაში 50 ათასი დოლარი ღირს, ჩვენთან 15 ათასი ლარია.

*საქართველოში უმაღლეს დონეზე დგას მოზრდილთა კარდიოქირურგიაც, მაგრამ აქ სახელმწიფო მხოლოდ ნაწილობრივ მონაწილეობს. მაგალითისთვის გთავაზობთ "გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის" ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მონაცემთა ნაწილს.*

| 1 საწოლ/დღე | |
|---|---|
| ინტენსიური დაკვირვების განყოფილება | 91 ლ. |
| ინტენსიურ განყოფილებაში დამძიმებული პაციენტის მკურნალობა | 150 ლ. |
| თერაპიული დაკვირვების განყოფილება | 79,50 ლ |
| პალატა ლუქსი | 100 ლ. |
| დღის სტაციონარი | 70,50 ლ. |
| თავმდგმური | 10 ლ. |
| II კარდიოლოგიური განყოფილება | 80 ლ. |
| პალატა ლუქსი | 120 ლ. |
| **ანგიოგრაფია** | |
| კარონაროგრაფია* | 394 ლ. |
| სრული ღირებულება | 985 ლ. |
| ანგიოპლასტიკა * | 475,75 ლ. |
| სრული ღირებულება | 1879,00 ლ. |
| თავის ანგიოგრაფია | 652,50 ლ. |
| აორტოგრაფია (კიდურების) | 580,80 ლ. |
| კავა ფილტრის იმპლანტაცია | 1280,90 ლ. |
| კათეტერიზაცია მანომეტრით | 296,25 ლ. |
| კათეტერიზაცია და ანგიოკარდიოგრ. | 721,25 ლ. |
| **კარდიოქირურგია** | |
| კორონარული შუნტირება* | 2350,00 ლ. |
| სრული ღირებულება | 9400,00 ლ. |
| 1 სარქველის პროთეზირება | 12379,00 ლ. |
| 2 სარქველის პროთეზირება | 15828,00 ლ. |
| ფლებექტომია | 800,00 ლ. |
| მიტრალური სარქველის პლასტიკა | 8962,00 ლ. |
| ღია კომისუროტომია | 8929,00 ლ. |
| თორაკოტომია | 975,00 ლ. |
| ნეირორაფია | 549,00 ლ. |
| აღმავალი აორტის პროთეზირება კონდუიტით (ბენტალი) | 15207,00 ლ. |
| მიქსომა | 8962,00 ლ. |
| პერიკარდიუმის პუნქცია | 266,00 ლ. |
| პლევრის პუნქცია | 30,00 ლ. |
| მუცლის აორტის პროთეზირება ბიფურკაციული პროთეზით | 4558,00 ლ. |
| პერიფერიული არტერიების პროთეზირება-შუნტირება | 1545,00 ლ. |
| არტერიორაფია | 470,00 ლ. |
| ცენტრალური ჰემოდინამიკის მონიტორირება | 460,26 ლ. |
| პერიკარდექტომია | 1062,00 ლ. |
| **კონსულტაცია** | |
| პროფ. გ. ჩაფიძე | 25,00 ლ. |
| პროფ. ს. კაპანაძე | 20,00 ლ. |
| პროფ. ა. ალადაშვილი | 20,00 ლ. |
| მედ.მეც.კანდ. ლ. რიგვავა | 18,00 ლ. |
| მედ.მეც.კანდ. მ. ჯაფარიძე | 20,00 ლ. |
| მედ.მეც.კანდ. ნ. დოლიძე | 18,00 ლ. |
| მედ.მეც.კანდ. მ. მესხია | 18,00 ლ. |
| მედ.მეც.კანდ. დ. ნაფეტვარიძე | 18,00 ლ. |
| მედ.მეც.კანდ. მ. ჩიკვაიძე | 18,00 ლ. |
| მედ.მეც.კანდ. შ. ჯანჯღავა | 18,00 ლ. |
| ექიმი ლ. ტატიშვილი | 18,00 ლ. |
| ექიმი ნ. ხახუტაშვილი | 18,00 ლ. |
| ექიმი დ. ქუთათელაძე | 18,00 ლ. |
| ექიმი ნ. გოთონელია | 20,00 ლ. |
| ექიმი ლ. პაქსაშვილი | 18,00 ლ. |
| ექიმი ლ. მიქიაშვილი | 18,00 ლ. |
| ექიმი ა. ჩუხრუკიძე | 10,00 ლ. |
| მედ.მეც.კანდ. დ. ლომთაძე | 18,00 ლ. |
| ექიმი კ. ბეგაშვილი | 18,00 ლ. |
| ექიმი დ. იოსელიანი | 18,00 ლ. |
| ექიმი ბ. ჩიტაძე | 10,00 ლ. |

* - პროცედურა, რომელსაც ნაწილობრივ აფინანსებს მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა.

*მეოთხე დონის "ეროვნული სამედიცინო ცენტრი", მართლაც, იმისთვის აშენდა, რომ სახელმწიფოს უმაღლესი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველეყო ქვეყნის ყველაზე დაუცველი, უმწეო მოსახლეობა. 7 თვის განმავლობაში, სანამ ცენტრი თვეში 500 ათასი ლარის დაფინანსებას დროულად იღებდა, ეს, მართლაც, ასე იყო. შემდეგ პრობლემები გაჩნდა და დღემდე ასე გრძელდება. ცენტრის ახალი ხელმძღვანელობა კი რეორგანიზაციას აპირებს. გვესაუბრება ორთოპედიისა და ტრავმატოლოგიის სამსახურის უფროსი, დოცენტი მიხეილ ზიმლიცკი.*

მიხეილ ზიმლიცკი: "თავიდანვე იყო განსაზღვრული, რომ მომსახურების დონე ჩვენთან ევროპული სტანდარტების შესაბამისი ყოფილიყო. ძირითადად, გვაქვს ერთადგილიანი პალატები. თითოეულ ავადმყოფს ემსახურება მედპერსონალის მთელი ბრიგადა. ყველაფერი რადიოფიცირებულია და მკაცრად კონტროლდება".

**- რა ღირს ასეთი მომსახურება?**

- საწოლ-დღე ჩვენთან 101 ლარი ღირს. მოსახლეობისთვის ძალიან ძვირია, მაგრამ ასეთი დონის მომსახურებისთვის დაბალი. ამიტომ უნდა მოხდეს ფასების აუცილებელი რეგულირება და არა ხელოვნური შემცირება. ამაში თავისი წილი უნდა შეიტანოს სახელმწიფომ და ამოქმედდეს სადაზღვევო სისტემა, რათა პაციენტისთვის მკურნალობა მაქსიმალურად ხელმისაწვდომი გახდეს.

სიმძიმის მიხედვით ჩვენთან ოპერაციების ღირებულება მერყეობს 1500-დან 6000 ლარამდე. აქედან სახელფასო ფონდია მხოლოდ 20 პროცენტი. ასეთი მდგომარეობაა ჩვენთან, მაშინ როცა სხვაგან ბევრად უარესი პირობებია როგორც მომსახურების, ისე შემოსავლების მხრივ.

ბოლოს მინდა ვთქვა, რომ თუ სახელმწიფო ტრავმატოლოგიის პრევენციაში ახლავე არ ჩადებს საჭირო თანხას, რამდენიმე წლის შემდეგ სახელმწიფოს ეს ათჯერ მეტი დაუჯდება.

მოკლედ

## ექიმების ხელში ჩემი მტერი ჩავარდა

**ქეთევან წულაძე:** საჭიროების შემთხვევაში ვიგებთ ხოლმე ამა თუ იმ ოპერაციის ან მკურნალობის ფასს. სამწუხაროდ, თავდაპირველად ექიმის მიერ დასახელებული თანხა ყოველთვის არასაკმარისია. ისედაც გაჭირვებულ ხალხს ბევრი წვრილმანი ხარჯის გაღება უწევს, რაც საერთო ჯამში საკმაოდ სოლიდური თანხა გამოდის. მაგალითად, გასულ წელს ჩემს შვილს ფეხი მოტყდა და ტრავმატოლოგიურში მივიყვანეთ. მარტო ოპერაცია 2000 ლარი დაჯდა. შემდეგ მითხრეს, რომ მას გარკვეული პროგრამა შეეხო, თუმცა, ეს შეღავათი მაინც არ იყო საგრძნობი. ექიმების ხელში ჩემი მტერი ჩავარდა. ვალებს ახლაც ვიხდით.

**მარიამ საბაური:** უზნაძის ქუჩაზე მდებარე კარდიოლოგიურ დისპანსერში გამოკვლევა პირველ დღეებში საშუალოდ 50-45 ლარი ღირს. პალატა ერთი ღამე - 25 ლარი. ახლა, როგორც ამბობენ, ფასების დაკლებას აპირებენ 20-25 ლარამდე, თუმცა, ჯერ არ დაუკლიათ. საქართველოში ჯანმრთელობის დაზღვევა ხელმისაწვდომი არაა, რადგან სტაბილური სამსახური მოსახლეობის მხოლოდ 20 პროცენტს თუ აქვს. ამიტომ, მოულოდნელად კარდიოლოგიური დახმარება რომ დაგჭირდება, ფაქტობრივად, უმწეო მდგომარეობაში ხარ და გამოსავალი არ ჩანს.

**ილონა ხაჩატურიანი:** სექტემბრის დასაწყისში ნევროპათოლოგთან კონსულტაცია გავიარე რუსთავის №2 პოლიკლინიკაში. ხუთი ლარი გადავიხადე. ამ პოლიკლინიკაში, ძირითადად, ასეთი ფასებია. მამოლოგმა კერძო კლინიკაში კი ერთ ვიზიტში 15 ლარი გამომართვა.

**თიკო გამყრელიძე:** აგვისტოში, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, 900 ლარის ღირებულების ოპერაცია დამჭირდა. მართალია, ოპერაციის, მედიკამენტებისა და რეანიმაციის პალატაში ყოფნის ხარჯები იმ მძღოლმა დაფარა, რომელმაც მანქანა დამაჯახა, მაგრამ მე იქ ვიყავი და ყველაფერს ვხედავდი. სასწრაფო დახმარებამ ვაჟა-ფშაველას მესამე კვარტლიდან მეოთხე კვარტლამდე გადაყვანაში 20 ლარი მოგვთხოვა, მაშინ როცა ექსტრემალური და ავარიული შემთხვევების დროს სასწრაფო დახმარების გამოძახება, როგორც ვიცი, უფასოა.

**ლელა სოლომონაშვილი:** სამედიცინო დახმარების ღირებულება საშუალოდ 30-50 ლარი ღირს. მაგალითად, ყურის ექიმთან ვიზიტი, კერძოდ, საცობების გაწმენდა 11 ლარი ღირდა. დედაჩემს დასჭირდა სათვალის გამოსაწერად ექიმთან მისვლა. პირდაპირ ექიმთან შევიდა, რომელმაც 5 ლარი გადაახდევინა, კაბინეტიდან გამოსულმა კი გაარკვია, რომ რეგისტრატურაში სამი ლარი უნდა გადაეხადა.

**გულიკო სალარიძე, ექიმი-გინეკოლოგი:** სამედიცინო მომსახურება საქართველოში საკმაოდ ძვირია. პაციენტს, რომელსაც 21 ლარი პენსია აქვს, 5 ლარიც ეძვირება. ძვირია ულტრაბგერითი ფართო გამოკვლევა, ანალიზები. ენდოკრინული ჯირკვლის ჰორმონალურ გამოკვლევას საშინელი ფასი აქვს. შეღავათი მარტო ორსულებს და მშობიარეებს აქვთ. საქართველოში მრავლად იყო ანთებითი პროცესები, გადამდები ვენერიული დაავადებები. ახლა ის პაციენტები, რომლებიც რეგულარულად მოდიოდნენ, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ექიმთან ველარ მოდიან. ამიტომაც გახშირდა ასე ონკოლოგიური დაავადებები. დღევანდელ საქართველოში ექიმმა დაკარგა პაციენტი, პაციენტმა - ექიმი.

**თამარ ჩალაძე, ონკოლოგი:** ლაგოდეხის რაიონის ცენტრალურ პოლიკლინიკაში სამედიცინო მომსახურება ასეთია: კონსულტაცია სამი ლარი ღირს, მკურნალობა - 25-50 ლარი, ქიმიო-თერაპია - 25 ლარი. თუმცა. ქიმიო-თერაპიის დროს მედიკამენტების ღირებულება ძალიან დიდია. რაც შეეხება სამედიცინო დახმარების ნიხრის შემცირებას, ამაზე საუბარი არის, მაგრამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე ფასები არ შეცვლილა.

*თამარ ჯაჯანიძე*

## "უკბილოების ქვეყანა"

სხვებისაგან განსხვავებით, ფარმაცია და სტომატოლოგია ჯანდაცვის ის სფეროებია, რომლებიც მთლიანად საბაზრო ეკონომიკის კანონებით ხელმძღვანელობენ. სახელმწიფომ ეს ორი დარგი იმთავითვე დამოუკიდებლად გამოაცხადა და ცხადია, ამ სფეროებში სახელმწიფო პროგრამები არ მოქმედებენ. ამიტომ ყველაფერი პაციენტის გადასახდელია.

კარგი წამალი და კარგი კბილის ექიმის მომსახურება კი იმდენად ძვირი ღირს, რომ ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა ისევ შეჩვეული "საბჭოთა" მედიკამენტებითა და სტომატოლოგის ერთადერთი სერვისით - კბილის ამოღებით სარგებლობს.

კბილის ამოღება არასოდეს ყოფილა საქართველოში ასეთი პოპულარული. მკურნალობასთან შედარებით, ეს სიამოვნება შეუდარებლად იაფია. თუ კბილის დაპლომბვას ათეულობით ლარი სჭირდება, ამოღება 5 ლარადაცაა შესაძლებელი. ხოლო თუ კბილის ექიმი მეზობელ კორპუსში ცხოვრობს, გაჭირვების დროს ნისიადაც კი მოგემსახურებათ (კლიენტი ხომ უნდა ამდენ უმუშევარ სტომატოლოგს). თუ ასეთი ბედნიერება წილად არ გხვდათ და შავი დღისთვის არც ხუთი ლარი გაქვთ გადანახული, მაშინ არაყი, პიმპილი და მარილი მაინც უნდა გქონდეთ. ასეთია გზა უკბილოების ქვეყნისაკენ.

რაც შეეხება პოპულარულ საბჭოთა მედიკამენტებს, თანამედროვე ექსპერტების აზრით, მათ უმრავლესობას სრულიად უნიკალური თვისება აღმოაჩნდათ - არც გავნებს და არც მოგარჩენს (მაგალითად კოკარბოქსილაზა), დანარჩენი კი ხმარებაში საერთოდ არ უნდა იყოს, მაგრამ იაფია და ჩვენ მაინც ვყლაპავთ.

# რას მოიტანს შეზღუდვები უცხოური სახელმწიფო კომპანიების ინვესტიციებზე?

*საქართველოს ენერგეტიკის სექტორში ორი უმსხვილესი რუსული სახელმწიფო კომპანიის - "გაზპრომისა" და "რაო ეეს როსიის" შემოსვლის დაბლოკვის მიზნით, გასულ კვირას პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა მხარი დაუჭირა დეპუტატ გია ნაცვილიშვილის საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესში უცხოეთის სახელმწიფო კომპანიების მონაწილეობაზე შეზღუდვების დაწესებას ითვალისწინებს. პროექტი ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა სამინიტროებმა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა დაიწუნეს.*

სოფიკო ოხანაშვილი

პროექტის მიხედვით, უცხოურ სახელმწიფო კომპანიებს, რომლებშიც სახელწიფო აქციების 25 პროცენტზე მეტის მფლობელია, ეკრძალებათ საქართველოში მიმდინარე პრივატიზების პროცესში მონაწილეობა. კანონპროექტის ავტორებისა და მხარდამჭერების განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია თანაბარ პირობებში აღმოჩნდნენ სახელმწიფო ქონების მყიდველი როგორც საქართველოს, ისე უცხო ქვეყნის სახელმწიფო კომპანიები. **"ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით, ქართულ კომპანიებს, რომლებშიც სახელმწიფო აქციების 25 პროცენტზე მეტს ფლობს, ეკრძალებათ პრივატიზაციის პროცესში მონაწილეობა. რატომ უნდა ჰქონდეს რუსეთის სახელმწიფო კომპანიას საქართველოს სახელწმიფო კომპანიასთან შედარებით რაიმე პრივილეგია? ამ ცვლილების გატარებით, ჩვენ ქართულ და სხვა ქვეყნის სახელწმიფო კომპანიებს თანაბარ პირობებში ვაყენებთ,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბარში პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკო ლეკიშვილმა. მისივე მტკიცებით, აღნიშნული ცვლილების გატარება საქართველოს ეკონომიკაზე უარყოფითად არ იმოქმედებს და არც პოტენციურ ინვესტორებს დააფრთხობს.

კიდევ ერთი არგუმენტი, რითიც აღნიშნული კანონპროექტის მიღების აუცილებლობას ამტკიცებდნენ მისი მხარდამჭერები, ისაა, რომ სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში, მნიშვნელოვანია სტიმული მიეცეს კერძო კაპიტალის შემოსვლას და არა სახელმწიფო კაპიტალს, რომელსაც, ხშირ შემთხვევაში, შეიძლება პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდეს. კანონპროექტი კონკრეტულად "გაზპრომისა" და "რაო ეეს როსიის" ქართული ენერგეტიკის სფეროში შემოსვლის წინააღმდეგაა მიმართული, როგორც დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წევრები ირწმუნებიან, არის საშიშროება, რომ რუსები დაინტერესებულები არიან არა ობიექტებით, არამედ ცდილობენ, პოლიტიკური ზეგავლენა მოახდინონ საქართველოზე.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროში საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესში უცხოური სახელმწიფო კომპანიებისთვის შეზღუდვების დაწესებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. არგუმენტი მარტივია: მსოფლიოში ძალიან ბევრი მსხვილი კომპანია სახელწიფოა და შეზღუდვის დაწესების შემთხვევაში, საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ მსოფლიოში ცნობილი დიდი ნავთობკომპანიები, ავიაკომპანიები და კავშირგაბმულობის კომპანიები, რაც საქართველოს პოტენციური ინვესტორების რიცხვის მნიშვნელოვან შემცირებას გამოიწვევს. **"ამ რიცხვში კი მოხვდებიან არა მარტო იმ ქვეყნის კომპანიები, რაზეც არის გათვლილი ეს კანონპროექტი, არამედ უამრავი სხვა ქვეყნის კომპანიებიც. როცა პრაქტიკულად ბრძოლა მიდის თითოეული დოლარის მოსაზიდად, დაუშვებელია ასეთი ცვლილებების გატარება",** - "24 საათისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ ნათია თურნავამ. მისივე მტკიცებით, საფუძველს მოკლებულია ის არგუმენტიც, რომ სახელმწიფო კომპანია აუცილებლად პოლიტიკური მიზნებისა და საქართველოს ეკონომიკაში ნეგატიური ჩარევისათვის იქნება გამოყენებული. მისი მტკიცებით, სრულებით შესაძლებელია, რომ კერძო კაპიტალით შექმნილი კომპანია იყოს მოქცეული სახელმწიფო ზეგავლენის ქვეშ. ამიტომ თურნავას განმარტებით, სხვა სახელმწიფოს უხეში ჩარევისგან დაცვის ერთადერთი გარანტია არის არა მსგავსი შეზღუდვების დაწესება, არამედ ხელისუფლების სიმტკიცე და მზაობა, რომ აიძულონ საქართველოს ბაზარზე შემოსული ინვესტორი, პატივი სცეს ქართულ კანონმდებლობას და დაიცვას მის მიერ შეთავაზებული თამაშის წესები. თურნავამ სასაცილო უწოდა იმ არგუმენტს, რომ თითქოს ამ ცვლილებით ქართული და უცხოური სახელმწიფო კომპანიები თანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. **"პრივატიზაციის პროცესი საქართველოს სახელმწიფოს კუთვნილი ქონების განსახელმწიფოებას ნიშნავს, ცალი ხელით გავყიდოთ და მეორე ხელით ვიყიდოთ - ასეთი რამ რომ არ მოხდეს, ამიტომაა ეს შეზღუდვა შემოღებული. რაც შეეხება სხვა სახელმწიფოდან შემოსულ კაპიტალს, იქნება ეს მთლიანად კერძო თუ ნაწილობრივ სახელმწიფო, ეს ინვესტიციაა, კაპიტალი, რომელსაც ჩვენ მივესალმებით და რომელიც ჩვენს ქვეყანას სჭირდება. ამასთანავე, თუ უცხოურ სახელმწიფო კომპანიას საქართველოს რომელიმე ობიექტის ყიდვა უნდა, ის ამას ამ კანონპროექტის გვერდის ავლითაც მშვენივრად მოახერხებს",** - განაცხადა ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ.

ნაცვლიშვილის ინიციატივა უარყოფითად შეაფასა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმაც. კომიტეტის თავმჯდომარის რომან გოცირიძის განცხადებით, ეს ცვლილება კონკრეტულად "გაზპრომისა" და "რაო ეეს როსიის" ქართულ ენერგეტიკაში შემოსვლის წინააღმდეგ მიმართული აქციაა. **"პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ უარი ვუთხრათ, მაგალითად "გაზპრომს" ან "რაო ეეს როსიის", ან, თუნდაც, ფრანგულ კომპანია "რენოს" მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი სახელმწიფო კომპანიები არიან. "გაზპრომისა" და "რაო ეეს როსიის" შემოსვლის საკანონმდებლო დონეზე აკრძალვა პოლიტიკური საკითხია, რომელიც პრეზიდენტთან და მთავრობასთანაა შესათანხმებელი",** - განაცხადა გოცირიძემ.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის პოზიციას იზიარებენ "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციაშიც". **"ასეთი შეზღუდვები უაზრო, განუხორციელებელი და არაფრისმომცემია. რაც უფრო თავისუფალი იქნება კაპიტალის მოძრაობა, მით უკეთესია. რა არის ეს შეზღუდვა? რისგან ვიცავთ თავს? ავიკვიატეთ, თითქოს ვიღაცა ჩვენს ქონებას ყიდის. გვგონია რომ რაღაც გვაქვს. ათიოდე კომპანიის გარდა ყველა დასაშლელი და ჯართად გასატანია. უცხოური, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო კაპიტალის შემოდინება ქვეყანაში თანაბრად უნდა მოხდეს,"** - განაცხადა "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" პრეზიდენტმა თენგო შერგელაშვილმა.

საკითხი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე უახლოეს პერიოდში განიხილება.

# რუსული პრესა ახალი ქართული ინიციატივის შესახებ



*რუსული პრესის ინფორმაციით ბენდუქიძე ახალი ინიციატივის წინააღმდეგია.*

სოფიკო ოხანაშვილი

*უცხოური სახელმწიფო კომპანიებისთვის საქართველოში მიმდინარე პრივატიზების პროცესში გარკვეული შეზღუდვების დაწესების შესახებ კანონპროექტს პირველ რიგში რუსეთის საინფორმაციო საშუალებები გამოეხმაურნენ. რუსული პრესა მიიჩნევს, რომ ეს ინიციატივა "გაზპრომისა" და "რაო ეეს როსიის" საქართველოს ენერგოსექტორში შემოსვლის დაბლოკვას გულისხმობს.*

**"საქართველოში უცხოელი ინვესტორების უფლებების შეზღუდვა უნდათ"** - ინტერნეტ-გამოცემა "რისბიზნესკონსალტინგი" ასეთი სათაურით აქვეყნებს სტატიას ამ ახალ ქართულ ინიციატივაზე. ინტერნეტ-გამოცემა იუწყება, რომ საქართველოს პარლამენტი განიხილავს კანონპროექტს, რომლის თანახმადაც, უცხოურ კომპანიებს, რომლებშიც სახელმწიფო 25 პროცენტზე მეტის მფლობელია, არა აქვთ ქართული ობიექტების შესყიდვის უფლება. რუსი ჟურნალისტი წერს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო კანონპოექტის წინააღმდეგია, რადგან, **"ის დააფრთხობს უცხოელ ინვესტორებს, კერძოდ, რუსულ კომპანიებს, რომლებიც ქვეყნის ენერგეტიკულ სექტორში კაპიტალის დაბანდებაზე არიან ორიენტირებულები".** ეკონომიკური განვითარების სამინისტროში ამ კანონის ამოქმედება საეჭვოდ მიაჩნით. **"თუ უცხოურ, კერძოდ კი სახელმწიფო კომპანიას მოესურვება საქართველოს რომელიმე ობიექტის შესყიდვა, ის ამას ფიქტიური კომერციული სტრუქტურის მეშვეობით გააკეთებს".**

აქვე რუსული პრესა იხსენებს, რომ 23 სექტემბერს თბილისში დამთავრდა საქართველოს მთავრობასა და "გაზპრომის" დელეგაციას შორის მოლაპარაკებები. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ერთ-ერთი წყაროს ცნობით, "გაზპრომი" დაინტერესებულია ქვეყნის მაგისტრალური გაზსადენებისა და გაზგამანაწილებელი კომპანიების შესყიდვით. კონკრეტულად, საუბარია მაგისტრალურ გაზსადენზე, რომლის მეშვეობითაც სომხეთს რუსეთის ბუნებრივი გაზი საქართვლოს გავლით მიეწოდება, და თბილისის გაზგამანაწილებელ კომპანია "თბილგაზზე".

"რისბიზნესკონსალტინგი" იუწყება, რომ ამის გარდა, მიმდინარე წლის მაისის ბოლოს თბილისში ვიზიტის დროს გერმან გრეფმა განაცხადა, რომ რუსეთი **"დაინტერესებულია საქართველოს ენერგოგენერაციის ნებისმიერი ობიექტის შესყიდვით, ენგურჰესის ჩათვლით".**

"თუმცა, როგორც ივნისში ეკონომიკური განვითარების მინისტრმა კახა ბენდუქიძემ განაცხადა, ენგურჰესი (რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარეობს) არ გადავა კერძო ხელში. მან იქვე ისიც დაუმატა, რომ, აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული სხვა ობიექტებიც არ მოხვდებიან საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში. ბენდუქიძის განცხადებით, არ გაიყიდება მაგისტრალური გაზსადენები, რკინიგზა და საფოსტო მომსახურება. ყველაფერი დანარჩენი, პორტების ჩათვლით, უნდა გაიყიდოს. "საქართველომ სინდისის გარდა

## ექსპლოატაციის ტექნიკოსი

კომპანია "ბი-პი ექსპლორეიშენ (კასპიან სი) ლიმიტედ" (საქართველო) (BP Exploration (Caspian Sea) Ltd. Georgia) აცხადებს კონკურსს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ექპლოატაციის ნაწილში ექსპლოატაციის ტექნიკოსის ვაკანსიის დასაკავებლად.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**
შერჩეული კანდიდატები გაივლიან ოფიციალურ სწავლებას, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის სრულ ამოქმედებამდე, და ორიენტაციის პროგრამის გავლის შემდეგ ჩაირიცხებიან მილსადენის ექსპლოატაციის და ტექმომსახურების ჯგუფში, რომელიც უზრუნველყოფს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის და მისი ობიექტების გამართულ მუშაობას და მექანიკურ მთლიანობას.

ზოგადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები მდგომარეობს შემდეგში (არ შემოიფარგლება რა ამით):

- საექსპლოატაციო ცოდნის დემონსტრირება წინა სამუშაო გამოცდილებიდან და/ან სწავლებიდან
- საექსპლოატაციო ტექმომსახურების პროცედურების ცოდნის დემონსტრირება;
- მილსადენის ტექმომსახურების ყველა საჭირო პროცესის, პროცედურის და ვალდებულების სათანადოდ შესრულება;
- კომპანიის პოლიტიკის წესების დაცვა, ვალდებულებების და მენეჯმენტის სისტემის მოთხოვნების შესრულება;
- "ადამიანთა ჯანმრთელობის, უსაფრთხოების ტექნიკის და გარემოს დაცვის" (HSE) პრინციპებისადმი ერთგულების დემონსტრირება:
- უსაფრთხო და ეფექტური კონტროლის განხორციელება სამუშაო ობიექტზე;
- "მუშაობის ნებართვის" სისტემის და ობიექტის უსაფრთხოების ჟურნალის შევსების ყველა წესის შესრულება;
- HSE-ს და "წარმოების" სფეროებში პროცედურების დაცვის უზრუნველყოფა.
- პროფილაქტიკური მიდგომა პრობლემების მოგვარებისადმი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღებისათვის მზადყოფნა;
- მზადყოფნა მოშორებული ადგილმდებარეობის მქონე ობიექტებზე მუშაობისათვის;
- აუცილებელია ადამიანებთან ურთიერთობის დადებითი უნარის გამოვლენა ობიექტზე მომუშავე პერსონალთან და მილსადენის საოპერაციო ჯგუფის წევრებთან ურთიერთობისას;
- აუცილებელია გუნდური მუშაობის კარგი უნარი;
- სხვადასხვა მოწყობილობის ტექნიკური მახასიათებლების ათვისების უნარის გამოვლენა;
- აქტიური მონაწილეობა მილსადენის / ობიექტების გამართული მუშაობის მართვის პროცესში;
- სამუშაოს დაგეგმვის და დროის განაწილების ჩამოყალიბებული უნარი.

კონკრეტული მოვალეობები განისაზღვრება გამოსაცდელი პერიოდის გასვლის შემდეგ.

**მუშაობის გამოცდილება და განათლება:**
კანდიდატს უნდა გააჩნდეს:
- შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების დიპლომი ტექნიკური სპეციალობით (ინჟინერი);
- საწარმოო დაწესებულებებში, მაგ., ელექტრო, ხელსაწყოების, მექანიკურ საწარმოებში მუშაობის საკმარისი გამოცდილება;
- ინგლისურ ენაზე ზეპირი და წერითი მეტყველების უნარი და ენის უკეთ შესწავლის სურვილი;
- ავტომანქანის მართვის უფლება (მინიმუმ, "B" კატეგორია);
- კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **2004 წლის 11 ოქტომბერი, ორშაბათი, 18 საათი**.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
"ბი-პი საქართველო"
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

## ადმინისტრაციისა და ბინათმოწყობის ასისტენტი

კომპანია ირა" ბი-პის მენეჯმენტის ხელმძღვანელობით აცხადებს კონკურსს ადმინისტრაციისა და ბინთმოწყობის ასისტენტის ვაკანსიის დასაკავებლად.

ადმინისტრაციისა და ბინთმოწყობის ასისტენტი იქნება კომპანია ბიპის კონტრაქტორი და იმუშავებს ბიპის ხელმძღვანელობის ქვეშ.

მოვალეობები და პასუხისმგებლობები:
ზოგადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები მდგომარეობს შემდეგში (არ შემოიფარგლება რა ამით):
- ითანამშრომლოს ადმინისტრაციის განყოფილების თანამშრომლებთან რათა დროულად გამოასწოროს და თავიდან აიცილოს ელექტრული, მექანიკური პრობლემები ბიპის ოფისში, ბინებსა და საწყობებში.
- უხელმძღვენელოს სარემონტო და სამშენებლო სამუშაობს, რომლებსაც ბიპი აწარმოებს ოფისში, ბინებსა და საწყობებში
- იხელმძღვანელოს დღიური ინსტრუქტაჟით და მოახსენოს ხელმძღვანელობას ყოველდღიური სამუშაო შედეგები
- ყოველდღიურად აღრიცხოს კომპანიის თანამშრომელ-დამკვეთებისგან შემოსული თხოვნები და მოახსენოს მათი შესრულების ვადები და პროგრესი ხელმძღვანელობას
- დაიცვას ბიპის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტები და თვალყური ადევნოს კონტრაქტორების საქმიანობას, ბიპის ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტების შესრულების მიზნით
- უზრუნველყოს ბიპის ოფისში, ბინასა და საწყობებში ბიპის ჯანდაცვის და უსაფრთხოების წესების დაცვა.
- აწარმოოს ზუსტი ჩანაწერები შესრულებულ და შესასრულებელ ყველა სამუშაზე
- დაიცვას ბიპის უსაფრთხოების წესები მანქანის მართვის დროს და მისდიოს ბიპის მიერ დასახულ უსაფრთხოების სტანდარტებს
- შეინახოს ყველა კომუნიკაცია კლიენტებთან და ხელმძღვანელობასთან ბიპის საინფორმაციო სისტემის საშუალებით.

მუშაობის გამოცდილება და განათლება:
კანდიდატს უნდა გააჩნდეს:
- ადმინისტრაციის სფეროში საკმაო ხნის გამოცდილება
- შესაძლებლობა აკონტროლოს და უხელმძღვანელოს ბიპის კონტრაქტორებს, რათა დაცული იყოს კომპანიის ყველა წესი და პროცედურა
- გამოცდილება მექანიკურ, ელექტრულ და სამშენებლო სფეროში
- სასურველია უმაღლესი განათლება
- ინგლისური და რუსული ენის თავისუფალი ფლობა
- მინიმუმ 5 წლის გამოცდილება ადმინისტრაციის სფეროში
- პრიორიტეტი მიენიჭება ადმინისტრაციის/ბინათმოწყობის სფეროშია ნამუშევარ კანდიდატებს
- კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევები.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2004 წლის 11 ოქტომბერი, ორშაბათი, 18 საათი.

ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

**კადრების განყოფილება**
**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"**
**ბი-პი საქართველო"**
**საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38**

## სააქციო საზოგადოებების დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების საყურადღებოდ!

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი აწყობს ერთდღიან სემინარს **"ფინანსური ანალიზის საფუძვლები"**.

სემინარი გაიმართება თბილისში, ა.წ. 30 სექტემბერს 10:00-ზე სასტუმრო "მარიოტ ქორთიარდში" (თავისუფლების მოედანი N4).

სემინარი განკუთვნილია მხოლოდ სააქციო საზოგადოებების დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის. სემინარი არაა განკუთვნილი ფინანსური მენეჯერებისა და ფინანსური განათლების მქონე ხელმძღვანელი პირებისათვის.

სემინარზე დასწრება უფასოა. დასწრებისათვის აუცილებელია წინასწარი რეგისტრაცია. რეგისტრაციის მიზნით, გთხოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონის ნომრებზე: 91 30 96, 91 26 89, 91 29 58. ადგილები შეზღუდულია.

## მანქანა-დანადგარების მწარმოებელი კომპანიების და მათი წარმომადგენლობების საყურადღებოდ!

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი ახორციელებს ტექნიკურ დახმარებას **ლიზინგის** სფეროში, რომლის ფარგლებშიც ხდება **საქართველოში არსებული მანქანა-დანადგარების მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლობების მონაცემთა ბაზის შედგენა**.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის ლიზინგის კომპონენტი მუშაობს **ლიზინგის ბაზრის განვითარებაზე და რეკომენდაციებს უწევს სალიზინგო კომპანიებსა და მათ კლიენტებს მანქანა-დანადგარების ლიზინგით შეძენასთან დაკავშირებით**.

ამ მიზნით მანქანა-დანადგარების მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლობებს ვთხოვთ, მოგვაწოდონ ინფორმაცია საკუთარი კომპანიის შესახებ (კომპანიის დასახელება, მისამართი, ტელეფონის ნომრები, საკონტაქტო პირი). ჩვენი კოორდინატებია: მსოფლიო ბანკი, თბილისი 0179, ჭავჭავაძის გამზირი, I ჩიხი, 5. ტელ.: 91 26 89, 91 29 58, 91 30 96. ფაქსი: 91 34 80. ელ ფოსტა: rjaparidze@ifc.org

# უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში „პირველი სისხლი" დაიღვარა

ნიკა თარაშვილი

*უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების მშვიდად ჩატარებას არავინ მოელოდა. მიზეზი თავიდანვე ნათელი იყო - ოქტომბრის ბოლოს დანიშნული უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნები ქვეყნის 48 მილიონიან მოსახლეობას მძიმე არჩევანის წინაშე აყენებს, რომელმაც, არც მეტი, არც ნაკლები, უკრაინის მომავალი უნდა გადაწყვიტოს. კერძოდ, თუ რა გზას აირჩევს ქვეყანა: დასავლეთთან დაახლოების თუ რუსეთთან კავშირების გამყარების. ისედაც დაძაბულმა არჩევნებმა კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა მას შემდეგ შეიძინა, რაც რუსეთში დემოკრატიის შეზღუდვისკენ მისწრაფება აშკარად შესამჩნევი გახდა. დასავლურ პრესაში უმალვე გაჩნდა კითხვა – საქართველოს შემდეგ მოხდება თუ არა კიდევ ერთი "ვარდების რევოლუცია" პოსტსაბჭოთა სივრცეში და შესაძლებელი გახდება თუ არა ამით დემოკრატიული ინსტიტუტების შენარჩუნება?*




*"მშვიდობისა და თანხმობის ქვეყანა" - აირჩიეთ იუშენკო, რადგან ვიქტორ იანუკოვიჩი საშიში ბოროტმოქმედია.*

პროგნოზები არაერთგვაროვანი კეთდება. ყაზახეთსა და რუსეთში ბოლო დროს ჩატარებული "ულიმღამო" არჩევნებისაგან განსხვავებით, გაცხოველებული წინასაარჩევნო კამპანია უკრაინაში იმედს იძლევა, რომ აქაური ამომრჩევლები თავიანთ უფლებებს უფრო მეტად დაიცავენ. თუმცა, მათ ამისთვის უკრაინული მასმედიის მხარდაჭერის იმედი არ უნდა ჰქონდეთ. მართალია, ოპოზიციის ბანაკის ლიდერი, ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვიქტორ იუშენკო დაახლოებით 5-8 პროცენტით უსწრებს თავის უშუალო კონკურენტ ვიქტორ იანუკოვიჩს, მაგრამ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა მის გამარჯვებაში (მით უმეტეს იმგვარი არჩევნების შედეგად, როგორიც ტრადიციულად ტარდება დსთ-ს სივრცეში) ბევრი დამკვირვებელი დააეჭვა.

ხელისუფლების შენარჩუნებისთვის გააფთრებული ბრძოლისას კუჩმა და მისი თანამოაზრეები ბევრს სწავლობენ მოსკოვისგან (მათ შორის პირდაპირი გაგებითაც – უკრაინაში მრავლადაა რუსი "პიარ-მენეჯერი", რომელიც სახელისუფლებო კანდიდატს კონსულტაციებს უწევს). უკრაინის შვიდივე სახელმწიფო ტელეარხი ღიად გამოდის პრეზიდენტობის ყველაზე რეალური კანდიდატის, იუშენკოს წინააღმდეგ.

ბოლო დროს დაძაბულობამ პიკს მიაღწია. იუშენკოს წინასაარჩევნო შტაბის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ მათ ლიდერზე ერთი თვის მანძილზე ორი თავდახმა განხორციელდა. ორი კვირის წინ იუშენკოს ქიმიური მოწამვლისგან ავსტრიაში მკურნალობაც კი მოუწია. ხოლო ივლისში მისი მანქანის გზიდან გადაგდებას სატვირთო ცდილობდა.

იუშენკოს მოწინააღმდეგეები ირონიულად შენიშნავდნენ, რომ "სახალხო კანდიდატი" გრიპის სამკურნალოდ (პოლიტიკოსის პრეს-სამსახურის თავდაპირველ განცხადებაში სწორედ ეს ავადმყოფობა ფიგურირებდა) უკრაინის მოსახლეობის უმრავლესობისთვის მიუწვდომელ ავსტრიულ კლინიკაში გაემგზავრა. მართლაცდა, თავიდან უკრაინელმა ექიმებმა იუშენკოს ასეთი არასერიოზული დიაგნოზი დაუსვეს, მაგრამ მისი მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. ძლიერი თავის ტკივილები მკერდის და მუცლის არეში ტკივილმა შეცვალა, შემდეგ კი სახის ნერვის პარალიზება დაემართა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ავადმყოფის ავსტრიაში გადაყვანამ არა მარტო მისი სიცოცხლე გადაარჩინა, არამედ გარანტიც იყო პოლიტიკოსისთვის, რომ ავადმყოფობასთან დაკავშირებული ისტორია წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილს არ წარმოადგენდა. ავსტრიელმა ექიმებმა მაშინვე დააფიქსირეს ატიპური სიმპტომები. მიუხედავად იმისა, რომ 24 საათის შემდეგ გაკეთებულმა სისხლის ანალიზებმა ზუსტი შედეგი არ გამოიღო, თუ რამ გამოიწვია დაავადება, აშკარა გახდა, რომ იუშენკოს ორგანიზმში უცხო ქიმიური ნივთიერება იყო - ანუ იგი მოწამლეს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით უკრაინის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა, თუმცა საეჭვოა, რომ წინასაარჩევნო ციებ-ცხელების დროს სიმართლე გაირკვეს.

როგორც უკრაინული მედია პარასკევს იუწყებოდა თავდასხმა მოხდა სახელისუფლებო კანდიდატზეც. პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელთა განცხადებით "ბეწვზე გადარჩენილი" იანუკოვიჩი თავდასხმაში იუშენკოს ადანაშაულებს, თუმცა თავად იუშენკოს გუნდი კატეგორიულად უარყოფს ამგვარ ფაქტს. დანამდვილებით ვერავინ იტყვის, რა მოხდა პარასკევს ივანო-ფრანკოვსკში: იუშენკოს მოწამვლის გამო შურისძიება თუ "პიარ-კამპანიის" ნაწილი. თუმცა, ფაქტია, რომ ვიქტორ იანუკოვიჩს თავში ლითონის მძიმე საგანიც მოხვდა, რის შედეგადაც უახლოესი საავადმყოფოს რეანიმაციაში გადაიყვანეს. სამართალდამცავმა ორგანოებმა გუშინვე აუწყეს საზოგადოებას ხულიგნის დაკავების შესახებ.

მიუხედავად უკვე შემდგარი "სისხლიანი ბატალიებისა", უკრაინაში თითქმის დარწმუნებულნი არიან, რომ, როგორც 1999 წელს, წინა საპრეზიდენტო არჩევნებში, ხელისუფლება ახლაც გაყალბებას შეეცდება. სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, უკრაინის მოსახლეობის მხოლოდ 12,5 პროცენტს მიაჩნია, რომ არჩევნების სამართლიანად ჩატარება შესაძლებელი იქნება. 1994 წლის შემდეგ უკრაინაში დემოკრატიული ტრადიციები შესუსტდა, თუმცა სავსებით არ გამქრალა. ანუ კიდევ არსებობს შანსი, რომ ახლანდელი არჩევნები კარდინალური შემობრუნების მომენტი გახდეს.

აქ რუსეთს, აშშ-სა და ევროპას განსხვავებული ინტერესები აქვთ. პუტინმა გამოცდილებით იცის, რომ დემოკრატიული მეზობლები ბუნებრივად ილტვიან დასავლეთისკენ. ამისთვის თუნდაც საქართველოს მაგალითი გამოდგება. აღსანიშნავია, რომ კუჩმას მმართველობის პირველ წლებშიც ქვეყანა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ ესწრაფვოდა, მანამ სანამ უკრაინა კორუფციის ჭაობში არ ჩაეფლო და თავად პრეზიდენტი სხვადასხვა სკანდალებში არ გაეხვია. საგულისხმოა, რომ იმ დროს, როცა დასავლეთი კუჩმას რეჟიმს აკრიტიკებდა, რუსეთის ხელისუფლება ყოველთვის მხარს უჭერდა მას, ხოლო ამ ზაფხულში უკვე აშკარად დაუჭირა მხარი ლეონიდ კუჩმას მიერ მემკვიდრედ გამოცხადებულ პრემიერ-მინისტრ ვიქტორ იანუკოვიჩს.

პარალელურად, დასავლურ პრესაშიც ჩნდება მოწოდებები უფრო აქტიური მოქმედებისაკენ. დასავლელი ექსპერტები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ევროპას და ამერიკას, უბრალოდ, უფლება არა აქვს, გამოკვეთილი პოზიცია არ დაიკავოს.

ყველა ფაქტი ცხადყოფს, რომ იუშენკოსა და იანუკოვიჩის დაპირისპირებას პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად აღიქვამენ – ანალიტიკოსთა აზრით, უკრაინის არჩევნები გადაწყვეტს, თუ რომელი გზა გაიმარჯვებს რუსეთის შემდეგ ყველაზე დიდ ყოფილ საბჭოურ ქვეყანაში – მართვის რომელ მოდელს მიენიჭება უპირატესობა - პუტინისას თუ და-

# კრემლის მიზანმიმართული დაუდევრობა

*მიუხედავად იმისა, რომ ტერაქტების შემდეგ სიჩუმე უკვე ტრადიციად ექცათ რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების მეთაურებს, კიდევ მოიძებნებიან სამხედრო ჩინოვნიკები, რომლებიც დუმილს სიმართლის თქმას ამჯობინებენ. რუსულ გაზეთ "იზვესტიაში" გამოქვეყნდა რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის ჩრდილო კავკასიის ოლქის შეიარაღებული ძალების მეთაურის პირველი მოადგილის, გენერალ-ლეიტენანტ ევგენი აბრაშინის სტატია. იგი მრავალჯერ იყო წარგზავნილი მივლინებით ჩეჩნეთის რესპუბლიკაში და მეთაურობდა შინაგანი ჯარის ნაწილს. "იზვესტია"-სთვის გაგზავნილ წერილში გენერალ-ლეიტენანტი ღიად საუბრობს რეალურ მიზეზებზე, რასაც რუსეთის სამხრეთ ნაწილში გახშირებული ტერაქტები შეეძლო გამოეწვია. ეს ერთგვარი აღიარებაა რუსი გენერლის მხრიდან, რომელიც აცხადებს, რომ ტერორისტთა დაუსჯელი ქმედებისათვის პირობებს თვითონ კრემლი*

სტატიაში მიმოხილულია 21-22 ივნისს საგზაო საგუშაგოებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროზე განხორციელებული თავდასხმა, რომელიც ბოევიკთა მიერ დიდი რაოდენობით სამხედრო ნადავლის წაღებით დასრულდა. **იმ დროს მიიჩნეოდა, რომ შეიარაღებული პირები ინგუშეთში საქართველოდან გადადიოდნენ, თუმცა, რუს გენერალს ამგვარი შეფასება მართებულად არ მიაჩნია.** იგი უშვებს, რომ საქართველოდან, შესაძლოა, ხდებოდა კიდეც ბოევიკთა გადასვლა, თუმცა, მისი ვარაუდით, მხოლოდ თითო-ოროლა დაქირავებულის. **აბრაშინი დარწმუნებულია, რომ "ბოევიკთა" მსხვილი დაჯგუფებები ყოველთვის ჩეჩნეთისა და ინგუშეთის ტყის მასივებს აფარებდნენ თავს.**

მიუხედავად იმისა, რომ ნაზრანში ცნობილი მოვლენების შემდეგ რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის პოლკი შეიქმნა, არაკანონიერი შეიარაღებული დაჯგუფებების მოქმედებების შეზღუდვისთვის ეს ძალა არანაირად საკმარისი არ არის. ტერაქტების წინააღმდეგ ძალების არასაკმარისმა ორგანიზებამ კიდევ უფრო შემზარავ შედეგამდე მიიყვანა რუსეთი, როდესაც სასწავლო წლის დასაწყისში ბესლანის ტრაგედია დატრიალდა. ბოევიკთა მხრიდან მოსალოდნელი ტერაქტების შესახებ ძალოვანი სტრუქტურები ინფორმაციას ფლობდნენ, თუმცა სათანადო რეაგირება მათი მხრიდან არ მომხდარა. როგორც თავად რუსი გენერალ-ლეიტენანტი აცხადებს, 100 პროცენტიანი გარანტია იმისა, რომ ტერაქტის საფრთხე აღკვეთილ იქნება, არ არსებობს, მაგრამ ეს მხოლოდ თვითმკვლელ ტერორისტებს ეხებათ. ტერორისტთა დაჯგუფების მიერ გზებზე უზარმაზარი რაოდენობის იარაღთან ერთად გადაადგილების დაშვება კი უპატიებელი შეცდომაა.

რუს გენერალს შეცდომად მიაჩნია ისიც, რომ ჩეჩნეთის მოსაზღვრე რაიონები შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში თავიდანვე არ იქნა შეტანილი, სადაც მუდმივმოქმედი ოპერატიული ჯგუფები განთავსდებოდა. გამონაკლისი მხოლოდ ჩრდილოეთ ოსეთი იქნებოდა, სადაც ტერიტორიული და ნაციონალური თავისებურებების გამო არმიის ოპერატიული ჯგუფი დამოუკიდებელი იქნებოდა დანარჩენებისაგან და ამოცანებს თვითონ გაუმკლავდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი წინადადებები არაერთხელ იქნა გამოთქმული, ამ წინადადებებს ცენტრში მხარი არავინ დაუჭირა. ბოევიკთა ბრძოლის უმთავრეს ფორმად ტერორისტული აქტები 2002 წლიდან იქცა. თუმცა, რატომღაც სწორედ ამ პერიოდიდან გადაწყდა კონტრტერორისტული ოპერაციის დასრულება. ჩეჩნეთში მყოფი არმიის ამოცანები კი ბევრად აღემატება მათ ფიზიკურ შესაძლებლობას, რადგან დიდი ნაწილი ამოცანებისა, სწორედ თვითუსაფრთხოებაზე მოდის. ნაცვლად იმისა, რომ პერმანენტული მუშაობა მიმდინარეობდეს შეიარაღებულ დაჯგუფებებთან, ხელისუფლების მხრიდან მხოლოდ ეპიზოდური ქმედებები ხორციელდება, რაც, თავისთავად ცხადია, მცირედ ეფექტურია; და რეალურად, ტერორიზმის საფრთხის შემცირების ნაცვლად, ხელისუფლების დაუდევრობას შედეგად ბოევიკთა წაქეზება მოჰყვება, რომლებიც განხორციელებული ტერაქტის შემდეგ ჩეჩნეთს აფარებენ თავს.

2004 წელს სამხრეთ ფედერალური ოლქის ყველა სუბიექტში ტერორიზმის წინააღმდეგ მუდმივმოქმედი ოპერატიული ჯგუფები ჩამოყალიბდა. საყურადღებოა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ყოველთვის არსებობდა საგანგებო მდგომარეობაში მოქმედებების მკაფიო გეგმა, მათ შორის ტერორიზმთან ბრძოლისაც. საგანგებო მდგომარეობის დროს ფედერაციის სუბიექტებში შინაგან საქმეთა ორგანოების ხელმძღვანელებისთვის ხელმისაწვდომი იყო შინაგანი ჯარის ნაწილების დისლოკაცია საჭირო წერტილებში. სამწუხაროდ, ჩრდილოეთ ოსეთსა და ინგუშეთში შინაგანი ჯარის ნაწილები არ იყო დისლოცირებული. ამაში ბრალი კი დიდწილად შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელებს მიუძღვით, რომლებმაც, დადასტურებული ინფორმაციის ქონის მიუხედავად, არ მოითხოვეს საჭიროებისამებრ საჯარისო ნაწილების გადასროლა. ოპერატიული მუდმივმოქმედი ჯგუფების შექმნა კი ჯარის გარეშე არაფერს ნიშნავს. სწორედ ამიტომ, ევგენი აბრაშინი საჭიროდ მიიჩნევს, სამხედრო ოპერატიული ჯგუფების შექმნას სამხრეთ ფედერალური ოლქის სუბიექტებში, სადაც ჯერ კიდევ არსებობს ბოევიკთა მიერ ტერაქტების განხორციელების სერიოზული საფრთხე. რაც შეეხება ჩრდილოეთ ოსეთისა და ინგუშეთის ტერიტორიას, აუცილებელია ერთიანი სამხედრო ოპერატიული ჯგუფის შექმნა, რომელიც კონფლიქტის რაიონის სამხედრო კომენდანტს უნდა დაექვემდებაროს.

## "FitchRatings"-მა თიბისი ბანკის რეიტინგი განსაზღვრა
## თიბისი ბანკი საერთაშორისო რეიტინგის მქონე პირველი ქართული კომპანიაა

**2004 წლის 13 სექტემბერს საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიამ "FitchRatings" სს "თიბისი ბანკის" რეიტინგი განსაზღვრა. თიბისი ბანკი პირველი ქართული კომპანიაა, რომელსაც საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს მიერ მიენიჭა რეიტინგი.**

ქართული კომპანიისათვის საერთაშორისო რეიტინგის მინიჭების პირველი პრეცენდენტი იყო 2000 წელს საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია "Thomson Financial Bankwatch"-ის მიერ თიბისი ბანკისათვის საერთაშორისო რეიტინგის მიანიჭება. მას შემდეგ თიბისი ბანკი რეგულარულად იღებს საერთაშორისო რეიტინგს, რომლის მინიჭებაც მომდევნო წლებში FitchRating-ის მიერ ხდებოდა. 2000-2001 წლებში თიბისი ბანკის რეიტინგი "CCC"-ით განისაზღვრებოდა, 2002 წლიდან FitchRating-მა თიბისი ბანკის რეიტინგი "CCC+"-მდე აამაღლა.

FitchRating-ი ერთ-ერთია მსოფლიოს სამი წამყვანი სარეიტინგო სააგენტოდან. მის რეიტინგებს ადგენს 700-ზე მეტი ანალიტიკოსი. FitchRating-ს წამყვანი პოზიციები უკავია კორპორატიული ფასიანი ქაღალდების რეიტინგების შემუშავებაში და ამ მიმართულებით 2.300 ბანკსა და ფინანსურ ინსტიტუტს ემსახურება მსოფლიოს მასშტაბით. FitchRating-ი რეიტინგს ანიჭებს დაახლოებით 1.000 კორპორაციას, 8.000-ზე მეტ სადაზღვევო კომპანიას, 80-ზე მეტ ქვეყანას და ზედამხედველობას უწევს 7.000-ზე მეტ სტრუქტურიზებულ დაფინანსებას.

FitchRating-ის განმარტებით, თიბისი ბანკის მომგებიანობა კვლავ მაღალია, მიუხედავად კლებადი საპროცენტო განაკვეთებისა და შედარებით მაღალი საოპერაციო ხარჯებისა. საოპერაციო ხარჯების ზრდა გამოწვეულია ბიზნესის ზრდა-გაფართოებით და ფიქსირებული აქტივების ცვეთით. მეორეს მხრივ, საკომისიო შემოსავალი გაიზარდა მომსახურების უფრო მასშტაბური მოცულობების ხარჯზე. საპროცენტო განაკვეთები, სასესხო ბაზრის განვითარების კვალობაზე, შესაძლოა კვლავ შემცირდეს, რაც შესაბამისად მომგებიანობაზე მოახდენს ზეწოლას.

FitchRating-ის ექსპერტთა დასკვნით, დსთ-ს ქვეყნების სხვა ბანკების ფონზე, თიბისი ბანკის ფინანსური რესურსები საკმაოდ დივერსიფიცირებულია. 2003 წელს თიბისი ბანკის კაპიტალიზაცია გაუმჯობესდა ახალი აქციონერის - სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ფონდის (ყოფილი "სოროსის საინვესტიციო კაპიტალი") ინვესტიციის შედეგად. ახლო მომავალში ახალი კაპიტალის შემოდინება დაგეგმილი არ არის.

სს "თიბისი ბანკი" 1992 წელს დაფუძნდა. 2002 წელს იგი გახდა საქართველოში უმსხვილესი ბანკი, რომელსაც დღეისათვის ქვეყნის საბანკო აქტივებში 23%-იანი წილი, ხოლო დეპოზიტებში - 31%-იანი წილი გააჩნია. ბანკის ძირითადი მფლობელები ქართველი კერძო პირები არიან, რომელთაც ბანკის აქციათა 55% ეკუთვნით. დანარჩენ აქციონერებს წარმოადგენენ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ფონდი (25%), IFC-საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (10%) და DEG-გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების კომპანია (10%). FitchRating-ის განმარტებით, "საქართველოში თიბისი ბანკს აქვს კარგი რეპუტაცია და აღიქმება როგორც პოლიტიკურად დამოუკიდებელი ბანკი".

FitchRating-ი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ თიბისი ბანკი, საერთაშორისო კომპანიებთან, საელჩოებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან ერთად, კონცენტრირებას ახდენს მცირე და საშუალო ბიზნესზე, საცალო საქმიანობაზე და სავაჭრო პროექტების დაფინანსებაზე.

*სს "თიბისი ბანკის" იმიჯის ფორმირებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური*

**ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს მექანიკური დაზიანებისაგან კაბელის დამცავი გოფრირებული მილის მოწოდებაზე;**

*გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მასალა უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.*

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და შესყიდვების განყოფილებაში;
ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება შეუძლიათ განცხადების გამოცხადების დღიდან და დაინტერესების შემთხვევაში, თავიანთ შემოთავაზებები დატოვონ სს "თელასის" კანცელარიაში.
თბილისი, ვანის ქუჩა N3, I სართული.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 29 სექტემბერი.

**ს.ს. "თელასი" აცხადებს ტენდერს ლითონის მილყელის მოწოდებაზე:**

*გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მასალა უნდა იყოს ახალი, გამოუყენებელი და შესაბამისი გარანტიებით.*

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართონ სს "თელასის" კონტრაქტებისა და
შესყიდვების განყოფილებაში;
ტელეფონის ნომრებზე: 77 98 55; 77 98 57; 77 98 53;

ორგანიზაციებს სატენდერო დოკუმენტაციის წაღება შეუძლიათ განცხადების გამოცხადების დღიდან და დაინტერესების შემთხვევაში, თავიანთ შემოთავაზებები დატოვონ სს "თელასის" კანცელარიაში.
თბილისი, ვანის ქუჩა N3, I სართული.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 4 ოქტომბერი.

**სს "თელასის" განცხადება**

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**27 სექტემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
იპოლიტოვ-ივანოვის, ხევძმარის, ილორის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**27 სექტემბერს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ცინცაძის ქუჩის მაცხოვრებლებს.

**28 სექტემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დასახლების, აღმაშენებლის ხეივნის მე-14 კმ-ის, პეტრიწის, გიორგი ბრწყინვალეს, დიმიტრი თავდადებულის ქუჩების მაცხოვრებლებს.

# კრწანისის გმირთა სამაროვანი

თამარ დვალი

*300 არაგველის სახელობის ბაღში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ კრწანისის ომში დაღუპულ გმირთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა. 1795 წელს კრწანისის ველზე ათასობით ქართველი მეომარი დაიღუპა.*

**"დღეს მეტად მნიშვნელოვანი დღეა მთელი საქართველოსთვის. ამ წმინდა ადგილზე, სადაც ქართველმა გმირებმა სამშობლოსათვის თავი გასწირეს, მუზეუმი უნდა აშენდეს. შესაძლოა, ავაგოთ სკოლაც, სადაც ჩვენი ახალგაზრდები გაივლიან წვრთნას. ჩვენ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რომელსაც მუდმივად სჭირდება დაცვა. ამ ადგილზე ჩაუქრობლად უნდა ენთოს კანდელი, რათა ყოველმა გამვლელმა გაიხსენოს ქვეყნის გმირები, რომლებიც სამშობლოს თავისუფლებისათვის დაიხოცნენ",** - აღნიშნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

პატრიარქის ამ მოსაზრებას საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილიც ეთანხმება. იგი 300 არაგველის სახელობის ბაღში შეკრებილ საზოგადოებას დამაჯერებლად უხსნიდა, რომ სანამ ის საკრებულოს თავმჯდომარე იქნება, ამ ადგილზე სასტუმროს აშენებას ვერავინ გაბედავს. მის ამ გამოსვლას მანდილოსანთა ერთი ნაწილი ლოცვითა და მადლიერების სიტყვებით შეეგება;

პანაშვიდის შემდეგ ყველამ გამოხატა თავისი გულისტკივილი ბაღში დაწყებული მშენებლობის თაობაზე. დამსწრე საზოგადოება ერთსულოვნად მიიჩნევდა, რომ ქართველი მეომრების ძვლებზე სასტუმრო არ უნდა აშენდეს. **"ეს არის კრწანისის ბრძოლის ადგილი. შვიდი ათასი მებრძოლიდან მხოლოდ 150-მა შეძლო ცოცხლად გაეღწია აქედან. აქაურობა ჩვენი წინაპრების ძვლებით არის მოფენილი და არ არის საჭირო, მათ ძვლებზე სასტუმრო აიგოს. ბიზნესის წამოწყება სხვა ადგილასაც შესაძლებელია. ყველას მინდა ვურჩიო, რომ ნუ წავლენ ქართული საზოგადოების წინააღმდეგ და წინაპრებს ნუ შეგვიგინებენ",** - აღნიშნა "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" თავმჯდომარემ ზვიად ძიძიგურმა, რომელიც ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ესწრებოდა გუშინდელ ღონისძიებას.



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*უწმინდესი 300 არაგველის სახელობის ბაღში.*

შეგახსენებთ, რომ 300 არაგველის სახელობის ბაღში 1968 წლიდან პიონერთა სასახლე ფუნქციონირებდა. 90-იან წლებში ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სასახლე გაიყიდა და იგი ვინმე ილია მოსიაშვილმა შეიძინა, რომელმაც სასტუმროს მშენებლობა დაიწყო. 2003 წლის 20 ივნისს მაშინდელმა საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა ხელი მოაწერა საკრებულოს დადგენილებას, რომელიც 300 არაგველის სახელობის ბაღში დაწყებული მშენებლობის დაუყოვნებლივ შეჩერებას ითვალისწინებდა; საქმე კი პროკურატურას გადაეცა განსახილველად. სექტემბრის თვეში შპს "ცენტრმა", რომელიც აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებდა, სასამართლოში შეიტანა სარჩელი საკრებულოსა და სხვადასხვა სახელისუფლებო უწყებების წინააღმდეგ. ცენტრის მესვეურები მოითხოვდნენ მშენებლობის განახლებასა და მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებას. საოლქო სასამართლომ დანიშნა ექსპერტიზა. საექსპერტო კომისიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა 300 არაგველის ბაღის და, კონკრეტულად, სადავო ტერიტორიის ისტორიულ-არქეოლოგიური მნიშვნელობა.

2003 წლის სამ თებერვალს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უფროსმა იულონ გაგოშიძემ ქალაქის მერს, კულტურის მინისტრს, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარეს და არქეოლოგიური კვლევის ცენტრს მიმართა წერილით, რომელშიც ამტკიცებდა, რომ კრწანისის პარკის ტერიტორიაზე მშენებლობისათვის ამოთხრილმა ქვაბულმა გაანადგურა კრწანისის გმირთა სამაროვანი.

*გამოხმაურება*

# გაზეთ "24 საათის" რედაქტორს

პატივცემულო ბატონო რედაქტორო, გაცნობებთ, რომ 20 სექტემბრის "24 საათში" (№223 გვერდი A-6) დაიბეჭდა ქალბატონ ნინო ცინცაძის წერილი შემდეგი სათაურით: "დალოცვა და მოთხოვნა განათლების სამინისტროში", რომელიც ეხება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის შეხვედრას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შენობაში იმ პედაგოგებთან, რომლებიც დღეს არაქართულენოვანი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების სკოლებში უნდა გამგზავრებულიყვნენ, რათა იქაური ბავშვებისათვის ქართული ენა, საქართველოს ისტორია და საქართველოს გეოგრაფია ესწავლებინათ.

პატივცემული ჟურნალისტი ტენდენციურად აშუქებს კათოლიკოს-პატრიარქის გამოსვლის დეტალებს და ამკვიდრებს იმ აზრს, თითქოს საქართველოს საპატრიარქო უპირისპირდებოდეს ხელისუფლებას, რაც მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. რაც შეეხება განათლების შესახებ კანონპროექტს, სავსებით ბუნებრივია, რომ საქართველოს საპატრიარქოს განსაკუთრებული დაინტერესება ჰქონდეს კანონპროექტისადმი, რომელსაც უნდა დაეფუძნოს მომავალი თაობების აღზრდა-განათლება.

პედაგოგებთან შეხვედრისას კათოლიკოს-პატრიარქმა ყურადღება გაამახვილა ფართო საზოგადოებრიობისათვის თითქმის უცნობი კანონპროექტის შესახებ და აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა მისი გამოქვეყნება, რათა შესაძლებელი გახდეს აღნიშნული კანონპროექტის საფუძვლიანი განხილვა და მასზე პირუთვნელი მსჯელობა იმ ცალკეული მუხლების შესახებ, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია საზოგადოების გარკვეულ ნაწილში. ალბათ, არც ერთ კეთილგონიერ ადამიანს აზრად არ მოუვა კათოლიკოს-პატრიარქის მიერ წარმოთქმულ სიტყვებში დაინახოს საქართველოს პრეზიდენტთან და ხელისუფლებასთან დაპირისპირების მცდელობის რამენაირი გამოვლინება, რომ არა პატივცემული ჟურნალისტის მდიდარი ფანტაზიის უნარი, რომელსაც სურს, მთავრობასთან დაპირისპირებად წარმოაჩინოს საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავრის მიერ გაკეთებული განცხადება კონკრეტული კანონპროექტის შესახებ.

ამავე წერილში პატივცემული ჟურნალისტი ეყრდნობა სრულიად გადაუმოწმებელ, არასწორ ინფორმაციას, როდესაც პირადად მე მომაწერს განცხადებას, რომელიც ჩემ მიერ არასოდეს თქმულა. იგი წერს: "აქვე იყვნენ სასულიერო აკადემიის რექტორი, ახალციხის მთავარეპისკოპოსი თეოდორე ჭუაძე და სასულიერო აკადემიის პრორექტორი დეკანოზი გიორგი ზვიადაძე, რომელმაც თავის დროზე განაცხადა: სასულიერო აკადემიას განათლების სამინისტროსაგან მიღებული დაფინანსება არ სჭირდება, რადგან ეს სამინისტრო ფულს სოროსისგან იღებს"-ო.

ამა თუ იმ სამინისტროს დაფინანსების საკითხის გარკვევა სცილდება ჩემს კომპეტენციას და, შესაბამისად, არც არანაირი საფუძველი არ მქონდა იმისათვის, რომ მსგავსი არაზუსტი განცხადება გამეკეთებინა. იქნებ გვითხრას პატივცემულმა ჟურნალისტმა, სად მოისმინა ან ამოიკითხა, რომ ამგვარი რამ მეთქვას. ეს ხომ აშკარა სიცრუეა, რაც არავის და, მით უმეტეს, ჟურნალისტს არ ეკადრება. მას უნდა გაეთვალისწინებინა ისიც, რომ სასულიერო აკადემიის დაფინანსების საკითხს არ წყვეტს სასწავლო დარგის პრორექტორი და ჩემგან მოსალოდნელი არც იყო მსგავსი განცხადების გაკეთება.

თბილისის სასულიერო აკადემია ეკლესიის წიაღში შექმნილი უმაღლესი საღვთისმეტყველო სასწავლებელია, რომელსაც თავისი მიზანდასახულობა გააჩნია, რაც გულისხმობს ქართული საღვთისმეტყველო აზროვნების აღორძინებასა და განვითარებას. აკადემიის კედლებში ყოველთვის მადლიერებით აღიქმებოდა და აღიქმება ის ფაქტი, რომ თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიას აფინანსებს სახელმწიფო. ამდენად, წერილის ავტორის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული შეგონებანი სრულიად უსაფუძვლოდ მიგვაჩნია.

არ გამოვრიცხავთ, რომ ვინმემ, შესაძლოა, შეგნებულად შეიყვანა შეცდომაში პატივცემული ჟურნალისტი, მაგრამ მას მაინც ევალებოდა, გადაემოწმებინა მიწოდებული ინფორმაციის ნამდვილობა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოექვეყნებინა იგი.

მე შეგნებულად არ ვამახვილებ ყურადღებას წერილის ავტორის ცინიკური დამოკიდებულების შესახებ, რომელსაც ის იჩენს ზოგიერთი სასულიერო პირის მიმართ, რაც ნამდვილად არ არის მოსაწონი.

იმედი მაქვს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა შეგნებულ, გამიზნულ ცილისწამებასთან პატივცემული ჟურნალისტის მხრიდან, არამედ უნებლიე შეცდომასთან, რაც ეფუძნება დაუზუსტებელ ინფორმაციასა და გაუგებრობას, რისი გამოსწორებაც, ვფიქრობთ, ადვილად შეიძლება.

*პატივისცემით, დეკანოზი*
*გიორგი ზვიადაძე,*
*თბილისის სასულიერო აკადემიის*
*პრორექტორი.*

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

საქართველოს მთავრობამ მიიღო სესხი განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) და სესხის ნაწილით აპირებს დააფინანსოს თბილისში 2002 წლის 25 აპრილს მიწისძვრის შედეგად დაზიანებული შერჩეული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი ამ განცხადებით იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციას თბილისის N10 საშუალო სკოლის გაძლიერება-გამაგრებითი და სარემონტო სამუშაოების კონკურსში მონაწილეობისთვის.

სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი სახის ლიცენზია:

■ საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა;
■ საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების მშენებლობა.

საკონკურსო დოკუმენტები შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
შესყიდვების განყოფილება
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

2004 წლის 29 სექტემბრიდან, 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 17 000 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
შესყიდვების განყოფილება
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
გიორგი ბაჯელიძე
შესყიდვების მენეჯერი
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

2004 წლის 29 ოქტომბრის 16 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **16:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტები.

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

საქართველოს მთავრობამ მიიღო სესხი განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) და სესხის ნაწილით აპირებს დააფინანსოს თბილისში 2002 წლის 25 აპრილს მიწისძვრის შედეგად დაზიანებული შერჩეული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი ამ განცხადებით იწვევს

საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციას თბილისის N 85 საშუალო სკოლის გაძლიერება-გამაგრებითი და სარემონტო სამუშაოების კონკურსში მონაწილეობისათვის.

სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი სახის ლიცენზია:

■ საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა;
■ საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების მშენებლობა.

საკონკურსო დოკუმენტები შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
შესყიდვების განყოფილება
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

2004 წლის 29 სექტემბრიდან, 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 9 000 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
შესყიდვების განყოფილება
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
გიორგი ბაჯელიძე
შესყიდვების მენეჯერი
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

2004 წლის 29 ოქტომბრის 12 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტები.

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

საქართველოს მთავრობამ მიიღო სესხი განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) და სესხის ნაწილით აპირებს დააფინანსოს თბილისში 2002 წლის 25 აპრილს მიწისძვრის შედეგად დაზიანებული შერჩეული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი ამ განცხადებით იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ ყველა დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციას თბილისის N145 საშუალო სკოლის გაძლიერება-გამაგრებითი და სარემონტო სამუშაოების კონკურსში მონაწილეობისათვის.

სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა გააჩნდეთ შემდეგი სახის ლიცენზია:

■ საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა;
■ საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების მშენებლობა.

საკონკურსო დოკუმენტები შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
შესყიდვების განყოფილება
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

2004 წლის 29 სექტემბრიდან, 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 100 (ასი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 13 000 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
შესყიდვების განყოფილება
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
გიორგი ბაჯელიძე
შესყიდვების მენეჯერი
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

2004 წლის 29 ოქტომბრის 14 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტები.

# დანაშაულში მხილებულ პროკურორთა დაკავება გრძელდება

თამარ კაციტაძე

*საქართველოს პროკურატურაში საკადრო წმენდა, როგორც ჩანს, ახალ ფაზაში გადავიდა და პროკურატურის რიგების "გასუფთავება" უშუალოდ დანაშაულში მხილებული თანამშრომლების დაპატიმრებით გრძელდება.*

ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორის ბორის მჭედლიძის და მისი გამომძიებლის დანაშაულის ფაქტზე მხილების შემდეგ, მათი ბედი მცხეთის რაიონის პროკურატურის თანამდებობის პირებმაც გაიზიარეს.

გუშინ ცნობილი გახდა, რომ გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებმა საკუთარი კოლეგები, მცხეთის რაიონის პროკურორი მიშა ჭანუყვაძე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყებაში, ხოლო იმავე რაიონის პროკურატურის გამომძიებელი თეიმურაზ მარიამიძე სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ამხილეს და დააკავეს კიდეც.

როგორც გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ გიორგი ჯანაშიამ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მცხეთის პროკურატურის წარმომადგენლები იმ დანაშაულს შეეწირნენ, რის გამოც რამდენიმე დღის წინ მცხეთის რაიონის პოლიციის მაღალჩინოსნები დააკავეს.

შეგახსენებთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში ჩატარებული მოკვლევით დადგინდა, რომ 30 აგვისტოს მცხეთის რაიონის პოლიციელებმა დააკავეს სოფელ ძეგვიდან ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანის გატაცებაში ეჭვმიტანილები ვინმე ლეჟავა, ამანათიდი და ხიდაშელი, რომლებსაც ჩხრეკისას ცეცხლსასროლი იარაღი და სხვა საბრძოლო მასალა აღმოაჩნდათ. მიუხედავად საქმეში არსებული სერიოზული მტკიცებულებებისა, სამართალდამცველებმა დაკავებულები მეორე დღესვე "საეჭვო ვითარებაში" გაათავისუფლეს, ხოლო ამოღებული იარაღები საქმიდან "გააქრეს".

შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას ამის თაობაზე ინფორმაცია გატაცებულის მეუღლემ მიაწოდა. დაზარალებული ქალბატონის თქმით, სამართალდამცველებმა ეჭვმიტანილთა გათავისუფლებაში 50 ათასი ლარი ქრთამის სახით აიღეს.



*პრესკონფერენცია შინაგან საქმეთა სამინისტროში.*

აღნიშნული ფაქტის გამო შს სამინისტროს თანამშრომლებმა მცხეთის რაიონის პოლიციის ოთხი მაღალჩინოსანი - მცხეთის პოლიციის უფროსი, მისი მოადგილე ვაჟა დგებუაძე და ორი თანამშრომელი: გოჩიაშვილი და ბაბაევი ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს.

ორდღიანი გამოძიების შემდეგ გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილის გადაწყვეტილებით, აღნიშნული საქმე გამოსაძიებლად შს სამინისტროდან გენერალურ პროკურატურაში გადავიდა, სადაც მცხეთის პროკურორისა და გამომძიებლის ბრალეულობაც დადგინდა.

როგორც მოგეხსენებათ, შს სამმართველოს ორგანოებზე ზედამხედველობას პროკურატურა ახორციელებს, მაგრამ როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილემ მიხეილ ჩინჩალაძემ განაცხადა, აღნიშნულ შემთხვევაში, მცხეთის რაიონის პროკურატურას ზედამხედველობა საერთოდ არ განუხორციელებია. უფრო მეტიც, გენერალურ პროკურატურაში არ გამორიცხავენ, რომ მცხეთის პროკურატურის რიგ თანამშრომლებს გატაცების ფაქტის მიჩქმალვის სანაცვლოდ, ქრთამიც ჰქონდეთ აღებული, თუმცა, ჯერჯერობით, ამ ფაქტზე დადასტურებულ ინფორმაციას არ ავრცელებენ.

**"ჭანუყვაძემ არ გამოიყენა პროკურორის უფლებამოსილება, რომლითაც მოკვლევაზე და წინასწარ გამოძიებაზე კონტროლი უნდა განეხორციელებინა და არ დაინტერესდა საქმიდან "გამქრალი" მტკიცებულებების ბედით. მართალია, ამ ეტაპზე უტყუარი მტკიცებულება არ გაგვაჩნია, რომ პროკურატურის წარმომადგენლებმა ქრთამი აიღეს, მაგრამ ამ კუთხით გამოძიება ინტენსიურად მუშაობს",** - განაცხადა მიშა ჩინჩალაძემ.

საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილის თქმით, დაკავებულ პოლიციელებს ბრალი წაყენებული აქვთ და წინასწარი სამთვიანი პატიმრობა უკვე შეეფარდათ, პროკურატურის თანამშრომლებისათვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებაზე კი თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლო, სავარაუდოდ, დღეს იმსჯელებს.

# ხანძარი და ქუთაისური დასკვნები

პირველი გვერდიდან

**ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ ეს სპეციალურად გაკეთებული იყო. თუ ვინ გააკეთა, ამისათვის არსებობს სპეცსამსახურები და ისინი დაადგენენ,"** - აცხადებდა ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი გია გიორგაძე. იგივეს ადასტურებდა ქუთაისის ვიცე მერი გივი ჯიბლაძეც: **"ჩემი ინფორმაციით, ხანძარი გაჩნდა მერიის სახურავზე. არ არის გამორიცხული, რომ ეს იყოს დივერსია, გარკვეული რევანშისტული ძალების მიერ განხორციელებული.. მე ვგულისხმობ იმ ხალხს, რომლებიც ამ დღეების განმავლობაში სამხარეო ადმინისტრაციის და მერიის წინააღმდეგ აქციებს აწყობდნენ. ისინი დღესაც აქ იყვნენ და არ არის გამორიცხული, რომ დივერსიაც მათგან მოდიოდა".**

კვირას, დღის მეორე ნახევარში, ხანძრის გამომწვევი მიზეზების შესასწავლად ქუთაისში ექსპერტები ჩამოვიდნენ. იმავე დღესვე ხანძრის გაჩენის ახალი ვერსია გაჩნდა. თვითმმართველობის მაღალჩინოსნები ხანძრის გაჩენას დაუდგენელ საერთაშირისო ტერორისტულ ორგანიზაციებს აბრალებენ (?!).

**"ჩვენ გვქონდა ინფორმაცია, რომ სპეციალურად ჩამოსული იყო არაქართული წარმომავლობის პიროვნება, რომელსაც ანალოგიური მისია არა მარტო ქუთაისის მერიის, არამედ სხვა შენობების მიმართაც ჰქონდა. იგი არის ერთ-ერთი ტერორისტული დაჯგუფების წარმომადგენელი, რომელსაც საქართველოში დესტაბილიზაციის შემოტანა სურს,"** - განაცხადა მერიის აპარატის უფროსმა გიორგი კლდიაშვილმა. აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ ქუთაისის მერიას შესაძლო დივერსიის შესახებ ინფორმაცია ჰქონდა, თუმცა ბოლომდე უცნობი დარჩა, რა ზომები მიიღეს დივერსიის აღსაკვეთად. კვირასვე ქუთაისში "ეროვნულ ძალთა გაერთიანება-კონსერვატორების" ლიდერები კობა დავითაშვილი და ზვიად ძიძიგური ჩამოვიდნენ. მათ კომენტარები როგორც ხანძრის გაჩენასთან, ასევე მუმლაძის გადადგომასთან დაკავშირებით გააკეთეს. კობა დავითაშვილის განმარტებით, მათი ორგანიზაციისთვის ხანძრის გაჩენის დაბრალება უსინდისობაა. **"მუმლაძემ მოსახლეობის წინაშე თავი შეირცხვინა. პრეზიდენტს კეთილი სურვილით გვინდა ვურჩიოთ, რომ წაიყვანოს ეს კაცი, რაც პირველ რიგში მისთვის იქნება უკეთესი და გადაარჩენს ხელისუფლების რეიტინგს იმერეთში. ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, როდესაც პრეზიდენტი სააკაშვილი ადამიანებს არ ათავისუფლებს მაშინ, როცა ხალხია მათი წინააღმდეგი,"** - განაცხადა ზვიად ძიძიგურმა. რაც შეეხება კობა დავითაშვილს, მისი განცხადებით, დათო მუმლაძის კომპრომენტაცია ჯერ კიდევ შემოსავლების მინისტრობის მოადგილეობის დროს მოხდა, როდესაც იგი, მაჭავარიანთან ერთად, სამინისტროში ტესტირებას ახორციელებდა. **"შემოსავლების სამინისტროში მაშინ გამოცდები წინასწარ შედგენილი სიებით და ფულის გაკეთებით ჩატარდა. ეს იყო დისკრედიტაცია მთელი საგამოცდო სისტემისა. თავის დროზე "ნაციონალურ მოძრაობაში" სულ რამდენიმე პიროვნებაზე მიმითითებდნენ, როგორც სამარცხვინოზე. მათ შორის იყო მუმლაძე და ბექაური. ნუთუ ისე დაკნინდა პრეზიდენტის გუნდი, რომ სხვა კაცი ვერ გამონახეს? მე და პრეზიდენტმა ხომ ვიცით, მუმლაძე ვინცაა. რასაც იგი შემოსავლების სამინისტროში აკეთებდა, იგივეს აკეთებს იმერეთშიც,"** - აცხადებს დავითაშვილი.

ქუთაისის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ხანძარს ქალაქის ცენტრიდან ადევნებდა თვალს. იშვიათად თუ გაიგონებდით მომხდართან დაკავშირებით სინანულს. მოსახლეობა ძირითადად იმ პირებს აკრიტიკებდა, ვინც თანამდებობებზე დაუმსახურებლად მოხვდნენ და თანაც შენობასაც ვერ მოუარეს. **"ჯერ არ მოსულან და უკვე "მერსედესები" იყიდეს, ზოგს ძმის სახელზე აქვს გაფორმებული, ზოგს დეიდის. ხალხი, რომელიც თანამდებობებზე ეგრეთ წოდებული ქუჩის "ბირჟებიდან" მოხვდა, არაფრის გამკეთებლები რომ არ იყო, განა მთავრობამ არ იცოდა?"** - აცხადებდა ერთ-ერთი ქალბატონი, რომელმაც ვინაობის დასახელება არ ისურვა...

# ადვოკატობისა და პროკურორობის მსურველები გამოცდების შედეგებს ელიან

საადვოკატო გამოცდების მეორე ეტაპის შედეგები დღეს გახდება ცნობილი. გამოცდაში მონაწილე 1260 იურისტიდან ვინ შეძლო გამოცდის წარმატებით ჩაბარება და შესაბამისად, ადვოკატის სერტიფიკატის მოპოვება, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გამოქვეყნებული სიებით გახდება შესაძლებელი.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, სპეციალურად შედგენილ ტესტებზე სწორი პასუხის გაცემა ტესტირებაში მონაწილე იურისტების მხოლოდ 55-მა პროცენტმა შეძლო.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზებით, გუშინ პროკურორობის მსურველთა საკვალიფიკაციო გამოცდებიც ჩატარდა. როგორც აღმოჩნდა, პროკურორობის მსურველთა რიცხვი ადვოკატობის მსურველებთან შედარებით საკმაოდ ნაკლებია. იუსტიციის საბჭოს მონაცემებით, გუშინდელ ტესტირებაში, რომელიც ექვსი საათის განმავლობაში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ და მეორე კორპუსებში ერთდროულად მიმდინარეობდა, მხოლოდ პროკურორობის მსურველმა 1000-მდე იურისტმა მიიღო მონაწილეობა. ტესტირებაში მონაწილეობის მსურველთა განცხადებებს საბჭო ბოლო ერთი თვის განმავლობაში იღებდა. ჩვენი ინფორმაციით, განცხადებების რაოდენობამ 1200 შეადგინა, თუმცა, როგორც ჩანს, ტესტირებაზე პროკურორობის ყველა მსურველი არ გამოცხადებულა.

**"განცხადების შეტანისას იურისტებს 2000 ტესტი დაურიგდათ, საიდანაც დღეს დილით ტესტირებისთვის კომპიუტერით, შემთხვევითი შერჩევის მეთოდით, თითოეული ვარიანტისათვის 100 ტესტი ამოვიღეთ. ადვოკატების ტესტირებისაგან განსხვავებით, პროკურორთა ტესტირება ერთდღიანია. გარდა ამისა, პროკურორებთან გაზრდილია გამსვლელი ქულაც. თუ ადვოკატებს ტესტირების წარმატებით ჩაბარებისთვის 75 ქულა უნდა დაეგროვებინათ, პროკურორების შემთხვევაში 85 ქულა იქნება გამსვლელი",** - გვითხრეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში.

თუკი ადვოკატების გამოცდებიდან რამდენიმე დღის განმავლობაში უცხოელმა დამკვირვებლებმა 12 იურისტს დაატოვებინეს დარბაზი, გუშინდელი საპროკურორო გამოცდის მონაწილე მხოლოდ ორი იურისტი გააძევეს დარბაზიდან.

შეგახსენებთ, რომ პროკურორთა საკვალიფიკაციო გამოცდები იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შარშან დაასრულა, თუმცა პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, წლეულს პროკურორობის მსურველთა კიდევ ერთი ტესტირება დაინიშნა. ამის მიზეზი პროკურატურის სისტემის საკადრო რეორგანიზაციის შემდეგ პროკურორის თანამდებობაზე ბევრი გამოცდაჩაუბარებელი იურისტის დანიშვნა გახდა.

*24 საათი*


## სამკურნალო გაერთიანება "ლიგა"

**სექსოპათოლოგიის კლინიკა ტელ: 32 21 21**

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა ქრონიკული დაავადებების ფონზე.

**ნარკოლოგიის განყოფილება ტელ: 31 73 24**

- ყველა სახის ნარკომანიის მკურნალობა;
- ალკოჰოლური აბსტინენციის მოხსნა;
- თამბაქოსაგან მყარი თავშეკავების მიღწევა;

**თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11**



HEINRICH BÖLL STIFTUNG

## ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო

**აცხადებს კონკურსს რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამისათვის**

უახლესი ისტორიის, სოციოლოგიისა და მდგრადი ქალაქგანვითარების სფეროებში

**(ახალგაზრდა ისტორიკოსების, სოციოლოგების, იურისტების, პოლიტოლოგების, არქიტექტორებისა და ეკოლოგებისათვის)**

უახლესი ისტორია (1900-2000 წწ.):

- ყოველდღიურობის ისტორია
- ეთნიკური და კონფესიური კუთვნილების ტრანსფორმაცია
- ქალაქის სოციალური და კულტურული ბიოგრაფია
- პოლიტიკური რეპრესიები სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში
- წინააღმდეგობა ტოტალიტარიზმთან სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში 1920-1950-იან წწ.
- დისიდენტობის ისტორია, ეროვნული მოძრაობები და ადამიანის უფლებები სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში 1953 წ. შემდეგ

სოციოლოგია:

- უთანასწორობისა და დისკრიმინაციის პრობლემები
- ხელისუფლების არაფორმალური სტრუქტურები
- რელიგიის როლი თანამედროვე სახელმწიფოსა და საზოგადოებაში
- "ჩვენიანი" და "უცხო" საზოგადოებაში
- გენდერული როლების ტრანსფორმაცია თანამედროვე საზოგადოებაში

მდგრადი ქალაქგანვითარება:

- ქალაქის ეკოლოგიური და სოციალური განახლება
- ქალაქგანვითარების ნორმატიულ-სამართლებრივი და ინსტიტუციონალური სისტემის ანალიზი და წინადადებები
- ქალაქგანვითარების სფეროში გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის ფორმები
- საშუალო და მცირე ქალაქების პრობლემები და პოტენციალი
- არქიტექტურა და ხელისუფლება
- ურბანული ტოპოგრაფია

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფონდია, რომელიც თანამშრომლობს გერმანიის მწვანეთა პარტიასთან. ფონდი ხელს უწყობს პროექტებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სფეროში, განსაკუთრებით კი გენდერული პოლიტიკისა და ქალთა უფლებების, აგრეთვე ეკოლოგიის სფეროში.**

**რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი**

სასტიპენდიო პროგრამა გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისათვის უშუალოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

პროგრამის მიზანია:

- ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებს, რათა მათ სოციალურ მეცნიერებათა განახლების საშუალებით რეგიონალური თანამშრომლობის ფარგლებში ჩაატარონ ინდივიდუალური, ინტერდისციპლინარული მეცნიერული კვლევა სამხრეთ კავკასიაში;
- ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიაში მაღალკვალიფიციური პროფესიონალების ქსელის შექმნას.

**კონკურსის პირობები**

რეგიონალური საკვლევი სტიპენდიის მისაღებად განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1969-1982 წლებში დაბადებულებს, რომლებსაც გააჩნიათ უმაღლესი განათლება და რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ორი უცხო ენის (დასავლეთევროპული და რუსული) კარგად ცოდნა. ყურადღება მიექცევა მეთოდოლოგიურად ინოვაციურ ნაშრომებს, რომლებიც ითვალისწინებენ კვლევის ხარისხობრივ მეთოდებსა და კომპარატივისტიკას.

**ხანგრძლივობა და მოცულობა**

სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება 12 თვით - 1.01.2005 - 31.12.2005. სტიპენდიის მოცულობა შეადგენს თვიურად 200 ევროს. დამატებით გათვალისწინებულია თანამდევი პროგრამა სემინარების, საზაფხულო სკოლის, პუბლიკაციებისა და ა. შ. სახით.

**ზოგადი მითითებები**

- სტიპენდია წარმოადგენს ინდივიდუალურ დახმარებას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებს გარეთა პროექტების დასაფინანსებლად.
- კონკურსანტისთვის არ არის სავალდებულო, იყოს მაძიებელი ან სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელი.
- სურვილის შემთხვევაში ფონდი სტიპენდიანტს დააკავშირებს მეცნიერ-კონსულტანტებთან.
- ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი ხელმძღვანელობს სქესთა თანასწორობის პრინციპით.
- საკონკურსო ანკეტები შეგიძლიათ იხილოთ რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდზე: www.boell.ge
- საკონკურსო განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა ა.წ. 31 ოქტომბერი.

**საჭირო საბუთები**

1. თავფურცელი შემდეგი ცალკეული მონაცემებით: სახელი და გვარი; დაბადების წელი; ქვეყანა; სფერო (ისტორია/ სოციოლოგია/ ურბანისტიკა); საკონკურსო თემა; ნაშრომის სათაური
2. განაცხადის ანკეტა (იხ. www.boell.ge)
3. ტაბელარული ავტობიოგრაფია (CV)
4. ესსე (3-5 გვერდი მოცულობით), რომელიც უნდა შეიცავდეს პროფესიულ და პირადულ მოტივაციას (რატომ მაინტერესებს ეს თემა/ რა ვიცი თემის შესახებ/ რა მეთოდებით ვაპირებ თემაზე მუშაობას/ წლიური სამუშაო გეგმა)
5. 2 რეკომენდაცია მეცნიერის ან იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელისაგან, რომელშიც გიმუშავიათ (რა კონკრეტულ გამოცდილებას ან სამეცნიერო ნაშრომს ეფუძნება რეკომენდატორი)
6. უმაღლესი განათლების (ბაკალავრის, მაგისტრის ან 5-წლიანი სწავლების) დიპლომი ნიშნებით
7. (თუკი არსებობს) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი და შეძლებისდაგვარად მათი ასლები 20 გვერდამდე

**ზემოთაღნიშნული საბუთები (სამეცნიერო ნაშრომების ასლების გარდა) წარმოდგენილ უნდა იქნეს რუსულ ენაზე. განაცხადის არასრული კომპლექტი არ განიხილება. სავალდებულოა სისტემური შრიფტების გამოყენება.**

**საკონკურსო განაცხადი გამოაგზავნეთ ან ჩააბარეთ შემდეგ მისამართზე:**
**ჰ. ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო**
**რადიანის ქ. 5, 0179 თბილისი , info@boell.ge**



ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
OPEN SOCIETY - GEORGIA FOUNDATION
*საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი*
*INTERNATIONAL STUDENT ADVISING CENTER*
**ამერიკული უნივერსიტეტი ბულგარეთში**

აცხადებს კონკურსს სოროსის სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებლად 2005/2006 სასწავლო წლისათვის ბაკალავრიატურის შემდეგ ფაკულტეტებზე:

- ამერიკანისტიკა
- ბიზნეს ადმინისტრაცია
- ეკონომიკა
- კომპიუტერული მეცნიერებები
- ინგლისური ენა და ლიტერატურა
- ისტორია
- ჟურნალისტიკა / მასობრივი კომუნიკაციები
- პოლიტიკური მეცნიერება / საერთაშორისო ურთიერთობები
- მათემატიკა
- ევროპული მეცნიერებები

უნივერსიტეტში სწავლა ოთხწლიანია. სოროსის სტიპენდია ყოველწლიურად ფარავს სწავლის ღირებულებას (11 350$ - 13 525$), ჯანმრთელობის დაზღვევის, ბულგარეთის ვიზის, საკონსულო მომსახურეობისა და მგზავრობის ხარჯებს.

სტუდენტს გადასახდელი ექნება ცხოვრების, კვებისა და სახელმძღვანელოების შესაძენი თანხა, რაც ყოველწლიურად შეადგენს დაახლოებით 1900$ (Oათასცხრაას ამერიკულ დოლარს ).

პროგრამაში მონაწილეობის მსურველები უნდა სწავლობდნენ საშუალო სკოლის მე-11 კლასში ან იყვნენ აბიტურიენტები. უნივერსიტეტში სწავლება მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე. მიღება იწარმოებს კონკურსის საფუძველზე. აბიტურიენტები აბარებენ **TOEFL**-სა და **SAT I** ტესტებს.
OEFL

**საგანაცხადო ფორმებისა და დეტალური ინფორმაციისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:**

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრი
ჭოველიძის ქუჩა 10, (ყოფილი ბელინსკი )
ოთახი N 102

**საკონტაქტო ტელეფონი: 25 26 15 ან 25 04 63**
ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ორშაბათსა და ოთხშაბათს
14:00 საათზე.
**საგანაცხადო ფორმების შემოტანის ბოლო ვადაა 15 დეკემბერი.**

**საქართველოს ახალგაზრდა ბანკირთა ასოციაცია**

**მის: ჭავჭავაძის გამზ. 74**
**ტელ: 23 57 89**
**ელ. ფოსტა: info@youngbankers.com**

# ბანკი "რესპუბლიკა"

*საბანკო მონიტორინგის მორიგი სტუმარია სააქციო საზოგადოება "ბანკი რესპუბლიკა". ახალგაზრდა ბანკირთა ასოციაციის კითხვებს პასუხობს ბანკ რესპუბლიკის დამფუძნებელი და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ლაშა პაპაშვილი.*

ავთო გოგოლი


*ლაშა პაპაშვილი.*


*ირაკლი კილაურიძე და ავთო გოგოლი.*

## საბანკო სექტორი

**- ბატონო ლაშა, საქართველოს საბანკო სისტემაში არსებულ რომელ პრობლემატურ საკითხებს გამოყოფდით?**

- ვიტყოდი, რომ არა მხოლოდ საბანკო, არამედ მთლიანად საფინანსო სექტორის პრობლემაა საქართველოში მოქმედი ჯერ კიდევ მწირი და განუვითარებელი ფინანსური ინსტრუმენტები. აღნიშნულის გამო შეზღუდულია ბანკის შესაძლებლობა, ჯეროვანი დივერსიფიკაცია გაუკეთოს აქტივების სტრუქტურას, ვინაიდან შემოსავლიანი აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი სესხებზე მოდის. ეს ზრდის ბანკის შემოსავლიანი აქტივების პორტფელის რისკს, თუმცა, ამას გარდა, თავად საკრედიტო პორტფელის გაფართოების ექსტენსიური ფორმაც გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული, რაც არსებითად გამოწვეულია კრედიტუნარიანი მსესხებლის ნაკლებობით.

ვფიქრობ, რომ ქართული საბანკო სისტემის ძირითადი პრობლემა განვითარებულ დასავლურ საფინანსო ბაზრებში რთულად შეღწევადობა. ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ქვეყნის რისკი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ქართული ბანკების, მათ შორის ბანკ რესპუბლიკის, უცხოურ საფინანსო ორგანიზაციებთან წარმატებული თანამშრომლობის მაგალითები, ვფიქრობ რომ ეს მაინც არასაკმარისია და ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური სტაბილურობის ზრდასთან ერთად ამ ურთიერთობების განვითარებას მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია.

**- როგორია თქვენი დამოკიდებულება ბანკების გამსხვილების პროცესთან დაკავშირებით? როგორია ბანკ "რესპუბლიკის" სტრატეგია ამ პროცესთან მიმართებაში?**

- საქართველოს საბანკო სისტემაში კონსოლიდაციის პროცესი, რომელიც უკვე მიმდინარეობს, ბუნებრივი პროცესია. კონკურენტული ბრძოლის გამძაფრების კვალობაზე შემდგომი კონსოლიდაცია, ბანკების გამსხვილების და შერწყმა-გაერთიანების გზით, კიდევ უფრო აქტიურად წარიმართება. ამასთან, მნიშვნელოვანია რომ ეს პროცესი წარიმართოს სწორედ ბუნებრივ ჭრილში. როდესაც ამას ვამბობთ, არ ვგულისხმობთ ეროვნული ბანკის პოლიტიკას - გაზარდოს მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნა, რომლის პრინციპებსაც ბანკი იზიარებს და მხარს უჭერს, რადგან საბანკო სისტემის მდგრადობის შენარჩუნების და განმტკიცების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად რჩება კაპიტალიზაციის ზრდა.

რაც შეეხება ჩვენს ბანკს, ამ ეტაპზე აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული გეგმები არ გვაქვს. ბანკი "რესპუბლიკა" კაპიტალის მოცულობის მიხედვით საბანკო სისტემის მოწინავე რიგებშია. თუკი ასეთი რამ მომავალში დღის წესრიგში დადგება, მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება პარტნიორ ბანკთან სტრატეგიული მიზნების და ამოცანების ჰარმონიული თანხვედრა. ბანკი არ აპირებს შეცვალოს თავისი განვითარების ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები.

**- თქვენი აზრით, რამდენად მოსალოდნელია უახლოეს მომავალში საქართველოს საბანკო სისტემაში უცხოური ბანკების გამოჩენა და რა უნდა დაუპირისპირონ მათ ადგილობრივმა ბანკებმა კონკურენტუნარიანობის მოსაპოვებლად?**

- თუ გადავხედავთ მთელს პოსტსაბჭოთა სივრცესა და აღმოსავლეთ ევროპას, ვნახავთ, რომ მხოლოდ ლოკალური ბანკებით დაკომპლექტებული საბანკო სისტემები აღარ არსებობენ. ამდენად, უცხოური ბანკების შემოსვლის პროცესი საქართველოში გარდაუვალია. როგორც წესი, ეს ბანკები ადგილობრივ ბანკებთან გარკვეულ პარტნიორულ ურთიერთობაში შედიან, რაც მათ მიერ კონკრეტული ადგილობრივი ბანკების შერწყმას, მიერთებას გულისხმობს.

**- თქვენი აზრით, რა წინაპირობებია საჭირო საბანკო სისტემისადმი საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებისათვის?**

- ძირითადი პირობა საბანკო სექტორისადმი საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებისათვის არის წამყვანი ბანკების შეუფერხებელი და სტაბილური ფუნქციონირება. ასევე მიმაჩნია, რომ ამ კონტექსტში ეროვნული ბანკი ბოლო წლების განმავლობაში ყველაფერს აკეთებს ამ პრობლემის გადაწყვეტისათვის. უკანასკნელი 2-3 წლის მანძილზე შეიმჩნევა მოსახლეობის ანაბრების მოცულობის წილის მნიშვნელოვანი მატება საბანკო სისტემის მთლიან სადეპოზიტო ვალდებულებებში, რაც ამ ნდობის განმტკიცების მნიშვნელოვანი ინდიკატორია.

**- როგორია ბანკ "რესპუბლიკის" დამოკიდებულება საკრედიტო ბიუროს შექმნასთან დაკავშირებით?**

- ბუნებრივია, ნებისმიერი ბანკირი გეტყვით, რომ ამგვარი ბიუროს არსებობა აუცილებელია საბანკო სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისათვის. ქართული საკრედიტო ბიუროს შექმნის თაობაზე უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს საუბარი. მთავარი პრინციპი უნდა იყოს ის, რომ ყველა ბანკმა საკრედიტო ბიუროს მიაწოდოს ინფორმაცია სრულფასოვნად და ხარვეზების გარეშე. ჩვენ მზად ვართ აქტიურად ჩავერთოთ ამ იდეის რეალიზაციის საქმეში და საჭიროების შემთხვევაში მივიღოთ თანამონაწილეობა აღნიშნული პროექტის დაფინანსებაში.

**- როგორია ბანკ "რესპუბლიკის" დამოკიდებულება საბანკო დეპოზიტების სავალდებულო დაზღვევის სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით:**

- დეპოზიტების დაზღვევის სისტემა მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს საზოგადოების მხრიდან საბანკო სისტემისადმი ნდობის ამაღლებას, ისევე, როგორც ბანკების მხრიდან საბანკო რისკების ოპტიმალურ მართვას. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემოღების საშუალებას იძლევა საქართველოს საბანკო სისტემის დინამიური განვითარების ამჟამინდელი ეტაპი, რომელიც ასევე სტაბილურობითაც ხასიათდება. ამდენად, ვფიქრობთ, რომ საქართველო ანალოგიური სისტემის შექმნის აუცილებლობის წინაშე დგას. არსებობს განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნების საინტერესო გამოცდილება (პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში, ამა თუ იმ ფორმით, აღნიშნული სისტემა ფუნქციონირებს), რომელთა გათვალისწინების და ეროვნული ეკონომიკის თავისებურებებზე მორგების შემთხვევაში, საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბება რეალურ ამოცანად გვესახება. ამასთან, აღნიშნული მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან მაქსიმალურ მხარდაჭერას და მხოლოდ ცალკეული კომერციული ბანკების ძალისხმევა ამ მიმართულებით, ვფიქრობთ, არაეფექტურ ინიციატივად დარჩება.

**- როგორ ხედავთ საბანკო სისტემის გამჭვირვალობის პრობლემატიკას საქართველოში?**

- ალბათ ეს არა მხოლოდ საბანკო სისტემის პრობლემაა, არამედ საზოგადოდ კორპორაციული კულტურის ნაკლებობაა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მონაწილეობით ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ქართულ კორპორაციული მართვის კოდექსზე. ანალოგიური არსებობს მსოფლიოს თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში და იგი მოიაზრება, როგორც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი კორპორაციული მართვის გამჭირვალე და ეფექტური სისტემის შესაქმნელად.

მინდა მოგახსენოთ, რომ ბანკმა "რესპუბლიკამ" წარმატებით გაიარა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ბიზნესის განვითარების ჯგუფის პროექტის შესარჩევი ეტაპი და იგი მიმდინარე წლის ივლისის თვეში საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ დასახელებულ იქნა საქართველოში პირველ პილოტ კომპანიად და ჯერჯერობით ერთადერთ ბანკად, რომელშიც აღნიშნული ჯგუფი კორპორატიული მართვის სრულყოფის პროგრამას განახორციელებს.

**- ვინ არიან ბანკ "რესპუბლიკის" აქციონერები?**

- ბანკის აქციონერები არიან, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები (აქციონერთა ჩამონათვალი და წილობრივი მონაცემები იხილეთ თანდართულ ცხრილში: ბანკის ზოგადი მონაცემები - ა.გ.).

**- თქვენ ბრძანდებით ბანკის აქციონერი და ამავე დროს აღმასრულებელი დირექტორი; ეს მომენტი გარკვეულწილად ინტერესთა კონფიქტს ხომ არ იწვევს?**

- ინტერესთა კონფლიქტს ვერ დავარქმევ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ბანკს დაქირავებული მენეჯერი უნდა მართავდეს. ეს პროცესი ჩვენთან უახლოესი ერთი წლის განმავლობაში განხორციელდება და მართვის სადავეებს სხვა გადაიბარებს.

საერთოდ, ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომები არსებობს. მაგალითად, მენეჯმენტ-კონალტიგნის ერთ-ერთი წამყვანი კომპანია - მაკკინსი - ემხრობა პრინციპს, რომ ბანკის მენეჯერი უნდა იყოს ბანკის დამფუძნებელი. ევროპელები ამ საკითხს სხვაგვარად უდგებიან.

## კონკურენცია

**- რომელია ბანკ "რესპუბლიკის" მიზნობრივი ბაზრები?**

- ბანკი "რესპუბლიკა" ძირითადად მსხვილი კორპორატიული კლიენტურის სეგმენტზე და მათთან დაკავშირებულ ფიზიკურ პირებზეა კონცენტრირებული, რაც ამ სეგმენტზე ბანკის მიერ დაგროვილმა გამოცდილებამ და კონკურენტულმა უპირატესობებმა განაპირობა. ბანკი პირველია საქართველოში, რომელსაც ე.წ. Privat Banking-ის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს და მიზანმიმართულად ავითარებს მომსახურების ამ ფორმას.

**- რომელია ბანკ "რესპუბლიკის" ძირითადი კონკურენტი ბანკები?**

- ბანკი "რესპუბლიკას" სტრატეგიიდან და საქმიანობის კულტურიდან გამომდინარე ძირითად კონკურენტად თიბისი ბანკს დავასახელებდი. თუმცა ვთვლი, რომ საქართველოში მოქმედი ყველა წამყვანი კომერციულ ბანკი (ბანკები ლიდერი ათეულიდან) სერიოზულ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს. საერთოდ, ჯანსაღი კონკურენცია მნიშვნელოვანი ფაქტორია საბანკო სისტემის განვითარების სტიმულირებისათვის.

**- თქვენი სუბიექტური შეფასებით როგორ დაახასიათებდით ბანკ "რესპუბლიკის" ძლიერ და სუსტ მხარეებს კონკურენტებთან მიმართებაში?**

- ბანკი ძირითად კონკურენტულ უპირატესობად თვლის მომსახურების მაღალ ხარისხს, საბანკო პროდუქტების ფართო ასორტიმენტს, ფილიალებისა და სერვისცენტრების ხელსაყრელ ადგილმდებარეობას. ვფიქრობთ, არცთუ მეორეხარისხოვანია საკრედიტო პორტფელის ხარისხი, რომლის შენარჩუნების პრინციპული ორიენტირი თან სდევდა პორტფელის მოცულობის ზრდას. მუდმივ ზრდას განიცდის ბანკის ხვედრითი წილი ნდობის სეგმენტი, რაც კიდევ უფრო ამყარებს კლიენტთა შორის რესპექტაბელური ბანკის ჩამოყალიბებულ იმიჯს.

ვფიქრობ, ბანკს მართებს მუშაობის გააქტიურება უცხოელ პარტნიორებთან, მათ შორის მათი კაპიტალში მონაწილეობის პერსპექტივის გათვალისწინებით.

## საფასო პოლიტიკა

**- საფასო პოლიტიკა რამდენად პრიორიტეტულია ბანკ "რესპუბლიკისათვის"? ბანკის მიერ კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისათვის?**

- ცხადია, ბანკი მიყვება ბაზარზე არსებულ ტენდენციებს და ითვალისწინებს ამ კუთხით კონკურენტი ბანკების მოქმედებებს. თუმცა, აქვე აღვნიშნავ, რომ ჩვენი ძირითადი კონკურენტული უპირატესობა არა საფასო პოლიტიკა, არამედ მომსახურების ხარისხი და საბანკო პროდუქტების მრავალფეროვნებაა.

**- ანუ შეიძლება ვთქვათ: მაღალი ფასი, მაღალი ხარისხი?**

- არა, ასე ვერ ვიტყვი, უფრო მართებული იქნება: მაღალი ხარისხი და კონკურენტული ფასი.

**- ზოგიერთი ბანკების მიერ ხდება სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირება კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად. თუ შეეხო ეს პროცესი ბანკ "რესპუბლიკას" და მის კლიენტებს? რას უპირისპირებთ ამ პროცესს?**

- როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენ ძირითად მიზნობრივ ბაზარს მსხვილი კორპორატიული კლიენტები და მათთან დაკავშირებული ფიზიკური პირები წარმოადგენენ. ამ სეგმენტთან მუშაობაში კი ძალიან დიდი გამოცდილება გვაქვს; ჩვენ კორპორატიული ბაზრის დაახლოებით 30-35 პროცენტს ვაკონტროლებთ. ვფიქრობ, რომ ბანკების მიერ საპროცენტო განაკვეთების შემცირება ჩვენთვის აქტუალური არ არის, რადგან ეს ბანკები სხვა სეგმენტზე და სხვა სტრატეგიით მუშაობენ.

## საბანკო პროდუქტები

**- ბანკ "რესპუბლიკაში" როგორია ახალი საბანკო პროდუქტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი?**

- ახალი პროდუქტის დანერგვის შესახებ გადაწყვეტილება კლიენტთა მოთხოვნილებების კვლევის შედეგების საფუძველზე მიიღება. საზოგადოდ ვფიქრობ, რომ საბანკო პროდუქტების გამრავალფეროვნება, კლიენტთათვის ახალი და უფრო მეტად მორგებული სერვისის შეთავაზება ხელს უწყობს საბანკო მომსახურებაზე მოთხოვნის სტიმულირებას. ჩვენი ბანკის მიერ პირველად საქართველოში შემოთავაზებული იქნა ისეთი საბანკო პროდუქტები, როგორიცაა ხარჯვითი ანაბარი, 24 საათიანი სერვის ცენტრები, ე.წ. ``VIP" სერვის-ცენტრი Privat Banking-ის მიმართულებისთვის და მომსახურების მიწოდების სრულიად განსხვავებული კონცეფცია.

**- რომელი ფაქტორები განსაზღვრავენ ბანკ რესპუბლიკაში კლიენტთა მომსახურების დონეს?**

- ძირითადი ფაქტორებია: კლიენტზე მორგებული მომსახურების პირობები, მომსახურების მაღალი ხარისხი, ინდივიდუალური მიდგომა კლიენტებისადმი. აქვე ავღნიშნავ, რომ ბანკი მონაწილეობს SBFIC-ის (Savings Banks Foundation for International Cooperation) პროექტში, რომელიც საცალო საბანკო მომსახურების (retail banking) სრულყოფას ისახავს მიზნად. აღნიშნული გულისხმობს კლიენტთა მომსახურების არსებული დონის განსაზღვრას და მის შემდგომ სრულყოფას.

## საკრედიტო პოლიტიკა

**- რომელ ძირითად პრობლემებს აწყდება თქვენი ბანკი ამა თუ იმ ბიზნესის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას?**

- როგორც წესი, საკრედიტო წინადადების განხილვისას ძირითადი პრობლემა წარმოიქმნება კლიენტის საკრედიტო ისტორიის დადგენისას, რაც განპირობებულია საკრედიტო ბიუროს არარსებობით. მეორე პრობლემა, რომელსაც ვაწყდებით, ეს არის ბიზნესის ისტორიული ჩანაწერების საიმედოობა ან არარსებობა. წარსული ინფორმაციის არქონა არ იძლევა საპროგნოზო შემოსავლებისა და რისკების დაზღვევის მექანიზმის ჩამოყალიბების საშუალებას. წარსულში სესხზე უზრუნველყოფის დოკუმენტაციის საჯარო რეესტრში დარეგისტრირების პროცესი საკმაოდ ჭიანურდებოდა, რაც ზრდიდა დროს სესხის დამტკიცებიდან მის გაცემამდე. მოხარული ვარ, რომ ბოლო პერიოდში ეს პრობლემა მნიშვნელოვნად გამოსწორდა და იმედი მაქვს მომავალში ეს ვადა კიდევ უფრო შემცირდება.

**- როგორია ბანკი "რესპუბლიკის" საკრედიტო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები?**

- უახლოესი ორი წლის განმავლობაში ბანკმა უნდა განავითაროს თავისი აქტიობა უძრავი ქონების დაკრედიტების მიმართულებით. აღნიშნული ეხება როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების დაფინანსებას. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბანკის პრიორიტეტად რჩება კორპორატიული სეგმენტის გაფართოება. ამასთან, პარალელურად, ბანკის მიზანს წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების საკითხებში ბაზრის ლიდერის პოზიციის მოპოვება. ამ მიმართულებით აუცილებელია ბანკის არსებული საფილიალო ქსელის მაქსიმალურად გამოყენება.

**- რომელ პრობლემებს აწყდება ბანკი პრობლემური სესხების ამოღებისას?**

- გაჭიანურებული სასამართლო პროცესის გამო ბანკს ექმნება გარკვეული პრობლემები იპოთეკის საგნის დასაკუთრების ან რეალიზაციის პროცესში. იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციით თანხის ამოღების პროცედურა საშუალოდ 1.5 წელს გრძელდება. ჩვენი მოსაზრებით, უძრავი ქონების სასამართლოში განხილვისა და რეალიზაციის პროცესი უნდა გრძელდებოდეს მაქსიმუმ 3-4 თვის განმავლობაში და იპოთეკარი (ამ შემთხვევაში საბანკო დაწესებულება) უნდა იყოს მაქსიმალურად დაცული გაცემული კრედიტის და დარიცხული სარგებლის დროულად ამოღების კუთხით.

**- თქვენი აზრით, რა ფაქტორებია საჭირო საქართველოში ლიზინგის განვითარებისათვის?**

- არ ვიქნები ორიგინალური თუ ვიტყვი, რომ ლიზინგის შესახებ კანონმდებლობა მოითხოვს გარკვეულ სრულყოფას და ჩემი ინფორმაციით ამაზე მუშაობა დაწყებულია. ალბათ მნიშვნელოვანი ფაქტორია მეწარმეთა გაუთვითცნობიერებლობა ლიზინგის სფეროში, რაც ალბათ დროის საქმეა. საერთოდ კი ლიზინგზე, როგორც პროდუქტზე მოთხოვნა საქართველოში არცთუ მცირეა.

## კაპიტალი და მოგება

**- შემცირებადი მარჟების პირობებში როგორია ბანკ "რესპუბლიკას" სტრატეგია მომგებიანობის შესანარჩუნებლად?**

- მარჟების კლებადი ტენდენცია ბუნებრივი პროცესია და იგი მომავალშიც გაგრძელდება. ამას ხელს უწყობს საბანკო სისტემაში კონკურენციის ზრდაც, რაც უშუალოდ მოქმედებს საკრედიტო რესურსის ფასზე და აიაფებს მას. თუმცა ამავდროულად არსებობს რიგი ობიექტური ფაქტორები (მაკროეკონომიკური გარემოს არასტაბილურობა, ინფლაციური მოლოდინი, სავალდებულო რეზერვების ჯერ კიდევ მაღალი ნორმა, თუმცა ცნობილია ეროვნული ბანკის პოლიტიკა მათი შემცირების თვალსაზრისით) რომლებიც ამ კლების გარკვეულ შემანელებელ ფაქტორებსაც წარმოადგენენ. ბანკის სტრატეგია აღნიშნულ ვითარებაში არის არასაპროცენტო ხარჯების ეფექტური მართვა.

**- როგორია ლარის კურსის გამყარების ეფექტი ბანკისა და მისი კლიენტების ბიზნესზე?**

- ბანკის კლიენტურა მრავალგვარია და ბუნებრივია, თითოეულ მათგანზე ლარის კურსის გამყარებას განსხვავებული ეფექტი აქვს: იმპორტიორებს თუ ახარებთ ეს ფაქტი, ექსპორტიორები შეშფოთებულები არიან. თუმცა თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში დოლარიზაციის მაღალ მაჩვენებლებს (უცხოურ ვალუტაში დეპოზიტებისა და სესხების მაღალ წილს მთლიან დეპოზიტებში და სესხებში), საბოლოოდ ეს ფაქტორი, ალბათ, უფრო უარყოფით კონტექსტში აღიქმება.

მე ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ლარის გამყარება გარკვეული ობიექტური ფაქტორებით არის განპირობებული, რომლის შესახებაც უკვე მრავლად ითქვა. ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ეს არსებითია, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში მთლიანად ქვეყნის ეკონომიკისათვის სასარგებლო მოვლენა.

**- მიმდინარე წლის გეგმიური სუფთა მოგება და ამონაგები კაპიტალზე, რომელსაც ბანკი "რესპუბლიკის" აქციონერები ელოდებიან მენეჯმენტისაგან?**

- საფინანსო წლის ბოლოს ვვარაუდობთ, რომ ბანკის წმინდა მოგება 8 მილიონი ლარის ფარგლებში იქნება, ხოლო უკუგება კაპიტალზე სავარაუდოდ 32-35 პროცენტი. მინდა გარკვეული სიამაყით აღვნიშნო, რომ ბანკი ეფექტიანობის ამ მაჩვენებლებით ლიდერია საბანკო სისტემაში და მიუხედავად მარჟების კლებადი ტენდენციისა, რომელზედაც ვისაუბრეთ, იგი წლიდან-წლამდე აუმჯობესებს მას.

## საკადრო პოლიტიკა

**- ბანკ "რესპუბლიკის" საკადრო პოლიტიკა: კვალიფიციური კადრების მოზიდვისა და შენარჩუნების მექანიზმი?**

- მენეჯმენტი ბანკის მთავარ აქტივად კვალიფიციურ კადრებს მიიჩნევს, რადგან გვესმის რომ პროფესიონალი კადრები ნებისმიერი წარმატებული ბიზნესის საწინდარია. შესაბამისად კადრების შერჩევის და მიღების მთავარი პრინციპია ამ პროცესის სამართლიანად და ღიად ჩატარება: ნებისმიერი თანამშრომელი მხოლოდ კონკურენტულ საფუძველზე ტესტირების შედეგად მიიღება.

**- როგორია თანამშრომელთა მოტივაციის სისტემები ბანკ "რესპუბლიკაში"?**

- ვცდილობთ, თანამშრომლებს მივცეთ თვითრეალიზაციის სრული საშუალება და კარიერული ზრდის შესაძლებლობა. ჩვენს ბანკში საკმაოდ ბევრმა საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერმა რიგითი თანამშრომლის პოზიციიდან დაიწყო და გაიარა ყველა შემდგომი საფეხური. ბანკში არსებობს პრემირების სისტემა და ჩვენი პრინციპია, რომ არც ერთ თანამშრომელს არ ჰქონდეს იმის ეჭვი, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაო შეუფასებელი ან დაუფასებელი დარჩება. გვაქვს თანამშრომელთა მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც განსაკუთრებულ შემთხვევებში, ვთქვათ დაოჯახებისას, თანამშრომელთა ფულად დახმარებას ითვალისწინებს. ბანკში შემუშავებულია ანაზღაურებისა და შეღავათების კონკურენტუნარიანი სქემა სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით. ასევე ბანკი არცთუ მცირე ხარჯებს იღებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. თანამშრომლებზე ზრუნვა გამოხატულია აგრეთვე მათთვის მუშაობის საუკეთესო პირობების შექმნაში. გასულ წელს ჩვენ დავიწყეთ ახალი სათაო ოფისის მშენებლობა და იგი, სავარაუდოდ, 2005 წელს დასრულდება. ეს იქნება თანამედროვე არქიტექტურითა და დიზაინით გადაწყვეტილი შენობა, რომელიც ერთნაირად კომფორტული იქნება როგორც ბანკის თანამშრომელთათვის, ასევე ბანკში მოსული კლიენტებისთვის.

**- რამდენია თანამშრომელთა რაოდენობა და წლიური სახელფასო ბიუჯეტი?**

- დღეისათვის ბანკში დასაქმებულია 240 ადამიანი, ხოლო ბანკის წლიური სახელფასო ბიუჯეტი შეადგენს 4 მილიონამდე ლარს.

**- რა კრიტერიუმების მიხედვით ახორციელებთ კადრების შერჩევას?**

- ძირითადი და განმსაზღვრელი კრიტერიუმი ჩემთვის ამ შემთხვევაში არის მენეჯერული და ორგანიზატორული უნარჩვევები. რა თქმა უნდა, არსებობს უამრავი ფაქტორი, რომელთა გათვალისწინებით ვახდენთ კადრების შერჩევას, მაგრამ ზემოთ ხსენებული ფაქტორი ყველაზე მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით მაშინ, როცა კადრის შერჩევა მენეჯერული პოზიციისათვის ხდება.

## მენეჯმენტი

**- როგორც ერთ-ერთი წარმატებული ბანკის მენეჯერი, როგორ ფიქრობთ, რა ფაქტორები განსაზღვრავენ კომერციული ბანკის წარმატებას საქართველოში?**

- საქართველოში მოქმედი ბანკების რენტაბელობის მაჩვენებლების ანალიზიდან გამომდინარე, ბანკის სიდიდე (იგულისხმება არა მხოლოდ აქტივების სიდიდე, არამედ ფილიალების და მომსახურებათა განყოფილების რაოდენობა, პერსონალის რაოდენობა და სხვა) არ წარმოადგენს მაღალი ეფექტიანობის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორს. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში მაღალი ფიქსირებული ხარჯების გამო ბანკების რენტაბელობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაბალია. ჩვენი აზრით, საქართველოს რეალობა ამ თვალსაზრისით არ განსხვავდება მნიშვნელოვნად სხვა ქვეყნების რეალობათაგან და ბანკის საქმიანობის წარმატებულობის უპირველეს გარანტად ეფექტური მენეჯმენტი გვესახება. აქ იგულისხმება როგორც კორპორაციული ფინანსური მენეჯმენტის ძირით-ძირობამდე გააზრებული მეთოდები, ასევე ზუსტი, მენეჯერულ აღრიცხვაზე დამყარებული სატარიფო პოლიტიკა, პერსონალის საქმიანობის სწორი მოტივაცია მათი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით და სხვა.

**- როგორია ბანკ "რესპუბლიკის" სტრატეგიული გეგმები მომავალი 2-3 წლისათვის?**

- უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში ბანკი აპირებს მნიშვნელოვნად გააფართოოს მომსახურეობის მასშტაბები, როგორც გეოგრაფიული არეალის გაზრდით, ასევე კლიენტთათვის ახალი და მათზე სულ უფრო მეტად მორგებული სერვისის შეთავაზებით. მომავლის მიზნებიდან ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ჯერ კიდევ მომსახურების ხარისხის უმაღლეს დონეზე ფორმირება დგას. რეკორდული ფინანსური ნახტომები ბანკის თვითმიზანს არ წარმოადგენს. აქ სტაბილურობას, ავტორიტეტსა და საკუთარ შესაძლებლობებში თავდაჯერებულობას ენიჭება უპირატესობა.

| ბანკის ზოგადი მონაცემები 31.08.04 | |
|---|---|
| ბანკის დასახელება | სს "ბანკი რესპუბლიკა" |
| ბანკის დაარსების თარიღი | ნოემბერი, 1991 |
| ბანკის აქციონერები | ლაშა პაპაშვილი 25% |
| | [illegible] 20% |
| | [illegible] 12% |
| | შპს "[illegible]" 10% |
| | შპს "[illegible]" 3% |
| | სს "[illegible]" 1% |
| | სხვა 4% |
| | სხვა ფიზ. პირები 24% |
| ბანკის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე | ლაშა პაპაშვილი |
| ფილიალებისა და სერვის-ცენტრების რაოდენობა | 11 |
| ბანკის თანამშრომელთა რაოდენობა | 240 |
| ბანკის CAMEL-ის [illegible] რეიტინგი | 2 |
| ბანკის ვებ-საიტი | www.republic.ge |

| საბალანსო უწყისი 31.08.04 (ათასი ლარი) | |
|---|---|
| ნაღდი ფული და ფულადი სახსრები | 31,134 |
| საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 15,934 |
| მთლიანი სესხები | 56,066 |
| მინუს: სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი | (4,232) |
| წმინდა სესხები | 51,834 |
| დარიცხული მისაღები პროცენტები და დივიდენდები | 1,150 |
| ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები | 5,449 |
| სხვა აქტივები | 2,170 |
| **მთლიანი აქტივები** | **107,671** |
| | |
| მიმდინარე ანგარიშები | 49,586 |
| ვადიანი დეპოზიტები | 29,366 |
| ბანკების დეპოზიტები | 256 |
| ნასესხები სახსრები | - |
| დარიცხული გადასახდელი პროცენტები და დივიდენდები | 804 |
| სხვა ვალდებულებები | 3,006 |
| **მთლიანი ვალდებულებები** | **83,018** |
| | |
| ჩვეულებრივი აქციები | 5,826 |
| პრივილეგირებული აქციები | - |
| საემისიო კაპიტალი | 445 |
| საერთო რეზერვები | 2,758 |
| გაუნაწილებელი მოგება | 14,074 |
| აქტივების გადაფასების რეზერვი | 1,551 |
| **სულ სააქციო კაპიტალი** | **24,653** |
| **მთლიანი ვალდებულებები და სააქციო კაპიტალი** | **107,671** |

| მოგება-ზარალის უწყისი 01.01.04-31.08.04 (ათასი ლარი) | |
|---|---|
| საპროცენტო შემოსავალი | 9,156 |
| საპროცენტო ხარჯები | 2,161 |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | **6,996** |
| | |
| წმინდა საკომისიო და სხვა შემოსავლები | 1,479 |
| სხვა არასაპროცენტო შემოსავლები | 1,470 |
| **სულ არასაპროცენტო შემოსავლები** | **2,949** |
| არასაპროცენტო ხარჯები | 3,960 |
| **წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი** | **(1,011)** |
| | |
| წმინდა მოგება დარეზერვებამდე | 5,984 |
| ზარალი აქტივების შესაძლო დანაკარგების მიხედვით | (179) |
| მოგება გადასახადის გადახდამდე | 6,163 |
| მოგების გადასახადი | 975 |
| **მოგება გადასახადის გადახდის შემდეგ** | **5,188** |









## დიდი თამაშის ქრონიკა



B3

## ორ ხელისუფლებიანობა

გეგუჩაძე ზომიერად კმაყოფილია



B4

## დიუკი ყველაზე შორს გავიდა



B7

ნოდარ ლადარია



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

20 სექტემბერს სასწავლო წელი დაიწყო, შეიძლება ითქვას, საქართველოს უახლეს ისტორიაში ყველაზე ქარიშხლიანი სასწავლო წელი... მაგრამ ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი, რადგან განათლების რეფორმის მღელვარება, რაც არ უნდა ხმაურიანი იყოს, მხოლოდ გარეგანი გამოვლინებაა უფრო ღრმა დაფარული პროცესისა.

22 სექტემბერს "24 საათმა" გვამცნო: *მთავარი თემა — რუსეთი*. ეს **ნინო გომართელის** სტატიის სათაურია, ოღონდ სტატიას აქ არ შევეხებით — ის კეთილსინდისიერად გვაწვდის გაეროს გენერალური ასამბლეის ამბებს. მაგრამ სათაური აშკარად სცილდება ტექსტის მნიშვნელობას, რადგან რუსეთი უკვე დიდი ხანია ჩვენს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სწორედ რომ მთავარი თემაა და, სამწუხაროდ, ჩვენს მიერ ამ თემის განხილვა ვერც ერთ დონეზე ვერ აღწევს მის ნამდვილ მნიშვნელობას. აქ კი დღევანდელი პუბლიკაციის ღერძს მივუახლოვდით.

22 სექტემბერს გამოქვეყნდა **გურამ მაღლაკელიძის** სტატია *უმოქმედობა ღალატის ტოლფასია*. რამდენი სიმართლე გააუფასურა ჩვენში დამკვიდრებულმა მაღალფარდოვანმა რიტორიკამ! მეც ამან შემიყვანა შეცდომაში და ამიტომაც უნდობლად მოვეკიდე ასე ხმამაღლა დასათაურებულ ტექსტს. მადლობა ღმერთს, ვცდებოდი. ქართული ჟურნალისტიკისათვის ჯერაც უჩვეულო ცხადი და შინაარსიანი მანერით აანალიზებს დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას. მარტო იმას კი არ დაგვძახის, რომ მტერს ჩვენი დამხობა სწადია (სკოლის მერხიდან მოყირჭებული თემა!), არამედ იმასაც გვიხსნის, თუ რატომ სწადია (ჩვენი "ედემ-ბაღების" დარდი ვისა აქვს, მთავარი აზერბაიჯანია და მისი ნავთობი). იმედია, მსოფლიოში საკუთარი ადგილისა და როლის ამგვარი ობიექტური შეფასება არა მარტო ჟურნალისტიკაში, ყოფით ცხოვრებაშიც დამკვიდრდება ადრე თუ გვიან. ასე რომ, მადლობა გადავუხადოთ ავტორს და მისი ტექსტის ზოგ დეტალზე შევჩერდეთ.

მაშ ასე, ავტორი ახასიათებს იმ სავარაუდო თუ უკვე დაწყებულ ქმედებებს, რომლებსაც რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ მიმართავს. პირველია ეკონომიკური ზომები: "**აქ იგულისხმება არა ელექტროენერგიისა და გაზის გადაკეტვის მარტივი მეთოდი, არამედ ... ქართული ეკონომიკური სისტემის მოშლა, ქვეყანაში სოციალური დაძაბულობის ესკალაცია და ამ გზით დაპირისპირების ინსპირირება მოსახლეობის სხვადასხვა ეროვნულ ჯგუფებსა და ფენებს შორის**". დავეთანხმებით და დავამატებთ: არა მარტო ეროვნულ, არამედ სოციალურ ჯგუფებს შორის. ამის დადასტურებას ქვემოთ შევეცდებით.

მეორე მიმართულება კი შემდეგია: "**მხარდაჭერა უნდა გამოეცხადოს ახალ პრორუსულ პოლიტიკურ ძალებს. რუსეთმა საქართველოში უნდა ჩამოაყალიბოს საკუთარი პოლიტიკური ლობი. მკითხველს, ვფიქრობ, ახსნა-განმარტება არ სჭირდება რა ახალ "პრორუსულ ძალებზეა" ... საუბარი**". აი, აქ კი არ დავეთანხმებით: ახსნა-განმარტება ნამდვილად გვჭირდება. მით უმეტეს, რომ სრულიად ვიზიარებთ გურამ მაღლაკელიძის თვალსაზრისს, რომ ჩვენს "შესაბამის სამსახურებში" დასაქმებული კადრების კომპეტენცია ნამდვილად არაა საკმარისი.

გაზაფხულზე, უკვე გადალახული აჭარის კრიზისის დასაწყისში, როცა ყოფილი პოლიტიკური სპექტრის ნამსხვრევებმა კვლავ ბათუმში მოიყარეს თავი, **მიხეილ სააკაშვილს** ერთ-ერთ ტელეგამოსვლაში წამოცდა: "როგორ გამოჩნდა, ვისა აქვს ფული აღებული!". გასაგებია, რომ "პრორუსული" პოლიტიკური ძალების საკოორდინაციო ცენტრი წარსულში ასლან აბაშიძე იყო. "პრორუსული" კი იმიტომ ჩავსვით ბრჭყალებში, რომ რაღაც საქმის საკეთებლად აუცილებელი არაა შეგნებული გქონდეს, რას აკეთებ: ზოგჯერ გარკვეული გობიდან თქვლეფაც საკმარისია.

დღეს საკოორდინაციო ცენტრის საკითხი თითქოს ღიაა. მაგრამ ეს ღიაობა ყველას თვალში ხვდება. რამდენიმე დღის წინ "რუსთავი 2"-ის ჟურნალისტებმაც იკითხეს, ვინაა დღეს "პრორუსული" პოლიტიკური ძალაო. ამის თაობაზე სულ სხვა შეკითხვა გამახსენდა, რომელიც ცნობილ მეთოჯინეს, სერგეი ობრაზცოვს დაუსვეს: "როგორ ახერხებთ თოჯინების მართვას? რაიმე უხილავი მოწყობილობები გაქვთ?" ოსტატმა უპასუხა: "სულაც არა, თოჯინის თავზე მიმაგრებულია თითის სიმსხო ჯოხი. მაყურებელი ვერ ამჩნევს, იმიტომ რომ ასეთი თავხედობა აზრადაც არ მოუვა". იქნებ სწორედ ამიტომაც ვერ ვამჩნევთ, რომ სულ თვალწინ გვიდგას?..

აქ კი ისეთ ადგილას მივედით, სადაც სათავგადასავლო რომანების ავტორები სამ ვარსკვლავს (ასტერისკს) სვამენ, ან სულაც ახალ თავს იწყებენ. ჩვენ ამდენის საშუალება არა გვაქვს და პირდაპირ ვიტყვით, რომ 20 სექტემბრის ნომერში ვკითხულობთ ახალგაზრდა ჟურნალისტის, **ნინო ცინცაძის** სტატიას *დალოცვა და მოთხოვნა განათლების სამინისტროში*. საქმე კათოლიკოს-პატრიარქის სამინისტროში ვიზიტს ეხება. ტექსტიდან ვიგებთ, რომ ვიზიტის მთავარი მიზეზი განათლების კანონპროექტი იყო. მოყვანილია მაღალი სტუმრის სიტყვები: "**ჩვენთან ძალიან ბევრი ადამიანი მოდის და ამბობს, რომ ამ კანონპროექტის ტექსტი მათთვის მიუწვდომელია**". ნეტა რატომ მიდის "ძალიან ბევრი ადამიანი" ამ საკითხის გასარკვევად სწორედ საპატრიარქოში? და კიდევ ერთი შენიშვნა: საზოგადოების მხრიდან გაუგებრობის ან აღშფოთებისადმი აპელაცია უკვე ამ თემის ერთგვარ ლოკუსად იქცა. იგივეს ამბობენ საშუალო დირექტორები, ძველი პროფესორები და ახალი მემარჯვენეები.

ამის შემდეგ სტატიაში ვკითხულობთ, როგორ იმუქრება რუსთაველი დეკანოზი მიქაელ ჭაბაშვილი, რომ ბავშვებს სკოლაში არ მიუშვებს, როგორ მართავენ სახელმწიფო კანცელარიის წინ ბასილ მკალავიშვილის მსგავს ლიტანიობას სამღვდელოება, "ლეიბორისტები" და "სახალხო ფრონტი". ვხედავთ, რომ პროტოპრესვიტერი **გიორგი გამრეკელი** განათლების სამინისტროში, "ვითარცა უწმინდურ ადგილას" უჯვროდ მოვიდა (მის მაღალღირსებას, როგორც ეტყობა, ისე გადაუტრიალდა თავში ქრისტიანული შეგნება, რომ ქრისტეს ჯვრისაგან კი არ ელის დაცვასა და ნუგეშს, ჰგონია, რომ ქრისტეს ჯვარს სჭირდება ეს მისგან)...

რას ნიშნავს ეს ყოველივე? — გავიხსენოთ უკმაყოფილების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი: ჰაგიოგრაფიის საკითხი და ქართულის საათების შემცირება. ენას ებრძვიან, ტრადიციებს აუმხედრდნენ!

ვცადოთ გარკვევა. ამისათვის გამოგვადგება "საპატრიარქოს უწყებანის" 35-ე ნომერი, მით უმეტეს, რომ საქმე სილამაზის კონკურსს ეხება და ჩვენი გაზეთის გვერდებსაც ჯერ კიდევ ახსოვს ქართველი ტურფების ნაზი შეხება. ვკითხულობთ: "**სილამაზის კონკურსი ესაა ლათინელ ხალხთა უძველესი ჩვეულების აღორძინება და მისი არსი თეთრი მონებით შეფარული ვაჭრობაა. ცნობილია, თუ არა თქვენთვის ამ ლამაზმანთა შემდგომი ბედი? თუ არა, იცოდეთ, რომ იგი საშინელია: უკანონო კავშირები, უკანონო შვილები (საბრალო ბავშვები!), სენსაციური სასამართლო პროცესები, თვითმკვლელობები**". თავი დავანებოთ იმას, რომ მონებით ვაჭრობა მხოლოდ "ლათინელთა" პრივილეგია არ იყო: თუ ჩვენი სასულიერო პერიოდიკა შუა საუკუნეებშია გაჩხერილი, ის მაინც უნდა ახსოვდეთ, რომ XIV საუკუნეში ერთ-ერთი აქტიური მონათა ბაზარი ათონის მთაზე იყო და კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიერ საქმის გამოსაკვლევად გაგზავნილმა ეპისკოპოსმა თავის უწყებაში ისიც აღნიშნა, ძლივს დავაღწიე თავი ბერების ხანჯლებსო.

აქ საქმე გაცილებით უფრო რთულადაა. ტექსტი იზოლაციონიზმის, საკუთარ არსებობაში ჩაკეტვის ქადაგებაა. დავფიქრდეთ, რას ხედავს თავის გარშემო საშუალო ქართველი, რას ჭამს ყოველდღე, სად დადის, რა რეალობას ეხება? ახლა დავფიქრდეთ, რამდენი სიტყვა დასჭირდება მას ამ მწირი რეალობის აღსაწერად, მასში შესაძლებელი ღარიბი კომუნიკაციების განსახორციელებლად? ხომ გასაგებია, რასაც ვგულისხმობ? თუ არა, კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან: ევროპულ ენებში ლათინური ძირის სიტყვათა უმრავლესობას საფუძვლად სახელობითი ბრუნვა კი არა, ბრალდებითი (აკუზატივი) უდევს. ეს რაღა შუაშია? ავიღოთ ჩვენთვის ბოლო დროს სანუკვარი სიტყვა "ვარდი". აი, წინადადება აკუზატივით: rosam video — ვარდს ვხედავ. უშუალო რეალობას წარმოგვიდგენს, მარტივ აღქმას. ახლა კი წინადადება სახელობითი ბრუნვით: rosa me placet — ვარდი მომწონს. ეს უკვე შეფასებაა, რომელიც აბსტრაქტული მსჯელობისა და ესთეტიკური გრძნობის უფრო მაღალ ხარისხს გულისხმობს. რომის იმპერიის დაცემის, სანაოსნო საქმის განადგურების შემდეგ ევროპელთა გარემომცველი რეალობა ისე გაღატაკდა, რომ მიუხედავად კლასიკური ლათინური პოეზიისა და პროზის არსებობისა, ენას არა მარტო ლექსიკა, გრამატიკაც დაუკნინდა. ათას ხუთასი წელი დასჭირდათ წელში გასამართად. სწორედ ასეთი რეალობის დამკვიდრებას გამოიწვევს საქართველოში იზოლაციონისტური და ანტისამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება — ცოცხალ ენას მდიდარი და ცვალებადი რეალობა ინარჩუნებს და არა ლიტერატურა. სამაგიეროდ, შექმნილ გონებრივ სიცარიელეს წარმატებით შეავსებს ჰაგიოგრაფიული "საზეპიროები". რაც უფრო გაუგებარი იქნება, მით უკეთესი — კარგად გამოტენილი ტიკინა ადვილი სამართავია.

ჩვენი რეალობა კი ქართულ ვიდეოკლიპს უნდა დაამსგავსონ: ორლარიანი გარეგნობის გოგოები, ორლარიანი მუსიკა, ორლარიანი ანტურაჟი და კრიალა ავტომობილი. ამ ავტომობილებზე კი ისინი ისეირნებენ, ვინც კარგად იცის, რომ თავის დასაბანად "Herbal Essence" ჯობია ძროხის შარდს, მაგრამ, აბა, ყველას კი არ გვეყოფა: ყველას სამყოფი და თანაც მუქთი ხომ მხოლოდ სადღეგრძელოების უბადრუკი რიტორიკაა! საიდან მოდის ეს მოდელი? — რუსი ღვთისმეტყველი **გიორგი ფედოტოვი** წერდა, რომ რუსი ერი ორ ნაწილად დაიყო: ინტელიგენტები და მუჟიკები, რომელნიც სხვადასხვა სამყაროებში ცხოვრობენ და ერთმანეთისა არ ესმით. მოდელის წარმოშობა ცხადია.

ახლა კი გურამ მაღლაკელიძის მიერ მითითებული პირველი პუნქტი გავიხსენოთ, მშვენიერი ალიტერაცია: **დაპირისპირების ინსპირირება**. როცა ლიბერალური ღირებულებების მაგიერ ისტორიულ-მითოლოგიური ბოდვა გაქვს თავში, ეს ძალიან ადვილია.

ახლა კი მეორე აუცილებელი კომპონენტიც ვნახოთ: "24 საათი", 22 სექტემბრის ნომერი, *საქართველოს საპატრიარქოს მიმართვა საქართველოს მოქალაქეებისადმი*. 24 სექტემბერს მოგვიწვიეს 300 არაგველის სულთა მოსახსენებელ პანაშვიდზე. მაგრამ აქ არის ერთი საგულისხმო ადგილი: "**ჩვენდა სამწუხაროდ, 300 არაგველის ისტორიულ და წმიდა ბაღს საფრთხე ემუქრება. კერძოდ, აქ დაწყებულია სასტუმრო-კომპლექსის უკანონო მშენებლობა, რომელმაც უკვე გაანადგურა ბაღის დიდი ნაწილი და ხელყო კრწანისის ომში დაღუპულ გმირთა ძვლები**". წმიდა ბაღი! — ესეც თეოლოგიური კაზუსი, თუ გნებავთ. უკანონო მშენებლობა! — რაო, იქნებ სასამართლომ უკვე გამოიტანა შესაბამისი გადაწყვეტილება? ან იქნებ საპატრიარქოს გადასცეს ეს კომპეტენცია უზუფრუქტის სახით? საქმე კი სულ სხვაგვარადაა: მშენებლობის მწარმოებელი ბ-ნი **მოსიაშვილი** უკვე კარგა ხანია ითხოვს, რომ შესაბამის ადგილას ჩატარდეს არქეოლოგიური გამოკვლევა. თუ იქ მართლაც აღმოჩნდება ძვლები, მშენებლობის გადატანას გვპირდება. ამ გონივრულ წინადადებას ეწინააღმდეგება არქეოლოგი, პროფესორი **იულონ გაგოშიძე**. რატომ? იქნებ იცის, რომ იქ არავითარი ძვლები არაა? თუ არის, რისი ეშინია? — არა მგონია, საფლავთა შეხებაზე ტაბუ არქეოლოგისთვის რელევანტური არგუმენტი იყოს. მაგრამ გავიხსენოთ, რომ ბ-ნი მოსიაშვილი ისრაელის მოქალაქეა. ნაციონალიზმი ქართველებისთვის არასოდეს ყოფილა უცხო ხილი, მაგრამ არასოდეს მიუღია ანტისემიტიზმის სახე. მოდელის წარმოშობა აქაც აშკარაა: бей жидов, спасай Россию.

და რადგანაც ჩვენი მსჯელობის არსი სულ უფრო საცნობი ხდება, შეიძლება პირდაპირ ვთქვათ, რომ საქართველოს საპატრიარქოს პრორუსული პოლიტიკის გაცილებით უფრო აშკარა მაგალითებიც არსებობს. 2004 წლის 14 სექტემბერს დსთ-ს რელიგიათშორისმა საბჭომ გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომლითაც ეხმიანება რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მიერ საგარეო პრევენციულ დარტყმათა შესახებ განცხადებას და მხარს უჭერს ტერორისტთა ფიზიკურ განადგურებას. თარგმანის გარეშე მოვიყვან ერთ საოცარ ადგილს განცხადებიდან: "Уничтожение террористов и их пособников, прикрывающихся именем ислама, не только не может повредить христиано-мусульманским взаимоотношениям, но и, наоборот, укрепит их". ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ამ დოკუმენტის ქვეშ ავტომატურად აღმოჩნდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის ხელმოწერაც, რადგან უწმინდესი და უნეტარესი ამ საბჭოს პრეზიდიუმის წევრია. საპატრიარქომ ამ ფაქტს მხოლოდ გაზეთ "რეზონანსის" შეკითხვის შემდეგ მიაქცია, ხოლო მისი ოფიციალური პოზიცია დღემდე არ გამოქვეყნებულა. როგორც რუსული სააგენტო "ბლაგოვესტ.ინფო" იუწყება, "საქართველოს საპატრიარქო არკვევს ამ დოკუმენტის შექმნის გარემოებებს". საპატრიარქო დღემდე დუმს, დუმილი კი, მოგეხსენებათ, თანხმობის ნიშანია.

დაბოლოს, კიდევ ერთი აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ საბოლოოდ მოხდეს "პრორუსული ლობის" ახალი საკოორდინაციო ცენტრის ლოკალიზაცია. 1984 წელს აწ გარდაცვლილმა მღვდელმთავარმა, **შიო ავალიშვილმა** ჩვენი ეკლესიის მეთაურს გულისტკივილით აღსავსე წერილი მისწერა, რომელიც მეუფის მემკვიდრეებმა გამაცნეს. წერილში ნათქვამია: "**თქვენ მიმბაძველობა გამოიჩინეთ თქვენი პატრიარქობის დასაწყისშივე, როდესაც განაცხადეთ, რომ ვატიკანს მსოფლიოში უდიდესი მუზეუმი აქვს და საქართველოს ეკლესიამაც უნდა შექმნას თავისი მუზეუმიო. ამ განცხადების შემდეგ თქვენი უშუალო მითითებით დაიწყო მოსახლეობიდან ყანწების, ხანჯლების და სხვა ათასგვარ უცნაურობათა ძალიან მაღალ ფასებში შესყიდვა და სეიფებში შელაგება**". ზოგად დასკვნას მკითხველს მივანდობ, მე კი იმას ვიტყვი, რომ ვატიკანს უფრო კარგი მისაბაძი რამ აქვს: ბიუჯეტის გამჭვირვალობა, რაც ჩვენს საპატრიარქოს, როგორც ეტყობა, ეშმაკზე უფრო მეტად აშინებს. მაგალითად, დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა თბილისის სასულიერო აკადემიაში ძველი აღთქმის ლექციაზე განუცხადა სტუდენტებს, რომ "ხაშმის ღვინის ქარხანასთან დაკავშირებული ამბების გაბაზრებისთვის" (!) ნოდარ ლადარია ეკლესიის უპირველესი მტერია, რისთვისაც, სადაც შეხვდებიან, იქვე უნდა ჩაქოლონ (!). მადლობა ღმერთს, საქართველოს ბიუჯეტი ჯერჯერობით გამჭვირვალეა და სტუდენტებმა ძალიან კარგად იციან, რამდენი გამოიყოფოდა სახელმწიფო სახსრებიდან (!) თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიისათვის, ისიც კარგად შეუძლიათ, რომ თავიანთ რეალურ მდგომარეობას შეუსაბამონ ეს თანხები. ამ პირობებში კი ნამდვილად სახიფათოა მათთვის ქვების დარიგება...




საჩუქრის ახალი ფორმა! გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?
შეიძინეთ და აჩუქეთ მაღაზია-სალონი სან-სეტის სასაჩუქრე ბარათი და საჩუქრის არჩევანის უფლება ბარათის მომავალ მფლობელს მიანდეთ.
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991



მის საქართველო 2004

# ქართველი მისები

სანდრო ნავერიანი



"იმიჯ-ცენტრის" ხელმძღვანელი წარადგენს "მის საქართველო 2004"-ს.

ბათუმში გამართულ სილამაზის კონკურსში "მის საქართველო 2004" გამოვლინდა. სალომე ჩიკვაიძე საქართველოს ყველაზე ლამაზი გოგონა გახდა. კომპეტენტურმა ჟიურიმ ბევრი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, რომ სალომე ჩიკვაიძე ყველაზე მეტად იმსახურებდა ამ ტიტულს, თუმცა, შოუს მსვლელობის დროს თავად ჟიურის წევრები აღნიშნავდნენ, რომ გადაწყვეტილების მიღება ძალიან რთულია. ჟიურის წევრები იყვნენ კულტურის მინისტრი გიორგი გაბაშვილი, ოლიმპიური ჩემპიონები ზურაბ ზვიადაური და გიორგი ასანიძე, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლეილა მესხი და მუსიკოსი აჩიკო გულედანი.

რაც შეეხება შოუს და გოგონებს, რომლებიც გუშინდელი საღამოს მთავარი გმირები იყვნენ, ყველაფერი ძალიან კარგი იყო, პირველ რიგში, რასაკვირველია, გოგონები. აშკარაა, რომ საქართველოში ყველაფერი იხვეწება, ნელ-ნელა, მაგრამ მაინც. დახვეწაში ვგულისხმობ ყველაფერ იმას, რაც კი "მის საქართველო 2004-ის" საღამოზე ვნახე. სცენაზე განლაგებული დეკორაცია, მუსიკალური გაფორმება, წამყვანების შოუს წაყვანის სტილი და საერთოდ, ორგანიზება. სცენის უკან იყო დამონტაჟებული დიდი მონიტორი, რომელიც ძალიან უხდებოდა დეკორაციას. უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორის ეფექტი განსაკუთრებული იყო. ვიდეომასალა, რომელიც კონკურსის მონაწილე გოგონების მოსამზადებელ პერიოდს ასახავდა, რამოდენიმეჯერ შემოგვთავაზეს. აქამდე ყველა გოგონამ თავისი, ასე ვთქვათ, რევიუ წარმოგვიდგინა. სწორედ ამ მონიტორის საშუალებით მოხდა ჯორჯ დიუკის ჩართვა და დარბაზში მისულმა მაყურებელმა დიუკის შესრულებით სამი სიმღერა მოისმინა. ჯორჯ დიუკმა კონკურსის გამარჯვებული თავისთან შოუზეც კი დაპატიჟა, თუმცა, იმ დროისთვის როდესაც შავკანიანი მომღერალი პირდაპირ ჩართვაში მომავალ "მის საქართველოს" თავისთან ეპატიჟებოდა, ჯერ არ იყო გარკვეული, თუ რომელი გოგონა გახდებოდა გუშინდელი საღამოს დედოფალი. ისევ ორგანიზებაზე მოგახსენებთ, ბათუმის თეატრის ფასადზე იყო უზარმაზარი ეკრანი და იმ ბათუმელებს, რომლებმაც დარბაზში მოხვედრა ვერ მოახერხეს, სწორედ ამ ეკრანზე შეეძლოთ, თვალი ედევნებინათ იმისთვის, რაც უშუალოდ თეატრის შენობაში ხდებოდა.

საღამო შოუს წამყვანებმა ზაალ უდუმაშვილმა და ნინო ხოშტარიამ გახსნეს. ამის შემდეგ, ადგილობრივმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა აჭარული ცეკვის ილეთებით გაანებივრა აუდიტორია, ხოლო შემდეგ კი სცენაზე ქართველი "მისები" გამოვიდნენ. მათ ეცვათ სპორტული კოსტიუმები, რომლებსაც "იმიჯ ცენტრის" ლოგო ამშვენებდა. მათ შეასრულეს საცეკვაო ნომერი. ბუმბერაზი მოცეკვავეები არიან-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ მათ მიერ შესრულებული ცეკვა ძალიან ეფექტური იყო, ეფექტურობას კი მისი უბრალოება იწვევდა. უნდა აღინიშნოს, რომ მთელი საღამოს განმავლობაში არც ერთი მუსიკალური თუ საცეკვაო ნომერი გადატვირთული არ ყოფილა და მთლიანობაში ძალიან უბრალოდ, მაგრამ მაღალ დონეზე იყო შესრულებული. გოგონების პირველი გამოსვლის შემდეგ დარბაზში აშკარა სიმპათიები გაჩნდა. მაგალითად: სოფო ხარებაშვილის გამოსვლაზე მთელი დარბაზი ტაშს უკრავდა, უსტვენდა და სოფო სოფოს ყვიროდა. იგივე ოვაციებით ხვდებოდნენ ლალი ნებიერიძის გამოჩენას. ღაც შეეხება კოსტიუმებს, სიხარულით მინდა ვთქვა, რომ ქართველ დიზაინერებსა თუ მოდელიორებს ძალიან კარგი გემოვნება აქვთ. თვალს ვადევნებდი და ვაკვირდებოდი, იქნებ რომელიმე კაბა არ მომეწონოს-მეთქი, მაგრამ ეგეთი რამ არ მომხდარა. კოსტიუმები, ძირითადად, ეგზოტიკურ ფერებში იყო გაწყობილი. ქართულ თემებზე შესრულებული კაბები და ღია მწვანე ფერი ერთმანეთს ძალიან უხდებოდა.

მას შემდეგ, რაც ჟიურის წევრებმა 27 გოგონდან ათი ამოირჩიეს, დარბაზში აპლოდისმენტები თითქმის არ შეწყდარა. მაყურებელი ხელს არ აჩერებდა და ოვაციებით ხვდებოდა ნებისმიერ კონკურსანტს. ათეული, რომელიც ფინალურ ეტაპზე გავიდა, წამყვანებმა ჩაამწკრივეს და ის კითხვები დაუსვეს, რომელიც მათთვის კომპეტენტურმა ჟიურიმ მოამზადა. ეს ყველაფერი საჭირო იყო მათი ინტელექტის გამოსავლენად. კითხვები არც ბერძნულ მითოლოგიას შეეხებოდა და არც საქართველოს ისტორიას, უბრალოდ, ჟიურის წევრებს აინტერესებდათ, თუ როგორ მოიქცეოდნენ გოგონები იმ შემთხვევაში, თუ მათ მილიონი ექნებოდათ, ან რა შეიცვლებოდა მათ ცხოვრებაში, თუ "მის საქართველო" გახდებოდნენ და ა. შ. გოგონების პასუხები, რა თქმა უნდა, მოკრძალებული და, შეიძლება ითქვას, უტოპიურიც კი იყო, მაგრამ ამას ვინმესთვის არც გუნება გაუფუჭებია და არც არაფერი. მეტიც, ყველა პასუხზე დარბაზი ისე გადაიხარხარებდა ხოლმე, რომ ჭაღს ზრიალი გაჰქონდა. საცეკვაო და მუსიკალურ ნომრებზე მოგახსენებდით და ის კი დამავიწყდა, რომ სცენაზე "მის საქართველო 2003" ირინა ონაშვილი გამოვიდა და სიმღერაც კი შეასრულა. ირინა ონაშვილის გამოსვლას დარბაზი ოვაციებით შეხვდა, თუმცა ოვაციები სიცილმა შეცვალა. საქმე იმაშია, რომ ონაშვილის გამოსვლა და ფონოგრამის ჩართვა ერთი იყო და სწორედ ამიტომ ჯერ ფონოგრამა აჟღერდა და მერე ირინამაც ააყოლა ხმა. კონკურსანტებმა ყველაზე მხურვალე ტაში მაშინ დაიმსახურეს, როდესაც ისინი საცურაო კოსტიუმებში იყვნენ გამოწყობილნი. ალბათ, ამის მიზეზი გასაგებია, დარბაზში, ძირითადად, მამრობითი სქესის ადამიანები იყვნენ.

მას შემდეგ, რაც ათი ფინალისტის ვინაობა გაირკვა, წამყვანები დასკვნით ეტაპზე გადავიდნენ: ჟიურის გადაწყვეტილება, რომელიც ქათქათა ფურცელზე ეწერა ხელში მოიმარჯვეს და დაიწყეს: "მის ტალანტი", "მის მეგობრობა", "მის ინტელექტი" - ეს ის "მისები" იყვნენ, რომლებმაც ძირითად ათეულში მოხვედრა ვერ მოახერხეს. იყო ასეთი ნომინაცია - "პეპსის სახე". ამ ნომინაციაში გაიმარჯვა სოფო ხარებაშვილმა და პრიზი, რომელიც მან მიიღო, მგონი, უფრო გაუხარდავიდრე, "მის საქართველოს" ტიტული გაუხარდებოდა. სოფო ხარებაშვილს გადასცეს ორკაციანი საგზური რიო დე ჟანეიროში.

როდესაც სცენაზე ია კიწმარიშვილი გამოვიდა, სრული სიჩუმე ჩამოვარდა. სიჩუმე იმიტომ, რომ ყველა მოუთმენლად ელოდა გამარჯვებულის ვინაობის გარკვევას. ია კიწმარიშვილს გვერდს უმშვენებდა ირინა ონაშვილი, რომელსაც თავზე გვირგვინი ედგა და გამარჯვებულისთვის უნდა გადაეცა. ია კიწმარიშვილმა გამოაცხადა მეორე "ვიცე მის საქართველო". ეს ტიტული სოფო ხარებაშვილს ხვდა წილად. ვფიქრობ, დარბაზის სიმპათიაც სწორედ სოფო იყო. პირველი "ვიცე მის საქართველო" გახდა რუსიკო ბოჭორიძე. დაბოლოს, "მის საქართველო 2004"-ის ტიტული სალომკე ჩიკვილაძე ხვდა წილად. ია კიწმარიშვილმა გამოაცხადა თუ არა გამარჯვებულის ვინაობა, სალომე ჩიკვილაძე დანარჩენი 26 გოგონა შემოეხვია და მისი დანახვა ფაქტიურად შეუძლებელი გახდა, ამიტომაც ვერ გეტყვით, სალომე სიხარულისგან ტიროდა თუ რას შვრებოდა. ფაქტია, რომ ძალიან გახარებული იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ათ ფინალისტს შორის არც ერთი მაღალი გოგონა არ ყოფილა. ალბათ, ჩინეთში "მის მსოფლიოზე" მაღლებს არ წყალობენ. ძირითადად, სულ ეს იყო, კონკურსანტები ერთმანეთს ეხვეოდნენ, ულოცავდნენ გამარჯვებას და ამ დროს დენი წავიდა. მართალია, ერთ წუთში ისევ მოვიდა, მაგრამ გოგონებს ერთი წუთი მაინც მოუწიათ ჩაბნელებულ სცენაზე დგომა.

**სალომე ჩიკვილაძე. -** 19 წლის. სიმაღლე 182 სმ; 85-60-90

**თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის მექანიკური მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტუდენტი.**

ოცნებობს იმოგზაუროს მსოფლიოს გარშემო, განსაკუთრებით ტიბეტში.

გატაცებულია კალმებისა და ქვების შეგროვებით.

ათი დღით ადრე

**- დაახლოებით, რამდენი კალამი გაქვს?**

- ბოლოს რომ დავითვალე, 150 ცალი იყო.

**- და, რატომ მაინცადამაინც კალამი?**

-იმდენად მიყვარს, რომ ისე არ ჩავუვლი მაღაზიას, ერთი კალამი თუ არ შევიძინე.

**- ქვებსაც უბრალოდ ინახავ, თუ იყენებ რამეში?**

- ამ ქვებით ჩარჩოებიც გავაკეთე.

**ახსენე, რომ წერ. პროზას წერ თუ ლექსებს?**

- პროზას.

**- აქვეყნებ კიდეც?**

- არა, ჩემთვის ვწერ.

**- არავინ კითხულობს შემდეგ?**

- პირველს ჩემს დაქალს ვაკითხებ. უბრალოდ, არ მინდა რომ გავავრცელო.

**- სამოდელო საქმიანობაში რა გხიბლავს ყველაზე მეტად?**

- ზოგადად, მოდელობა მრავალფეროვანი, შრომატევადი და საინტერესო საქმიანობაა, ძალიან ბევრ ადამიანს ხვდები.

**- ადამიანებთან ურთიერთობა მოგწონს?**

- კი, მიყვარს. აქაც იმდენი მეგობარი შევიძინე.

**- როგორ ფიქრობ, ფინალში კონკურენციის მომენტი ამ ურთიერთობებს გააფუჭებს?**

- დარწმუნებული ვარ, რომ არა.

**- რატომ? ძირითადად ხომ ასე ხდება ხოლმე?**

- იმიტომ, რომ საქართველოა. პატარა ერი ვართ, ყველა ერთმანეთს ვიცნობთ. მაინც კარგი ხალხი ვართ და გულცივები არ ვართ სხვებისგან განსხვავებით.





"მის ელეგანტურობა" - თამუნა თოფურია



მეორე "ვიცე-მის" - სოფო ხარებაშვილი



"მის ფოტოგენურობა" - ირინა შენგელიძე



პირველი "ვიცე-მის" - რუსუდან ბოჭორიძე



გოგონები საღამოს კაბებში



წარდგენა ცეკვით

# დიდი თამაშის ქრონიკა

უმბერტო ეკო

*(ყოველკვირეული ჟურნალი "ლ`ესპრესო")*



კარგი იქნება, თუ ბუში და პუტინი ჰოპკირკის წიგნს წაიკითხავენ იმის გასაგებად, რომ მსოფლიოში არსებობს ადგილები, სადაც ყველაზე მძლავრი შეიარაღებული ძალებიც ვერაფერს გააწყობს ადგილობრივი ტომების წინააღმდეგ.

ამ ბოლო დროს ყველაზე საინტერესო საკითხავი, რაც კი შემხვდა, **პიტერ ჰოპკირკის** წიგნი "დიდი თამაში" იყო. არ უნდა შეგვაშინოს ფაქტმა, რომ წიგნში 624 გვერდია. იმას ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ერთი სულის მოთქმით იკითხება, მაგრამ საღამოობით მაინც შეიძლება ჩაუჯდე როგორც დიდ სათავგადასავლო რომანს, სადაც მრავალი ისტორიულად არსებული ადამიანის ამბავია მოთხრობილი, რომელთა შესახებ არაფერი ვიცოდით.

სიუჟეტი ეხება ჩახვეულ სადაზვერვო კომბინაციებს, ალყებს, ბრძოლებსა და შეტაკებებს რუს და ინგლისელ სპეცსამსახურებს შორის დედამიწის იმ მონაკვეთზე, რომელიც ინდოეთსა და ავღანეთს ჰყოფს ერთმანეთისაგან. აქვე მონაწილეობენ უზბეკები და ჩერქეზები, ხანდახან მოქმედება კავკასიასა და ტიბეტშიც ვითარდება.

ცოტა დაკვირვება გმართებთ და მიხვდებით, რომ რედიარდ კიპლინგს თავის რომანში "კიმი" არაფერი მოუგონია, დიდი-დიდი იმ უცნაური ამბის საოცარი სინთეზი მოახდინა, რომელიც ნაპოლეონის დროს დაიწყო და მეოცე საუკუნის ბოლოს დასრულდა (დასრულდა კი?). ამბისა, რომლის გმირები ამბიციური ოფიცრები და ავანტიურისტები იყვნენ. ისინი ხან სომეხი ვაჭრის სამოსს გადაიცვამდნენ ხოლმე, ხან სალოცავიდან სალოცავამდე მოსიარულე მწირისას და ასე მოგზაურობდნენ უდაბნოებსა და მთებში, სადაც ევროპელებს ჯერ ფეხი არ დაედგათ. რუსები ინდოეთისკენ ექსპანსიის გზებს ეძებდნენ, ინგლისელები მათი კოლონიური იმპერიის საზღვრებს იცავდნენ და პატარ-პატარა ბუფერულ სახელმწიფოებს ქმნიდნენ მარიონეტული ემირებით თუ ხანებით. ეს ისტორია სავსეა გზებზე ჩასაფრებით, თავის კვეთებით, სამეფო სასახლეების დერეფნებში იდუმალი მკვლელობებით.

მაგრამ ყველაზე საკვირველი ისაა, რომ XIX საუკუნის შუა ხანებში, როცა ყველა ფიქრობდა, რომ მთელი დედამიწა რუკაზე იყო დატანილი, ევროპელებმა თითქმის არაფერი იცოდნენ იმ ადგილების გეოგრაფიის შესახებ, წარმოდგენა არ ჰქონდათ უღელტეხილებზე, სანაოსნოდ ვარგის მდინარეებზე და თავის საქმეებში უნდა დაყრდნობოდნენ ჯაშუშებსა და მოხეტიალე გეოგრაფებს, რომლებიც ან ჭორებს ეყრდნობოდნენ, ან სახელდახელოდ იწერდნენ იმას, რასაც თვალს მოჰკრავდნენ. ამის მერე კი აღმოჩნდება, რომ ზღაპრული სამეფოების მონარქები და სულთანუკები (საუბარია ბუხარაზე, სამარყანდზე, ხივაზე და კიდევ ვინ იცის რაზე) სასიკვდილო თამაშში იყვნენ ჩართული ხან რუსეთთან და ხან ინგლისთან, მაგრამ ამ ერების შესახებ ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ: ზოგჯერ ეგონათ, რომ ეს მათი მოსაზღვრე ტომები იყვნენ. მაგალითად, ერთმა ემირმა ინგლისელ ემისარს ჰკითხა, დედოფალ ვიქტორიას მასავით ოცი ზარბაზანი ჰქონდა, თუ უფრო მეტი. წიგნში ვკითხულობთ საშინელი ჟლეტის ისტორიებს: როგორ დაიხოცა თექვსმეტი ათასი ინგლისელი სამხედრო და სამოქალაქო პირი, ქალი და ბავშვი ავღანეთის მთებში მხოლოდ იმიტომ, რომ უგუნურმა და ამპარტავანმა გენერალმა ვერ მოახერხა უღელტეხილთა სიძნელის, ტომებს შორის საზღვრებისა და განსხვავებების, აღმოსავლური დახვეწილი ვერაგობების ჯეროვანი შეფასება. ვიგებთ, რომ ეს მარიონეტი ემირები, თითქმის ყველა, მოღალატეები აღმოჩნდნენ, მაგრამ რუსი და ინგლისელი ჯაშუშებიც ხომ იმავე ცომისაგან იყვნენ მოზელილნი და მეგობრებადაც თავიანთ მსგავსებს ეძებდნენ.

ერთი სიტყვით, ისეთი გრძნობა გეუფლება, რომ ბუშმა და პუტინმა აუცილებლად უნდა წაიკითხონ ეს წიგნი იმის გასაგებად, რომ მსოფლიოში არსებობს ადგილები, სადაც ყველაზე მძლავრი შეიარაღებული ძალებიც ვერაფერს გააწყობს ადგილობრივი ტომების წინააღმდეგ. განა იტალიელმა პარტიზანებმაც იმიტომ არ გაიმარჯვეს, რომ გერმანელებზე უკეთ იცნობდნენ მთიან ბილიკებს?

ვიღაცამ შეიძლება გვითხრას, რომ დღეს ვითარება შეიცვალა და დიდი თამაში უკვე ფარულად აღარ ხდება, რომ უმეცრების ნისლის გასაფანტად საკმარისია ომში კარგად გამოცემული ჯიბის ატლასით წავიდეთ. ტყუილია. სამყაროში, რომელიც უკვე გლობალიზებული და ისტორიის დასასრულამდე მიღწეული გვგონია, უმეცრების თეთრი ლაქები ჯერ კიდევ საოცრად დიდია.

ერაყელმა ბანდიტებმა, რომლებიც დღეს ჟურნალისტებს იტაცებენ, რა თქმა უნდა, იციან, რომ ინგლისში ოც ზარბაზანზე მეტი მოიპოვება, მაგრამ მათი მოთხოვნებიდან ჩანს, რომ ევროპის რაობაზე ძალიან ზოგადი წარმოდგენა აქვთ: მაგალითად, შეუძლიათ მოიტაცონ მემარცხენე ჟურნალისტი მემარჯვენე მთავრობის დასაშანტაჟებლად, არ იციან, რომ საფრანგეთის მუქარით შეიძლება ერაყში ისეთი ქვეყანა მიიზიდო, რომელიც ჯერჯერობით იქ არ შესულა, მათ ტელევიზიით აჩვენეს იტალიელი მძევლები და მოითხოვეს, რომ იტალიაში სამშვიდობო მანიფესტაციები ჩატარებულიყო და არ იცოდნენ, რომ უკვე ჩატარდა, იტაცებენ პაციფისტებს და კრიზისში აგდებენ ყველას, ვინც კი ცდილობს, რომ დასავლეთელებმა ერაყი დატოვონ, ერთი სიტყვით, ცდილობენ დასავლეთის პოლიტიკის მართვას ისე, რომ არც კითხულობენ, წინააღმდეგობის რა საზღვრებია დასავლეთში.

ჩვენ კი? სცადეთ და ჰკითხეთ, არა, დამლაგებელს კი არა, უნივერსიტეტის პროფესორს (მაინცდამაინც არაბისტს ნუ აირჩევთ), რა განსხვავებაა შიიტებსა და სუნიტებს შორის და დარწმუნდებით, რომ იმაზე ნაკლები იცის, რაც ასი წლის წინათ ბუხარის ემირმა იცოდა ბრიტანული იმპერიის შესახებ. და თუ ჰკითხავთ, სად იმყოფება გამქრალი იმამი, შეიძლება კითხვა შეგიბრუნოთ: "რაო, ჯერ არ დაუპატიმრებიათ?". გაგანია გლობალიზაციაში ჯერაც ისეთი უმეცრება სუფევს, რომ შეიძლება თმები ყალყზე დაგვიდგეს..

იუბილარი ცოლ-ქმარი: კეტრინ ზეტა-ჯონსი და მაიკლ დუგლასი

## ჰოლივუდის ცისფერსისხლიანები

ის, რომ კეტრინი და მაიკლი ერთ დღეს არიან დაბადებულები, სასიამოვნო დამთხვევის გარდა, ერთი შეუცვლელი სინამდვილის დასტურიც არის: ვგულისხმობთ მათ შორის არსებულ ასაკობრივ განსხვავებას. დღეს კეტრინი 35 წლის ხდება, მაიკლი - 60 წლის. 35 წლამდე და ამ იღბლიან ქორწინებამდე ზეტა-ჯონსმა გრძელი გზა გაიარა, რომლის ათვლის წერტილიც სამხრეთ უელსში მისი სახლი იყო. დღეების მოპოვებაში ცხადია, მას ძალიან დაეხმარა 2000 წელს მაიკლ დუგლასზე დაქორწინება. ოთხი წლის თავზე მათ ორი მშვენიერი შვილი ჰყავთ, სხვადასხვა გამოცემა კი მათ რეგულარულად ასახელებს ყველაზე ურყევი, გამძლე და ერთგული წყვილების ნუსხაში.

1969 წელს, სუონსიში დაბადებულ კეტრინს ბრიტანეთში დღემდე დიდი სიმპათიით იხსენებენ ერთი როლისთვის, რომელიც მან ბეიტსის ნაწარმოების The Darling Buds of May-ის მიხედვით 1991 წელს გადაღებულ სატელევიზიო ფილმში შეასრულა. 1998 წელს კი, ანტონიო ბანდერასთან ერთად "ზოროს ნიღაბში" განსახიერებული როლის შემდეგ მსახიობი ამერიკამაც გაიცნო. უკვე 2003 წელს მიუზიკლ "ჩიკაგოს" წყალობით, მან "ოსკარიც" მოიპოვა, როგორც საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლის შემსრულებელმა ქალმა. ამ დღის შემდეგ კეტრინმა ჰოლივუდის "ა" კლასში უკვე საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი.

მათი რომანის გახურების დროს კი მაიკლ დუგლასი ამერიკული კინოინდუსტრიის ყველაზე შემოსავლიანი მსახიობი გახლდათ, ორი "ოსკარით" საკუთარ ანგარიშზე: ერთი - ფილმის "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა" (1975 წ.) პროდიუსერობისთვის; მეორე კი - როგორც საუკეთესო მსახიობს ფილმიდან "უოლ სტრიტი" (1987 წ.). თუმცა, სპარტაკის, იგივე კირკ დუგლასის ვაჟისთვის წარმატება ლანგარით არავის მოურთმევია. მას მთავარი როლების მისაპოვებლად რთული წლების გამოვლა და დიდი მოთმინების გამოჩენა დასჭირდა. ბოლოსდაბოლოს, 70-იანი წლების წარმატებული სატელევიზიო შოუდან - "სან ფრანცისკოს ქუჩები" ჰოლივუდში გარღვევა მოდგა. მაიკლ დუგლასი ვარსკვლავი გახდა.

თუმცა, ახლა იმასაც ვარაუდობენ, რომ ხანშიშესულ დუგლასს უკვე მისი ახალგაზრდა მეუღლე ჩრდილავს. კეტრინი სპილბერგის ბოლო გახმაურებულ ფილმში "ტერმინალი" თამაშობს და მალე სოდერბერგის "ოუშენის 12 მეგობარშიც" გამოჩნდება. ჰოლივუდური წარმატების მიუხედავად, მსახიობი ბოლომდე ერთგული რჩება თავისი უელსური ფესვების და მშობლიურ სუონსიში დიდ ვილასაც ფლობს. ახლა მასზე ამბობენ, რომ თითო ფილმში 20 მილიონ გირვანქა სტერლინგს უხდიან.






ნესტან კვინიკაძის სვეტი

## არგენტინის მთავრობამ ძლივს გაიმეტა დეპეშა



"სიკვდილის ბოლო წუთამდე დილეტანტად ჩავთვლი თავს, ადამიანი, რომელიც იმიტომ წერს, რომ, უბრალოდ, ასე სურს, მას მოსწონს წერა," - ხულიო კორტასარი.

დაბადების ადგილი ბრიუსელი, 1914 წლის აგვისტო.

ზოდიაქოს ნიშანი - ქალწული.

პლანეტა - მერკური.

ფერი - რუხი.

ბუენოს აირესში ხულიო, მშობლებთან ერთად, 4 წლის ასაკში ბრუნდება. ძირითადად ფრანგულად საუბრობს, და სწორედ ამიტომ, შემდეგ უკვე ცხოვრების ბოლომდე გაყვება, "რ"- ს უცნაური ჟღერადობა.

ხულიოს ცხოვრებაც ისევე დაიწყო, როგორც ყველასთან ხდება ხოლმე - გაცრუება პირველ სიყვარულში; უინტერესო სამუშაოები; გადაადგილება ქალაქიდან - ქალაქში; წერა და კატეგორიული უარი დაბეჭდვაზე... დამახასიათებელი, ხმამაღალი საუბრის ჩვევა; უფერული, ჭორფლიანი სახე. ნათელი თვალები; შავი თმა. ჯდომის მანერა - გადაჯვარედინებული ფეხები და მუხლებზე დაწყობილი თითები.

მთავარი მისთვის - ჯაზი. აუცილებელი ატრიბუტი - ფოტოაპარატი. ასე გამოიყურებოდა ადამიანი, რომელსაც ასანთის ძებნაში, ჯიბიდან, შესაძლოა, თოკი ამოეღო.

ხულიო ყოველთვის ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. რაღა თქმა უნდა, სხვანაირად არც შეიძლება წარმოიდგინო ადამიანი, რომლის სიკვდილიც ლათინური ამერიკის სევდამ დააჩქარა. მისი გამოსვლები კუბისა და ნიკარაგუას დასაცავად, იმის მიზეზი გახდა, რომ კორტასარი შეერთებული შტატებისათვის არასასურველ პირად იქცა. ვიზის პრობლემა - ეს როგორც წესი.

თავისთავად კი, ხულიოს ვერაფრით წარმოედგინა, თუ რანაირად უნდა შეურიგდეს ადამიანი, ამერიკული იმპერიალიზმის აგრესიულ მოძრაობას ნიკარაგუის წინააღმდეგ, რამაც შედეგად მილიონობით ზარალი და 20 ათასი ნიკარაგუელის სიკვდილი მოიტანა.

როგორ უნდა აარიდო თვალი შემთხვევას, როცა გვარდიელი, ხეზე ამძვრალ ბავშვს კლავს ისე უბრალოდ, რომ ავადმყოფური ვნება დაიკმაყოფილოს.

ასე გრძელდებოდა 17 წლის მანძილზე. მხოლოდ 1979 წლის 19 ივლისს მოეღო ბოლო სომოსების დინასტიის სასტიკ დიქტატურას. ნიკარაგუაში სახალხო რევოლუციამ გაიმარჯვა, რომელიც ნაციონალური გმირის - აუგუსტო სესარა სანდინოს სახელს უკავშირდება.

ნიკარაგუა გათავისუფლდა და დადგა უამრავი პრობლემის წინაშე. პირველი იყო ის, რომ იგი ყველამ დაივიწყა.

და სწორედ 1979 წელს კორტასარი ნიკარაგუაში მიიწვიეს, მას თვითმფრინავიც კი გაუგზავნეს. ხულიო დიდი სიხარულით დათანხმდა მოწვევას და მეუღლესთან ერთად მეორედ მოხვდა ნიკარაგუაში.

ხულიო აკვირდებოდა ყველაფერს - ვულკანები, მდინარეები. წერდა წერილებს, კუბის, სალვადორისა და გვატემალის დასაცავად.

დადიოდა მანაგუას ქუჩებში და გამუდმებით ფიქრობდა იმაზე, თუ რად დაუჯდა ნიკარაგუას თავისუფლება. რომ ეს ადამიანები არაფერს ითხოვენ ჩვენგან, "ისინი განიცდიან მშვიდ სიამაყეს - მათ ხომ სრულიად მარტოებმა მოიგეს თავიანთი ბრძოლა."

მოგვიანებით კი, საკუთარი ქვეყნიდან დევნილი მწერალი დაწერს: "ნიკარაგუას გათავისუფლებიდან ძალიან მალე, კარიბის ზღვის პაწაწინა კუნძულმა, სახელწოდებით გრენადა, რომელიც მსოფლიოში ყველაზე ღარიბი ხალხით არის დასახლებული, შეაგროვა და ნიკარაგუელებისათვის დასახმარებლად 5 ათასი დოლარი გამოყო. ამ უმცირესმა თანხამ უფრო დიდი დახმარება გაუწია მოსახლეობას, ვიდრე აშშ- მ. და ამას ნიკარაგუელები არასოდეს დაივიწყებენ.

სოლიდარობისა და დახმარების ნიშნად, ნიკარაგუაში 200 კუბელი ექიმი და 100 მასწავლებელი ჩავიდა. რატომღაც ასეა, - "ხშირად, ყველაზე მძიმე ჟამს, ერთი გაჭირვებული ქვეყანა აღმოჩნდება ხოლმე მეორე გაჭირვებული ქვეყნის საუკეთესო ძმა."

ბოლო ხანს ხულიოს დიდი სურვილი ჰქონდა დაეწერა ახალი რომანი, მაგრამ ვერ ახერხებდა, ლათინური ამერიკაართმევდა დროს. იგი წერას ახერხებდა "თვითმფრინავებს შორის" - პარიზი, მანაგუა, ლონდონი...

კორტასარის არქივში, აღმოაჩინეს რომანის ხელნაწერი, სადაც მთავარი გმირი არის არგენტინელი პოეტი - ხორხე. აქ კი უკვე აშკარაა მისი გამჟღავნებული სიყვარული ხორხე ლუის ბორხესისადმი, გიგანტი, რომელიც ცხოვრების ბოლომდე ამაყობდა იმით, რომ სწორედ მან (ბორხესმა) დაბეჭდა პირველად კორტასარის მოთხრობები ჟურნალ "ანალეს დე ბუენოს აირეს"- ში.

კორტასარისთვის საკმარისი იყო ყველაზე აუცილებელი "ფირფიტები, ცოტა თუთუნი, ბინა, მანქანა, რათა შევძლო გადაადგილება და პეიჟაზებით დატკბობა"; ჩარლი პარკერი და აბზაცების წერა, ციტატა: "სელია სირბილით დაეშვა კიბეზე, გამოვიდა ქუჩაზე, რომელსაც პურის, რძიანი ყავისა და 8 საათისა და 30 წუთის სურნელი ასდიოდა" - ეს არის ტიპური კორტასარისეული სამყარო.

არავინ იცის, იგრძნო თუ არა სიკვდილის მოახლოება მწერალმა, როცა 1983 წლის დეკემბერში მოულოდნელად ჩამოვიდა ბუენოს აირესში. მას დედის ნახვა სურდა. უნდოდა, გაევლო ქუჩებში, სადაც მისი გმირები ცხოვრობდნენ და სადაც თავად ძალიან იტანჯებოდა.

კორტასარს მაინც თან სდევდა შიში - ვაითუ დამივიწყესო. ხოლო როცა თეატრ "აბიერტო" - ში, მწერალთან შესახვედრად მისული პუბლიკა დიდხანს ფეხზე მდგარი ესალმებოდა ხულიოს, ყველაფერი გასაგები გახდა - კორტასარს კითხულობდნენ და ელოდნენ მთელი ეს დრო.

მას შემდეგ, რაც მწერალი სოციალიზმს მიემხრო, 20 წელი გასულიყო. ამით მან თავის დროზე სიძულვილი გამოიწვია როგორც პერონისტებსა და სამხედროებში, ასევე არგენტინელ რადიკალებში. მთელი ამ ხნის განმავლობაში კორტასარის "ღალატი" არ დაივიწყეს. ვერც პარიზში მოღვაწეობა აპატიეს. "ისინი" ემზადებოდნენ სამაგიეროს გადასახდელად. და ეს დღეც დადგა.

როდესაც გარდაიცვალა კორტასარი, არგენტინის მთავრობას დასჭირდა დღეები, რათა მშრალი, ფორმალური დეპეშა გაეგზავნა: "გამოვთქვამთ ღრმა მწუხარებას, არგენტინის კულტურისა და ლიტერატურის ჭეშმარიტი წარმომადგენლის გარდაცვალების გამო."

კორტასარი პირველ მეუღლეს - აურორა ბერნანდესს ჩააკვდა ხელებში. დატოვა 90 წლის დედა და და. აგრეთვე, უამრავი აცრემლებული მეგობარი, რომლებიც თებერვლის იმ დღეს დიდხანს იდგნენ მონპარნასის სასაფლაოზე: "როცა გიკვდება მეგობარი, უბრალოდ განადგურებულად გრძნობ თავს. მთავრდება არა მარტო სამომავლო მეგობრობა, არამედ, თითქოს, წარსულსაც საფრთხე ექმნება".

ფეხბურთი

www.pfl.ge

# ორხელისუფლებიანობა

მიხეილ აბაიშვილი

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მე-8 ტური, ძირითადად, ქვეყნის სტადიონებზე მომხდარი არეულობებით გამოირჩა. ტრადიციისამებრ, ამ თვალსაზრისით პირველობას არავის "უთმობენ" ქუთაისელები. ქუთაისში, სადაც გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი, ადგილობრივი "ტორპედო" ჩემპიონს, თბილისის "ვიტ ჯორჯიას" მასპინძლობდა, სტუმრების მისამართით ლანძღვა-გინების კორიანტელი ლამის მთელი მატჩის განმავლობაში არ შეწყვეტილა. ერთ ეპიზოდში ნერვებმა უმტყუნა ვიტელ მარცვალაძეს, რომელიც ტრიბუნებს მათივე ლექსიკით გამოეპასუხა. შედეგად, ტრიბუნებზე დაიწყო არეულობა, რის გამოც თამაში დაახლოებით 10 წუთით შეწყდა. შემდგომში მარცვალაძეს წითელი ბარათი უჩვენეს და მოედანი დაატოვებინეს კიდეც. ამ დროს მასპინძლები პირველ ტაიმში გამეზარდაშვილის მიერ გატანილი გოლის წყალობით ამარცხებდნენ მეტოქეს. მიუხედავად იმისა, რომ სტუმრები არასრული შემადგენლობით დარჩნენ, მატჩის მიწურულს მაინც შეძლეს ანგარიშში თანაფარდობის აღდგენა. 84-ე წუთზე გოლი მერებაშვილმა გაიტანა და საკუთარ გუნდს ნაომარი ქულა შესძინა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი უახლოეს სხდომაზე განიხილავს და, სავარაუდოდ, მკაცრ სასჯელს გამოუტანს როგორც მარცვალაძეს, ისე ქუთაისის "ტორპედოს" და მის სტადიონს, სადაც მსგავსი რამ პირველად არ ხდება.

ლიდერის წაფორხილებით კარგად ისარგებლა უახლოესმა მდევარმა თბილისის "დინამომ", რომელსაც რამდენიმე დღეში უეფას თასის ტურნირში უმნიშვნელოვანესი თამაში ელის. ამჯერად "დინამოს" მეტოქე იყო შარშანდელი სეზონის სიურპრიზი, წლეულს კი სუსტად მოასპარეზე გორის "დილა", რომელიც სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა ადგილზე იყო.

ქართლელებმა კარგი სპარინგმეტოქეობა გაუწიეს "დინამოს", რომლის ძირითადი შემადგენლობა თავის თავს არ ჰგავდა. გარდა იმისა, რომ გუნდის რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ტრავმირებულია



გეგუჩაძე ზომიერად კმაყოფილია.

(ზოიძე, სილაგაძე, კვირკველია), გეგუჩაძემ ფეხბურთელები დაასვენა კიდეც. მინდორზე საერთოდ არ გამოჩენილან სალუქვაძე, კანკავა, ბურდული და ალადაშვილი, ხოლო კაკალაძე და მელქაძე მხოლოდ მეორე ტაიმში გამოვიდნენ მოედანზე. ამის გათვალისწინებითაც, "დილას" ასეთ აგრესიულ და გამართულ თამაშს მაინც არავინ ელოდა. გორელებმა მოედნის ცენტრი დაუთმეს მეტოქეს, თუმცა, კარგად იცავდნენ თავს და კონტრიერიშებზეც გადადიოდნენ. პირველივე წუთზე მათ ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა მიეცათ, მაგრამ ჯერ შატაკიშვილმა, შემდეგ კი წუწუნავამ ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს. თუმცა, ეს არ იყო გამონაკლისი. მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში "დინამოს" მცველები ვერ ახერხებდნენ ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის გამართულად შესრულებას, რის გამოც სულთანიშვილი და წუწუნავა რიგრიგობით გადიოდნენ მეკარე მამალაძესთან პირისპირ. ვერ გეტყვით, დაცვაში ასეთი ზერელე თამაშით მასპინძელთა მცველები "ვისლასთან" მატჩის წინ იქნებ საკუთარ მეკარეს ავარჯიშებდნენ, მაგრამ ფაქტია: მამალაძემ ბრწყინვალედ გაართვა თავი საკუთარი დაცვის მიერ მის წინაშე "დასმულ" ამოცანებს და ყველა სათამაშო ეპიზოდში დამაჯერებლად ითამაშა. რაც მთავარია, მას არც მაღალ ბურთზე გამოსვლების დროს დაუშვია შეცდომები, არც კარის ხაზზე თამაშისას და არც რთული დარტყმების მოგერიებისას. ეს დიდ იმედს გვაძლევს, რომ "დინამოს" ახალგაზრდა გოლკიპერი, რომელსაც "ვისლასთან" განმეორებით თამაშზე ძირითადი მეკარის მისია დაეკისრება, კარგ სპორტულ ფორმაშია, ფსიქოლოგიურადაც მზად არის ასეთი დონის თამაშის ჩასატარებლად და პოლონელების შეტევებს გადაულახავ ზღუდედ აღუდგება.

მამალაძის დამაჯერებელმა თამაშმა იმ თვალსაზრისითაც გამოიღო შედეგი, რომ პირველი ტაიმის ბოლო წუთებიდან უკვე "დინამო" დაეუფლა სრულ უპირატესობას, რაც მეტერიალურ სარგებელში გარდასახა. მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე რომერომ თავისი კაპიტანი ნემსაძე კარგი პასით დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა, რომლის ცაციაც აუღებელი გამოდგა სომხიშვილისთვის. თამაშს ინტრიგა მოაკლო იმ გარემოებამაც, რომ მსაჯთან კამათის გამო 55-ე წუთზე მოედნიდან გააძევეს გორელი რაზმაძე და 10 კაცით დარჩენილმა "დილამ" წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია მასპინძლებს. მატჩის ბოლო წუთებში გაიბრწყინა გრიგალაშვილმა, რომელმაც ჯერ სწრაფი სოლორეიდი განახორციელა და საგოლე პასი ლანგრით მიართვა კაკალაძეს, ხოლო 87-ე წუთზე დვალთან გათამაშებული "კედლის" შემდეგ თავად შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში და "დილას" კარის ბადე მესამედ შეირხა.

მატჩის შემდეგ "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ ზომიერი კმაყოფილება გამოთქვა შედეგისა და თავისი გუნდის თამაშის გამო.

"ბევრი არაფერი მაქვს სათქმელი. ოთხ დღეში სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი მატჩი გველის და ამის გამო ძალების მაქსიმალური დაზოგვის ხარჯზე შევეცადეთ, სასურველი შედეგისთვის მიგვეღწია. ჩვენს თამაშში ბევრი ხარვეზი იყო, რის გამოსწორებასაც "ვისლასთან" მატჩამდე შევეცდებით, მაგრამ მიზანი მიღწეულია - საჭირო 3 ქულა მოვიპოვეთ. "დილასთან" შეხვედრაში მოედანზე რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი არ გამოგვიყვანია. კვრიკველიას ტრავმა აქვს და ექიმებისგან ორ დღეში მივიღებთ პასუხს, შეძლებს თუ არა იგი პოლონეთის ჩემპიონის წინააღმდეგ თამაშს. მართალია, სილაგაძემ დაიწყო ვარჯიში, მაგრამ მისი სპორტული ფორმა სათანადო დონისგან საკმაოდ შორსაა. ზოიძეს ჯერ არ მოშუშებია კრაკოვში გამიზეზებული ტრავმა და 30 სექტემბერს ვერ ითამაშებს. კმაყოფილი ვარ ახლად გამოჯანმრთელებული რომეროსა და ახალაიას გარჯით. მათ თამაშში დიდი მონდომება და მიზანსწრაფვა გამოავლინეს, თუმცა, სამწუხაროდ, ჯერ არ შეუძლიათ, 90 წუთი ითამაშონ. ყველა სხვა ფეხბურთელი სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია", - განაცხადა "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა.

ამ ტურის შემდეგ აღდგა ორხელისუფლებიანობა და სატურნირო ცხრილს 20-20 ქულით "დინამო" და "ტორპედო" უდგანან სათავეში.

25 სექტემბერი, მე-8 ტური

| | |
|---|---|
| დინამო (თბ) - დილა | 3:0 |
| ლოკომოტივი - თბილისი | 3:1 |
| ტორპედო - ვიტ ჯორჯია | 1:1 |
| ზესტაფონი - სიონი | 1:0 |
| კოლხეთი - დინამო (ბთ) | 0:1 |

სატურნირო მდგომარეობა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 8 | 6 | 2 | 0 | 23-4 | 20 |
| ტორპედო | 8 | 6 | 2 | 0 | 14-2 | 20 |
| თბილისი | 8 | 5 | 1 | 2 | 18-11 | 16 |
| ლოკომოტივი | 8 | 4 | 3 | 1 | 14-4 | 15 |
| დინამო (ბთ) | 8 | 4 | 2 | 2 | 12-6 | 14 |
| ვიტ ჯორჯია | 8 | 3 | 2 | 3 | 13-13 | 11 |
| ზესტაფონი | 8 | 2 | 0 | 6 | 6-20 | 6 |
| სიონი | 8 | 2 | 0 | 6 | 7-2 | 2 |
| დილა | 8 | 1 | 0 | 7 | 6-17 | 3 |
| კოლხეთი | 8 | 1 | 0 | 7 | 3-17 | 3 |

ფორმულა 1

# ჩინეთმა სამეფო ხილი დააგემოვნა

გიგა გურასაშვილი

*გუშინდლიდან მოყოლებული ჩინეთმა "დიდ ცირკში" შეაბიჯა. შედგა "ჩინეთის დიდი პრიზის" ინაუგურაცია. შანხაიში აგებული ტრასა, რომელიც ჩინელებს 240 მილიონი დოლარი დაუჯდათ, 5 კილომეტრსა და 451 მეტრს მოიცავს თავისივე ხუთ-ხუთი მარჯვენა და მარცხენა მოსახვევებითა და ორი ჩქაროსნული მონაკვეთით. სავარაუდოდ მაქსიმალურ სიჩქარედ დახლოებით 320 კმ/სთ ვარაუდობდნენ, მაგრამ საკვირაო რბოლამ ამგვარი მაჩვენებლით 337,5 კმ. საათს მიუკაკუნა. აშკარა იყო, რომ "ჩინეთის დიდი პრიზი" უამრავ ცნობისმოყვარეთა ჩინურ არმიას მოიზიდავდა. ჯერ კიდევ პარასკევის პირველმა სესიამ შანხაის ტრასას 150 ათასი მაყურებელი მიაჯაჭვა. გუშინდელ რბოლას კი 160 ათასი მაყურებელი ადევნებდა თვალყურს.*

მიუხედავად იმისა, რომ ფორმულა 1-ის 2004 წლის სეზონის ჩემპიონის ვინაობა საკმაო ხანია, რაც გაირკვა, მსოფლიო ჩემპიონატის მე-16 ეტაპს სხვა ისტორიული დატვირთვა მაინც ჰქონდა. სავსებით შესაძლებელი იყო, რომ სწორედ შანხაის ტრასაზე გამოვლენილიყო ვიცე-ჩემპიონის ვინაობა და ამის ალბათობა ძალზე დიდი იყო. შაბათის კვალიფიკაციის მომგებ რუბენს ბარიკელოს სამეულში ადგილის შენარჩუნება ჰყოფნიდა მეორეობისთვის. აი, პირველობის შემთხვევაში კი ისტორიაში შევიდოდა, როგორც "ჩინეთის დიდი პრიზის" პირველი მომთვინიერებელი. სწორედ რომ მომთვინიერებელი, რადგან პარასკევის სესიებამდე შანხაის ტრასას არავინ იცნობდა, რაც თავისთავად რბოლას დამაინტრიგებელს ხდიდა. ამ შემთხვევაში თითოეულ საჯინიბოს თანაბარ პირობებში მოუწია ტრასასთან შეგუება და მისი მახასიათებლების საქმეში გამოცდა. ამასთან დაკავშირებით "ფერარის" ტექნიკურმა დირექტორმა როს ბრაუნმა შენიშნა კიდეც, უპირატესობა იმის მხარეს იქნება, ვინც რბოლამდე გამოიცნობს უცნობი ტრასის საიდუმლოებებსო.

"ფერარის" ბრაზილიელი მრბოლისგან განსხვავებით, BAR-ის ბრიტანელს ჯენსონ ბატონს ექვსი ქულა სჭირდებოდა ჩემპიონატში მესამეობის გასანაღდებლად.

გარდა ამისა, ვიდრე საჯინიბოები ტრასას შეესეოდნენ, არსებობდა კიდევ ორი მიზეზი, რისთვისაც მსოფლიო ჩემპიონატის მე-16 ეტაპი იწვევდა ინტერესს. პირველყოვლისა ის, რომ "ჩინეთის დიდ პრიზით" უბრუნდებოდნენ სამეფო რბოლებს ინდიანაპოლისში დამტვრეული "უილიამსელი" რალფ შუმახერი და ფორმულა 1-დან წასული კანადელი ჟაკ ვილნევი, რომლის მიზანიც, მოგეხსენებათ, კონსტრუქტორთა ჩათვლაში "რენოსთვის" მეორეობაში შეშველებაა. მაგრამ არც ისეა საქმე, თითქოს ჩინელებს თითოეული ნიუანსი აინტერესებდათო. საერთო ჯამში, რომ ვთქვათ, მათ ცნობისმოყვარეობას ზოგადად ფორმულა 1-ის, მათთვის უცხო ხილის საკუთარი თვალით ხილვა სურდათ. ამიტომაც იყო, რომ მე-16 ეტაპის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე შანხაის ოტელებსა და მათ შორის პრესტიჟულ სასტუმროებში, სადაც ერთი ღამე 500 დოლარი ღირს, ყველა ნომერი წინასწარ გაიყიდა. ისევე როგორც რბოლაზე დასასწრები ბილეთები, რომლის ფასიც 45-დან 500 დოლარამდე მერყეობდა (ჩინელისთვის საშუალო ხელფასი კვირაში 40 დოლარს შეადგენს. რედ.). ჩინელების ცნობისმოყვარეობა იმდენად დიდი გამოდგა, რომ სრულად ათვისებული იქნა ფეხზე დასადგომი ადგილებიც. მსოფლიო ჩემპიონატის მე-16 ეტაპმა კი თბილისის დროით 10 საათზე აიღო გეზი და თავში თქმული ეჭვებიც გამართლდა. აქვე ვთქვათ, რომ "ჩინეთის დიდ პრიზი" რაღაცით "იტალიის დიდ პრიზს" წააგავდა. ჯერ ის, რომ იქაც და აქაც კვალიფიკაცია ბარიკელომ მოიგო. აქაც და იქაც ბრაზილელმა გაიმარჯვა. აქაც და იქაც ძლიერად იასპარეზეს ბარელმა ჯენსონ ბატონმა და მისმა თანაგუნდელმა ტაკუმა სატომ. ერთი ეგაა, ამჯერდ ხელი მოეცარა მიხაელ შუმახერს, რომელმაც ქულის აღება ვერ მოახერხა. ყოველ შემთხვევაში ამისთვის 56 წრე არ ეყო. საქმე ისაა, რომ შაბათის კვალიფიკაციაზე შუმიმ შეცდომა დაუშვა და ტრასიდან გადავარდა. შედეგად კი გუშინდელი რბოლას ბოლო პოზიციიდან შეუდგა. თუმცალა ყველას ანუგეშებდა, ბოლო ადგილიდან სტარტის აღება ტრაგედია არააო: "თქვენ მე მიცნობთ. მე ხომ არასდროს ვნებდები. მე, მიხაელ შუმახერი ვარ, რომელსაც საკუთარი თავის გამოცდა უნდა. ვნახოთ თუ რის მიღწევას შევძლებ მოკრძალებული კვალიფიკაციის შემდეგ".



ბარიკელომ და "ფერარის" პრეზიდენტმა მონტეცემელომ შანხაიში შამპანურის შხაპი მიიღეს.

მოკრძალებულმა კვალიფიკაციამ კი მიხაელის ასპარეზობას აშკარად დაატყო კვალი. ბოლო ადგილიდან აღებული სტარტით მე-12 პოზიციამდე დაწინაურდა. შუმიზე წინ კი ის გავიდა, ვინც გერმანელს 1997 წელს ჩემპიონობა არ დაანება. ანუ ჟაკ ვილნევი. ეს იყო და ეს. რაც შეეხებათ ბატონსა და სატოს, მათ, შესაბამისად, მეორე და მეექვსე ადგილებით დაასრულეს რბოლა. ბარიკელო კი ისტორიაში შევიდა, როგორც "ჩინეთის დიდი პრიზის" პირველი გამარჯვებული.

სხვათა შორის, ახლა როდესაც "ფერარის" ბრაზილიელმა მეორებაო გაინაღდა, ამბობენ შუმი შემდგომ ეტაპებზე კვლავინდებურად პირველობისთვის იბრძოლებსო, რადგან აქამდე გუნდური ტაქტიკიდან გამომდინარე პირველობა ბარიკელოს უნდა დარჩენოდა, რადგან მეორე ადგილიც სკუდერიელთა საკუთრება გამხდარიყოო.

რაც შეეხება რალფ შუმახერს, მას ურიგოდ არ უასპარეზია, მაგრამ მაშინ როდესაც ნელ-ნელა მიიწევდა ჩასათვლელი ადგილისკენ, "მაკლარენელი" დევიდ კულჰარდის ბოლიდმა წასცხო და შესაბამისად უმცროსი შუმახერი რბოლას გამოთიშა. თავად კულჰარდმა კი რბოლა მეცხრე ადგილით დაასრულა. მაგრამ ჩასათვლელი ქულების გარეშე მაკლარენელები მაინც არ დარჩენილან. კიმი რაიკონენმა "ჩინეთის დიდი პრიზი" მესამემ გადაკვეთა.

დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე ყველზე ბედნიერი, რა თქმა უნდა, ბარიკელო იყო. "ეს იყო სეზონი, რომელშიც მიხაელთან მდევრის როლში ყოფნა მიწევდა. ახლა ყველაფერი შეიცვალა - უკეთესობისკენ".

ბარიკელოს გამარჯვება ბავშვივით უხაროდა "ფერარის" პრეზიდენტს ლუკა დი მონტეძემოლოს, რომელიც კვარცხლბეკზეც კი ავიდა, რაც აქამდე არასდროს გაუკეთებია. შამპანურების ტრადიციული ბათქა-ბუთქის შემდეგ კი ტრიუმფატორის დამსახურებით მონტეძემოლომ კვარცხლბეკი თავით ფეხებამდე გალუმპულმა დატოვა.

ჩინელები კი იმდენად მოიხიბლნენ "სამეფო რბოლებით", რომ ბერნი ეკლსტოუნთან ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, რომლის მიხედვითაც "დიდი ცირკი" 2010 წლამდე დარჩება ჩინეთში. ეგ კი არა ჩინელებს მადა მოეძალათ და როგორც ადგილობრივი საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, პერსპექტივაში ჩინელი პილოტის "დიდ პრიზებზე" გამოჩენასაც ვარაუდობენ.

**"ჩინეთის დიდი პრიზი". შანხაი. 56 წრე**

პირადი პირველობა

| | |
|---|---|
| 1. რუბენს ბარიკელო | 1:29.12.42 |
| 2. ჯენსონ ბატონი | 1:29.13.42 |
| 3. კიმი რაიკონენი | 1:29.13.82 |
| 4. ფერნანდო ალონსო | 1:29.44.92 |
| 5. ხუან-პაბლო მონტოია | 1:29.57.52 |
| 6. ტაკუმა სატო | 1:30.07.12 |
| 7. ჯანკარლო ფიზიკელა | 1:30.17.82 |
| 8. ფელიპე მასა | 1:30.32.42 |
| 9. დევიდ კულჰარდი | 1:30.33.02 |
| 10. მარკ ვებერი | + 1 წრე |

კონსტრუქტორთა ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. "ფერარი" | 244 ქულა |
| 2. BAR | 105 |
| 3. "რენო" | 96 |
| 4. "BMW-უილიამსი" | 64 |
| 5. "მაკლარენ-მერსედესი" | 58 |
| 6. "ზაუბერი" | 32 |
| 7. "იაგუარი" | 10 |
| 8. "ტოიოტა" | 9 |
| 9. "ჯორდანი" | 5 |
| 10. "მინარდი" | 1 |

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** იტალიური "ბრეშას" მცველმა დანიელე ადანიმ მარცხენა მუხლის მყესები დაიზიანა და ამის გამო სამ თვეს გააცდენს. ფეხბურთელმა ტრავმა რომის "ლაციოსთან" შეხვედრაში მიიღო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ბარსელონას" ფეხბურთელებმა გაბრიმ და ბრაზილიელმა სილვინიომ ტრავმები მიიღეს. ორივე ფეხბურთელმა მინდორი "სარაგოსასთან" მატჩის პირველ 10 წუთში დატოვა. სილვინიომ მუხლი დაიშავა და ერთ თვეს არ ითამაშებს, ხოლო გაბრიმ მყესები გაიწყვიტა და ექვსი თვით გამოაკლდა კატალონიურ კლუბს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ესპანური "სევილიას" მცველმა პაბლო რუისმა ცხვირი მოიტეხა და, ექიმებისვარაუდით, სამ კვირას გამოტოვებს. ფეხბურთელმა ესპანეთის ჩემპიონატში, "ვილიარეალის" წინააღმდეგ მატჩში მიიღო ტრავმა. ბედის ირონიით, რუისს ცხვირი გაუტეხა თანაგუნდელმა დავიდ კასტედომ, რომელიც მას ჰაერში შეეჯახა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ფიფა აპირებს, 2006 წლის საფეხბურთო კალენდარს გადახედოს იმ მიზნით, რომ მსოფლიო ჩემპიონატის წინ ფეხბურთელებს დასვენების საშუალება მისცეს. ქვეყნის ჩემპიონატები და სათასო მატჩები 14 მაისს დასრულდება, რის შემდეგაც ფეხბურთელებს ერთკვირიანი შვებულება მიეცემათ. 23 მაისიდან 8 ივნისამდე კი ფეხბურთელები მოემზადებიან მსოფლიო პირველობისთვის, რომელიც 9 ივნისს იწყება.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ინგლისის "ნიუკასლის" ნახევარმცველი ნიკი ბათი უეფას თასის სამ შეხვედრას გამოტოვებს. ისრაელის "მაკაბისთან" შეხვედრაში "მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილმა ფეხბურთელმა წითელი ბარათი მიიღო, ხოლო მოგვიანებით უეფას სადისციპლინო კომიტეტმა ფეხბურთელს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა. ბათმა კინაღამ დაახრჩო ებრაელთა კაპიტანი აბას სუანი.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** გერმანიაში გავრცელდა ხმები, რომ "ჰამბურგის" მწვრთნელის პოსტზე ლოთარ მათეუსმა შეიძლება კლაუს ტოპმიოლერი შეცვალოს. "ჰამბურგმა" გერმანიის ჩემპიონატის ხუთი შეხვედრიდან ოთხში მარცხი განიცადა და თუ გუნდი ამ უქმეებზე ბერლინის "ჰერტასთანაც" წააგებს, მაშინ ტოპმიოლერს, ალბათ, მწვრთნელის რანგში აღარ დატოვებენ. ამ შემთხვევაში მას, სავარაუდოდ, მათეუსი შეცვლის.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ჩეხეთის ნაკრების კაპიტანმა პაველ ნედვედმა მიიღო გადაწყვეტილება, აღარ ითამაშოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში. ტურინის "იუვენტუსის" 32 წლის ფეხბურთელი ამასთან დაკავშირებით განცხადებით გამოვიდა. "უაღრესად ვწუხვარ იმის გამო, რომ ეროვნული გუნდის დატოვება მიწევს. ვფიქრობ, ჩემი ყოფილი თანაგუნდელები, ვისთან ერთადაც თამაშის პატივი მქონდა და გულშემატკივრები პატივს სცემენ, მიიღებენ ჩემს გადაწყვეტილებას. ჩეხურ ფეხბურთს შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ", - განაცხადა პაველ ნედვედმა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელობამ ინგლისურ ტაბლოიდ გაზეთ "სანს" უთხრა, რომ შეიძლება გუნდს 71 წლის ბობი რობსონი ჩაუდგეს სათავეში. "რობსონი და სხვა მწვრთნელები, ვინც "რეალის" მწვრთნელობის კანდიდატია, დიდი მწვრთნელები არიან. მათ ჩვენ პატივს ვცემთ. თუმცა, ახლა რემონის გარდა ვერც ერთ მწვრთნელზე ვერ ვიფიქრებთ. ჩვენთან კავშირზე ბევრი ადამიანი გამოვიდა და "რეალის" მწვრთნელის რანგში საკუთარი კანდიდატურა შემოგვთავაზა, მაგრამ გუნდის ახლანდელ მწვრთნელს გარსია რემონს ორწლიანი მოქმედი კონტრაქტი აქვს", - განაცხადა კლუბის პრეს-ატაშემ ხოსე ლუის სერანომ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ბრიტანული პრესის ცნობით, 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონი, ფრანგი ემანუელ პეტი სადაცაა კონტრაქტს გააფორმებს ლონდონის "კრისტალ პალასთან".

■ ■ ■

**ველოსპორტი.** ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს ტაილერ ჰამილტონს განმეორებითი დოპინგ-კონტროლი ჩაუტარდა, რომელმაც უარყოფითი შედეგი აჩვენა. ამრიგად, ამერიკელმა შეინარჩუნა ოქროს მედალი, რომელიც ათენში მოიპოვა.

■ ■ ■

**ჰოკეი.** შვედეთის ჰოკეის ფედერაციამ თანამდებობა დაატოვებინა ეროვნული ნაკრების მწვრთნელს ჰარდი ნილსონს. ამის მიზეზი მსოფლიო თასზე გუნდის მეოთხედფინალში გამოთიშვა გახდა. ჯერჯერობით ახალი მწვრთნელის ვინაობა არ დასახელებულა. ვიდრე გუნდს ახალი მწვრთნელი არ ეყოლება, შვედეთის ნაკრებს მისი გენერალური მენეჯერი კლას-გორან ვალინი ჩაუდგება სათავეში.

კრივი

# როი ჯონსს რინგი გაახსენეს

ბიგა გურასაშვილი

*იამაიკელ გლენკოფ ჯონსონს (41-9-2, აქედან 28 ნოკაუტით), შესაძლოა, ბევრი იმთავითვე განწირულად მიიჩნევდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ რინგზე ფავორიტი გაიშოტა, თანაც, ისე, რომ მსაჯის მიერ დაწყებული ათვლა ბოლომდე მოისმინა. მემფისში თავშეყრილი მოსეირეები კი სახტად დარჩენილნი შეჰყურებდნენ გაშხლართულ დიდ ჩემპიონს. ვინ ვინ და, დამარცხება თანამედროვეობის ერთ-ერთმა უდიდესმა მოკრივემ, ოთხ სხვადასხვა წონაში ნაჩემპიონარმა როი ჯონს-უმცროსმა (49-3-0, აქედან 38 ნოკაუტით) იგემა.*



*ჯონსონის ამ დარტყმას როი ჯონსის ნოკაუტი მოჰყვა.*

ოთხ სხვადასხვა წონაში გამარჯვებულმა როი ჯონსმა მსუბუქ მძიმეწონოსანთა შორის გათამაშებული კრივის მსოფლიო ფედერაციის (IBF) ჩემპიონის სარტყელის გარეშე დატოვა რინგი. ამბობენ, ტიტულის დაუფლება უფრო იოლია, ვიდრე მისი შენარჩუნებაო. გლენკოფ ჯონსონმა კი წლეულს, თებერვალში, მაშინ ვაკანტურად გამოცხადებული და შეფილდში კლინტონ ვუდსთან დაუფლებული უმთავრესი ტიტული გუშინ, გამთენიისას, ცხრა რაუნდში შეინარჩუნა.

როი ჯონს-უმცროსმა კი ზედიზედ მეორე მარცხი იწვნია. ეს მაშინ, როდესაც მისგან გამარჯვებები ყოველთვის ჩვეულებრივზე ჩვეულებრივ ამბად აღიქმებოდა კრივის სამყაროში. ბედის ბორბალი პლანეტის უდიდეს მოკრივეს მას შემდეგ დაუტრიალდა უკუღმა, რაც მსოფლიო საბჭოს (WBC) ტიტული 15 მაისს ანტონიო ტარვერს გაატანა - მაშინაც ნოკაუტით დამარცხდა. ჯონსონთან დაპირისპირებაში კი როიმ მეორე ნოკაუტი იგემა კარიერაში.

ახლა, როდესაც როი ჯონს-უმცროსმა მეორე მარცხი იწვნია, საკუთარი შეგირდის ბედით შეწუხებული ალტონ მერკერსონი იმაზეც კი ალაპარაკდა, რომ ეს ყველაფერი, ალბათ, ჯონსის კარიერის დასასრულის დასაწყისს მოასწავებსო: "ეს ის საკითხია, რომელზეც მე და ჯონსმა უნდა ვილაპარაკოთ. მას უკვე ამარცხებენ. ეს მაშინ, როდესაც ყველაფერი პირიქით იყო".

ვერ გეტყვით, რამდენად ზუსტ დიაგნოზად შეიძლება მივიჩნიოთ ასეთ სახელოვან მოკრივეზე ასე საუბარი, მიუხედავად იმისა, რომ დიაგნოზს მწვრთნელი სვამს, მაგრამ ფაქტია: გუშინდელ ორთაბრძოლაში სადღაც გამქრალიყო ჯონსის ცნობილი სისწრაფე და მეტოქისთვის საკუთარი ორთაბრძოლის თავს მოხვევის უნარი. სეულის ოლიმპიური თამაშებიდან მოყოლებული, ანტონიო ტარვერთან შეხვედრით დამთავრებული, როი რინგს განაგებდა ყველგან, სადაც კი მუშტის მოქნევა უწევდა.

რაც შეეხება გამარჯვებულს, მან პირველივე წუთებიდან ჯიქურ შეუტია როი ჯონსს და, ფაქტობრივად, მთელი მატჩის განმავლობაში ზეწოლას ახდენდა მეტოქეზე. ყოფილ დიდ ჩემპიონს ხშირად უწევდა ბაგირთან "დროის ტარება". ვითარება თითქოს შეიცვალა მესამე რაუნდში, როდესაც ჯონსმა რამდენიმე ჩქაროსნული დარტყმა მიაყენა ჯონსონს, მაგრამ ეს უფრო გაელვება იყო. მერე და მერე იამაიკელი სულ უფრო მეტად ახვევდა თავს ამერიკელს საკუთარ ორთაბრძოლას. ამ მხრივ თვალშისაცემი გამოდგა მეხუთე რაუნდი, როდესაც გლენკოფის ძლიერი მარჯვენა მწარედ მოხვდა ჯონსს ყბაში. თითქოს ამ დარტყმას ელოდაო, ჯონსმა უმალ სწრაფი კონტრშეტევა განახორციელა და გლენკოფს შეტევები ჩაუფუშა. მაგრამ ესეც გაელვებას ჰგავდა. მოგვიანებით რინგის ბატონ-პატრონად ისევ ჯონსონი მოგვევლინა. მეცხრე რაუნდში იამაიკელის არცთუ ძლიერმა მარცხენამ დიდი ჩემპიონი ნოკაუტში ჩააგდო. ნოკაუტი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ამერიკელმა 15 წუთის შემდეგ დატოვა რინგი. მანამდე კი ექიმი დასტრიალებდა თავს.

სამივე მსაჯის დათვლით - 77:75, 77:75 და 78:74. ნოკაუტამდეც გლენკოფ ჯონსონი პირველობდა.

ჭადრაკი

# გაერთიანებისკენ მიმავალნი

საჭადრაკო სამყაროს გაერთიანებისთვის დიდი ხანია, ბრძოლა მიმდინარეობს. ახლა კი, მართალია, უცნაურად, მაგრამ გაერთიანების პროცესი მაინც იწყება. საჭადრაკო სამყარო დიდი მოლოდინის წინაშე დგას. დღეს პირველი ნაბიჯი გადაიდგმება მსოფლიო ჭადრაკის გაერთიანებისკენ და მალე, ალბათ, მსოფლიოს ერთი ჩემპიონი ეყოლება. ეს პროცესი შემოდგომაზე გრძელდება - რუსი ვლადიმირ კრამნიკისა და უნგრელი პეტერ ლეკოს მატჩით.

ოთხწლიანი პაუზისა და სპონსორების წელიწადნახევრიანი ძებნის შემდეგ, რომელსაც ბოლო არ უჩანდა, 25 სექტემბრიდან 18 ოქტომბრამდე გადაიდგმება კიდევ ერთი ნაბიჯი მსოფლიო ჭადრაკის გაერთიანებისკენ. ვლადიმირ კრამნიკისა და პეტერ ლეკოს ორთაბრძოლამ უნდა გამოავლინოს ერთ-ერთი იმ ფინალისტთაგან, ვინც ჭადრაკის მეფის ტიტულისთვის იბრძოლებს.

მეორე ფინალისტი კი გარი კასპაროვისა და უზბეკი რუსტამ კასიმჯანოვის მატჩში გამოვლინდება. აქ კი, ალბათ, ღირს ამ ნახევარფინალებისა და, საერთოდ, ამ პროცესის ისტორიაზე ვისაუბროთ, რომ ამ მოვლენაზე უფრო თვალსაჩინო წარმოდგენა შეგვექმნას. თანაც, გავიგოთ, საიდან გამოჩნდნენ ეს ნახევარფინალისტები.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ 1990-იანი წლები საჭადრაკო სამყაროს განხეთქილების პერიოდი იყო. ყველაფერი კი გარი კასპაროვსა და ფიდეს შორის კონფლიქტით დაიწყო. თუ კარგად ჩავუღრმავდებით, უნდა ვთქვათ, რომ განხეთქილების გლობალური მიზეზი თვითონ ჭადრაკის სხვადასხვა დარგად ჩამოყალიბებაშია, ანუ ფიდემ გამოავლინა მსოფლიო ჩემპიონები ეგრეთ წოდებულ კლასიკურ ჭადრაკში და ნოკაუტ-სისტემით. შეიცვალა ტურნირების გამართვის ფორმულაც.

არც ერთმა მცდელობამ, გაეერთიანებინათ ეს ორი დაჯგუფება, შედეგი არ მოიტანა. მაქსიმუმი, რაც ბრიტანულმა ჭადრაკის კონსორციუმმა Brain Games შეძლო, ეს არის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის 2000 წელს გარი კასპაროვსა და ვლადიმირ კრამნიკს შორის მატჩის ორგანიზება. შეგახსენებთ, რომ ეს მატჩი კასპაროვმა მოულოდნელად წააგო, ხოლო კრამნიკი დამსახურებულად გახდა კაცობრიობის ისტორიაში მე-14 მსოფლიო ჩემპიონი კლასიკურ ჭადრაკში.

არადა, წმინდა ტექნიკური თვალსაზრისით, კრამნიკის, ვთქვათ, ტალის ან ფიშერის გვერდით დაყენება არ შეიძლება, რადგან 2000 წლის მატჩთან ფიდეს არავითარი კავშირი არ ჰქონია. ამ მოვლენიდან ორი წლის შემდეგ კაცობრიობას მიეცა შანსი, მომდევნო სრულფასოვანი მსოფლიო ჩემპიონი ეხილა. პრაღაში გამართულ მოლაპარაკებაზე შეიმუშავეს ეგრეთ წოდებული გამაერთიანებელი სტრატეგია, რომელიც თავის ჩარჩოში სამი მატჩის გამართვას ითვალისწინებდა და ამ მატჩების შედეგად უნდა გამოვლენილიყო მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკე.

პირველი ნახევარფინალური წყვილის მატჩი საჭადრაკო სამყაროში მეტად გავლენიან Einstein Group-ს უნდა გაემართა, რომელსაც ვლადიმირ კრამნიკთან კონტრაქტი აკავშირებდა. კაცმა რომ თქვას, ეს მატჩი დიდი ხნის წინათ ისტორია უნდა გამხდარიყო, მაგრამ Einstein Group დაიშალა და ორგანიზატორებმა დიდხანს ველარ შეძლეს სპონსორის გამოძებნა (მილიონ დოლარზე ნაკლებ საპრიზო ფონდზე კი მოჭადრაკეები არ თანხმდებოდნენ). ბოლოს და ბოლოს, ჰორიზონტზე გამოჩნდა დიდი სიგარების მწარმოებელი კომპანია. როგორც იქნა, მატჩის დღე დაითქვა და ლეკო და კრამნიკი ერთმანეთს შეხვდებიან.

მეორე ნახევარფინალური წყვილი გარი კასპაროვსა და 2002 წელს ნოკაუტ-სისტემით მსოფლიო ჩემპიონ, უკრაინელ რუსლან პონომარიოვს უნდა შეედგინა. თუმცა, პონომარიოვთან პირობებზე მოლაპარაკება ვერ მოხერხდა და კასპაროვთან შესახვედრად ლიბიაში გამართული ფიდეს მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებული რუსტამ კასიმჯანოვი მიიწვიეს.

ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის და სად გაიმართება მეორე ნახევარფინალური მატჩი. ბუნებრივია, ფინალის გამართვის ადგილი და დროც უცნობია. ასე რომ, სრულფასოვანი ჩემპიონის დადგენამდე ჯერ კიდევ დროა და, შესაბამისად, მოცდა მოგვიწევს. პირველი ნახევარფინალი კი დღეს აიღებს სტარტს. დღეისთვის პროფესიონალ მოჭადრაკეთა რეიტინგის პირველი ათეული ასე გამოიყურება.

| | |
|---|---|
| კასპაროვი (რუსეთი) | 2817 |
| ანანდი (ინდოეთი) | 2782 |
| კრამნიკი (რუსეთი) | 2770 |
| მოროზევიჩი (რუსეთი) | 2743 |
| ლეკო (უნგრეთი) | 2741 |
| ადამსი (ინგლისი) | 2738 |
| ტოპალოვი (ბულგარეთი) | 2737 |
| ი. პოლგარი (უნგრეთი) | 2728 |
| სვიდლერი (რუსეთი) | 2727 |
| შიროვი (ესპანეთი) | 2725 |

კალათბურთი

# მაიკლ ჯორდანი კალათბურთში ბრუნდება?!

ნინო ტიკარაძე

*ცნობილმა ამერიკელმა კალათბურთელმა მაიკლ ჯორდანმა NBA-ში დაბრუნება გადაწყვიტა, მაგრამ "მაიამი ჰიტის" სპორტსმენები (ამ კლუბში სურს თამაში ჯორდანს) წინააღმდეგი არიან, 41 წლის კალათბურთელმა ითამაშოს გუნდის შემადგენლობაში.*



*მაიკლ ჯორდანმა "მაიამი ჰიტში" დაბრუნება განიზრახა.*

მაიკლ ჯორდანმა ბევრს მიაღწია პროფესიულ სპორტში. ჯერ კიდევ 1985 წელს გახდა NBA-ს საუკეთესო მოთამაშე, შემდეგ კი მსოფლიო კალათბურთის ზენიტშიც მოექცა. "ჩიკაგო ბულსის" კაპიტნად გახდომის შემდეგ ჯორდანმა ექვსჯერ შეძლო კლუბის შემადგენლობაში ჩემპიონობის მოპოვება. 13-ჯერ გამოვიდა იმ თამაშებში, რომელშიც NBA-ს ვარსკვლავები მონაწილეობდნენ. მან მოხსნა არაერთი რეკორდი, რაც ვერც მანამდე და ვერც შემდეგ ვერ მოახერხა ვერც ერთმა კალათბურთელმა. ჯორდანი ორჯერ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. მან 1984-1992 წლებში აშშ-ს შემადგენლობაში თამაშისას მოიგო ტურნირი.

ახლა კი, 2004 წელს, მაიკლ ჯორდანმა ამერიკული კალათბურთის ელიტაში დაბრუნება გადაწყვიტა. მისი დაბრუნების შესახებ პირველი ინფორმაცია 2004 წლის ივლისში გამოჩნდა, მაგრამ მაშინ "მაიამის" ვიცე-პრეზიდენტმა პეტ რაილიმ განაცხადა, რომ მას არ სჭირდება ასაკოვანი მოთამაშეები. ამის მიუხედავად, ჯორდანმა ფარ-ხმალი არ დაყარა და ორი თვის შემდეგ კვლავ საჯაროდ გამოაცხადა თავისი სურვილი, თუმცა, ამჯერად მოქმედების სტრატეგიული გეგმა შეცვალა. დასაწყისისთვის მაიკლმა გადაწყვიტა, "მაიამი ჰილის" კალათბურთელების აზრი გაეგო გუნდში მისი დაბრუნების შესახებ, მაგრამ ჯორდანის იმედი არც ამჯერად გამართლდა. კალათბურთელებმა, მათ შორის, შაკილ ო`ნილმა, არ დამალეს, რომ მისი დაბრუნება ნამდვილად არ გაუხარდებათ. როგორც ჩანს, კლუბის ვეტერან კალათბურთელებს კონკურენციის შეეშინდათ - ასეთი სახელოვანი კალათბურთელი დაბრუნების შემთხვევაში მათი სერიოზული კონკურენტი გახდება. მაგრამ ფაქტია, რომ მაიკლ ჯორდანის თამაშის სანახავად ათასობით გულშემატკივარი მოვა, რაც კლუბს არა მარტო ფინანსურად, არამედ რეიტინგის ასაწევად წაადგება.

შექმნილი სიტუაცია ძალიან ჰგავს ჯორდანის კარიერის დასაწყის ეტაპს. 1982 წელს იგი ვერ მოხვდა კოლეჯის უფროსკლასელებით დაკომპლექტებულ საკალთბურთო ნაკრებში.

კარიერის დასრულების შესახებ ჯორდანმა პირველად 1998 წელს განაცხადა, სამი წლის შემდეგ კი ისევ დაბრუნდა NBA-ში. ისევ შეძლებს თუ არა ჯორდანი დიდ კალათბურთში დაბრუნებას, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ მან რეგულარული ვარჯიში დაიწყო და საკუთარი სურვილის ასრულებას მთელი მონდომებით ესწრაფვის.

# ბილეთები დროზე შეიძინეთ!

30 სექტემბერს ქართული ფეხბურთისა და "დინამოს" უამრავი გულშემატკივარი მოისურვებს ეროვნულ სტადიონზე მისვლას და თავისი გუნდის გამხნევებას. როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, ამ თამაშზე უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები იქნება მიღებული. გთავაზობთ ამ საკითხთან დაკავშირებით "დინამოს" უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელის, გია ისიანის კომენტარს.

"მოვუწოდებ ყველა გულშემატკივარს, რომლებიც თამაშზე დასწრებას აპირებენ, დროზე შეიძინონ ბილეთები. ბილეთები გაიყიდება 27, 28 და 29 სექტემბერს. უეფას წესების თანახმად, 29 სექტემბერს, საღამოს, ყველა სალარო დაიკეტება და 30 სექტემბერს, მატჩის დღეს, ბილეთები არ გაიყიდება. ასე რომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ თამაშზე დასწრება გსურთ, ბილეთის შეძენას ბოლო დღისთვის ნუ გადადებთ. ნურც უბილეთოდ სტადიონზე მოხვედრის იმედი ექნება ვინმეს. ჩვენ გვაქვს იმის მწარე გამოცდილება, როგორი მკაცრი სანქციები მოჰყვება ტრიბუნებზე უბილეთო მაყურებლის შემოსვლას. ამიტომ თამაშის დღეს ჯერ სტადიონზე შესვლამდე, შემდეგ კი უკვე სტადიონზე რამდენიმე საკონტროლო-გამშვები ზღუდე იქნება გასავლელი. უბილეთოდ მოსულები სტადიონთან მიახლოებასაც ვერ შეძლებენ. თავად თამაშზეც უსაფრთხოების ყველა ნორმას დავიცავთ. სტადიონის მთელ პერიმეტრს - ტრიბუნებს, მოედანს, სათავსოებსა და გასახდელებსაც კი, შესაბამისი სტრუქტურის რამდენიმე ათასი სამართალდამცავი გააკონტროლებს", - განაცხადა გია ისიანმა.

ბილეთების ფასია 3, 5 და 7 ლარი. შეძენა შეგიძლიათ ეროვნული სტადიონის სალაროებში.

მოკლედ

## კინოკომპანიის პრეზიდენტს "ლივერპულის" ყიდვა სურს

ჰოლივუდის ერთ-ერთი კინოკომპანიის პრეზიდენტი მაიკ ჯეფერსი ექვსი თვის განმავლობაში აწარმოებდა მოლაპარაკებას "ლივერპულის" ხელმძღვანელობასთან კლუბის ყიდვის თაობაზე. BBC-ის ცნობით, ჯეფერსი, რომლის პარტნიორია ამერიკელი ადვოკატი სტიუარდ ფორდი, მზადაა, კლუბში 100 მილიონი ფუნტი გადაიხადოს. "ჩვენ გვინდა, "ლივერპული" მსოფლიოს უძლიერეს კლუბად ვაქციოთ", - განაცხადა ჯეფერსმა, რომელსაც მიაჩნია, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ მოქმედების ტემპები უნდა დააჩქაროს, თუ იანვარში სატრანსფერო ფანჯრის გახსნის დროს ახალი ფეხბურთელების შეძენა აქვს გადაწყვეტილი.

კინოკომპანია Milkshake Films-მა, რომლის პრეზიდენტი მაიკ ჯეფერსი გახლავთ, გადაიღო ფილმი "გოლი", რომელიც მოგვითხრობს ინგლისის პრემიერ-ლიგაში მოასპარეზე ლათინო-ამერიკელი ფეხბურთელის ცხოვრების ამბავს. ფილმი, რომელშიც მოქმედება, ძირითადად, "ნიუკასლის" სტადიონ "სენტ-ჯეიმს პარკზე" მიმდინარეობს, 2005 წლის აგვისტოში გამოვა გასაყიდად.

## განის ნაკრებს ფრანგი გაწვრთნის

შესაძლებელია, ახლო მომავალში საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა - მარსელ დესაიმ განის საფეხურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დაიკავოს. "ჩვენ მიგვაჩნია, რომ დესაი იდეალური კანდიდატია გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე. იმედი გვაქვს, ის მალე შეუდგება ნაკრების წვრთნას," - განაცხადა განის სპორტის მინისტრმა ჯო აგრიმ.

საინფორმაციო სააგენტო "როიტერის" ცნობით, მიუხედავად იმისა, რომ დესაი განას ხშირად სტუმრობს, მას არც ერთხელ არ გამოუთქვამს ამ აფრიკული ქვეყნის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელობის სურვილი.

## ვენგერი არ აპირებს "არსენალიდან" წასვლას

ლონდონის "არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა უარყო ბრიტანეთის მასობრივი საინფორმაციო წყაროების ცნობა კლუბიდან მისი წასვლისა და "რეალში" გადასვლის შესახებ. "მე არ ვაპირებ "არსენალიდან" წასვლას. ჩემი გეგმები ლონდონის ამ საფეხბურთო გუნდს უკავშირდება. ვფიქრობ, კიდევ ბევრი მაქვს გასაკეთებელი მის დასახვეწად. თუ ხვალ ქუჩაში აღმოვჩნდები, მაშინ არ ვიტყვი უარს, სათავეში ჩავუდგე "რეალს". მაგრამ არა მგონია ეს მოხდეს. გადაწყვეტილი მაქვს, "არსენალთან" ახალ კონტრაქტს მოვაწერო ხელი", - განაცხადა ვენგერმა.

## გარდაიცვალა NHL-ის მწვრთნელი

THS-ის ცნობით, 84 წლის ასაკში ღვიძლის კიბოთი გარდაიცვალა ყოფილი ჰოკეისტი და მწვრთნელი ბილი რიი. ათი სეზონის მანძილზე, NHL-ში ყოფნისას, მან ორჯერ მოიგო სტელის თასი. მწვრთნელის კარიერა რიიმ გუნდ "ბუფალოში" დაიწყო. მან გუნდი სამჯერ გაიყვანა შეჯიბრების ფინალში, სადაც "ბუფალომ" ერთადერთხელ - 1963 წელს გაიმარჯვა. ამის შემდეგ რიიმ თავისი კარიერა NHL-ში გააგრძელა. მისი ხელმძღვანელობით "ჩიკაგომ" 13 სეზონი ჩაატარა, რომლის დროსაც გუნდი სამჯერ გავიდა სტენლის თასის გათამაშების ფინალში.

მისმა გუნდმა 1102 ჩატარებული მატჩიდან 542 გამარჯვება მოიპოვა.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

### ორშაბათი. 27 სექტემბერი

**НТВ+ФУТБОЛ**

06:00 NBA TV - ყველაფერი NBA-ს შესახებ
07:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1986. ყველა ვარსკვლავთა მატჩი
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 იტალიის ჩემპიონატი. "ლაციო" - "მილანი"
14:10 ესპანეთის ჩემპიონატი. "მალიორკა" - "ბარსელონა"
15:50 თავისუფალი დარტყმა
16:05 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ნანტი" - "ლანსი"
17:45 ბრაზილიის ჩემპიონატი. "კორინთიანსი" - "გოიასი"
19:20 საფეხბურთო უიკ-ენდი
20:05 სახვალიო ტელეპროგრამა
20:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:05 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:05 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. "ჩარლტონი" - "ბლექბერნი". პირდაპირი ტრანსლაცია
01:10 01:10-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - დღიური
03:30 NBA TV. WNBA-ს ჩემპიონატი. პირველი წრე. "SEATTLE STORM" - "MINNESOTA LYNX". მე-2 მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
05:30 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა

**НТВ+СПОРТ**

10:00, 13:00 პრესცენტრი
10:20, 21:00 "ოლიმპის შვილები"
10:25, 13:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 ამერიკული ფეხბურთი. NFL-ის ჩემპიონატი. "OAKLAND RAIDERS" - "TAMPA BAY BUCCANEERS"
13:40 ჭადრაკი. მატჩი მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის. კრამნიკი - ლეკო
14:10 ჩოგბურთი. დევისის თასი. პლეი-ოფი. რუსეთი - ტაილანდი. გადამწყვეტი მატჩი. შესვენებისას (16:00) - პრესცენტრი
20:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
21:05 სახვალიო ტელეპროგრამა
21:15 "ჰოკეი-პლუს"
21:30 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. როი ჯონსი - გლენკოფ ჯონსონი
23:30 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
00:00 ახალი ამბები
00:15 "ჰოკეი-პლუს"
00:30 ბოულინგი. PBA ჩემპიონატი

**EUROSPORT**

10:30 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
11:00 სუპერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
11:45 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
12:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ჩინეთში. ფინალი
13:30 პარაოლიმპიური თამაშები. ათენის ოლიმპიური თამაშები
14:00 ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
15:15 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
16:15 ველოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი იტალიაში
19:30 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
20:00 ფეხბურთი. ევროგოლები
21:00 მულტისპორტი
21:30 სუმო. გრანდ ტურნირი (ბაშო) იაპონიაში
22:30 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
00:30 მულტისპორტი
00:45 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
01:15 ფეხბურთი. ევროგოლები
02:15 ახალი ამბები
02:30 მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი სამხრეთ აფრიკაში
03:00 მოტორბოლები



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

## გულახდილად

# ყინული დაიძრა







ბათუმის ულამაზესი ქუჩების, მოედნების, ზღვის პირას მოტიტვლებული მინდვრების, ნაძვნარის აუთვისებლობა, მოუვლელობა, გამოუყენებლობა და გაპარტახებულობა, წლების განმავლობაში ამოუხსნელ ამოცანად რჩებოდა. ჩემთვის სრულებით გაუგებარი იყო, ერთი და მხოლოდ ერთი ბუნგალო რატომ უნდა ყოფილიყო? მხოლოდ ერთ კაფეს რატომ უნდა ემუშავა? ზღვის სანაპიროზე შეზლონგები მხოლოდ ერთ ადგილას რატომ უნდა ყოფილიყო გაქირავებაში? ბათუმის ბულვარში, ზღვის პირას რამდენიმე, თუნდაც ორ ბუნგალოსა თუ კაფეს რომ ემუშავა, ამით ვის რა დაუშავდებოდა? დამსვენებლებსა და ბათუმელებს მყუდროდ დასაჯდომი რამდენიმე ადგილის არჩევანის უფლება რომ ჰქონოდათ, ვის რა დააკლდებოდა? ბულვარის ზღვის ზოლის მთელ გაყოლებაზე უამრავი ცარიელი ტერიტორია იყო, რომელთა გამოყენება-ათვისების უფლება არავის ჰქონდა. მთელი მსოფლიო რომ მოიარო, ზღვის პირას გამოუყენებელ ერთ გოჯ მიწასაც ვერ ნახავ. ბათუმში კი სანაპიროს უზარმაზარი მონაკვეთები მოუვლელ-გაპარტახებული, მაგრამ ხელშეუხებელი, უკეთეს დროს და მათი რაციონალურად გამოყენების საშუალებას ელოდა. მთელი ამ ბოლო წლების განმავლობაში ერთადერთი ზაფხული მახსოვს, როდესაც ბულვარის ცნობილი "ბუნგალოს" საპირისპირო მხარეს, სტადიონთან მეორე არანაკლებად მიმზიდველი ბუნგალო გაიხსნა, რომელსაც იქ მომუშავე პროფესიონალი, გემოვნებიანი, მომღიმარი და თავაზიანი ბარმენის საპატივცემულოდ, "ვახოს ბუნგალო" შევარქვით და თითქმის ყოველდღე კარგი მუსიკის მოსასმენად, ვახოს საავტორო, შემოქმედებით სავსე, გემრიელი კოქტეილების დასალევად დავდიოდით. არასდროს დავინტერესებულვართ, თუ ვის ეკუთვნოდა ეს მეორე ბუნგალო. მაგრამ, სამწუხაროდ, ბუნგალო, ეტყობა, იმისი არ იყო, ვისიც უნდა ყოფილიყო და წლების განმავლობაში ბათუმში მძვინვარე ერთპიროვნული ლოგიკიდან გამომდინარე, "ვახოს ბუნგალო" არა მარტო დაკეტეს, არამედ მიწასთან გაასწორეს. მისი კვალიც კი მოსპეს.

სექტემბრის შუა რიცხვებში ბულვარის ბუნგალოც "იკეტებოდა". მისი ბარი, სცენა ცელოფანში ეხვეოდა. მაგიდები და სკამები ლაგდებოდა და სექტემბერ-ოქტომბრის ხავერდის სეზონის, მზიანი, ცხელი, საბანაო ამინდისა და თბილი საღამოების მიუხედავად, ზღვის პირას არსებული ერთადერთი დასაჯდომი, ყავის ან ლუდის დასალევი ადგილიც ისპობოდა.

ახლა, სექტემბერში, დამსვენებლებისგან დაცარიელებულ ბათუმს ცვლილებები, გაუმჯობესებისკენ ნელ-ნელა გადადგმული ნაბიჯები უფრო დაეტყო. ენით აუწერელი რაოდენობის სამარშრუტო ტაქსებს შორის უკვე ლავირებენ თავაზიანი, გაპრიალებული საპატრულო მანქანები, რომელთა მუშაობის შედეგი მოძრაობასაც დაეტყო. ბათუმის ცენტრის ულამაზეს, ვიწრო, პატარა ქუჩებზე, რომლებიც ოდითგან სიცოცხლისთვის სახიფათო ორმოებით იყო ცნობილი, ქვაფენილის დაგება დაიწყეს. ბაზრის მიმდებარე ტერიტორია წლობით დაგროვილი ნაგვისგან მეტ-ნაკლებად გაიწმინდა, ბაზარი კი ახალ, სუფთა, დიდ შენობაში ფუნქციონირებს და იქ ვაჭრობას არაფერი სჯობს. იმედი მაქვს, რომ წლების განმავლობაში უკაცრიელ, მაგრამ საგულდაგულოდ გარემონტებულ საბავშვო ბაღში და უნივერსიტეტში ბავშვები და სტუდენტები შეუშვეს. და რაც ჩემთვის ყველაზე ნიშანდობლივი და სასიამოვნო ცვლილებების მომასწავებელი იყო - ბულვარში, ცნობილი "ბუნგალოს" გვერდზე, ვიღაცას ფრენბურთის და მინი-ფეხბურთის ახალი, ყველა პარამეტრის დამაკმაყოფილებელი მოედნებისა და, რაც მთავარია, ახალი კაფე-ბარის გახსნის უფლება მისცეს.

კაფე-ბარი "კოორდინატი 41/41" თბილისელებმა და ბათუმელებმა ცოტა ხნის წინ ხელშეუხებელ ტერიტორიაზე ერთობლივად გახსნეს. ე.ი. ყინული დაიძრა! ე.ი. ამდენი წელიწადი ტყუილად იყო დაკარგული! ბათუმს ხომ უზარმაზარი რეალური შესაძლებლობა გააჩნია, რომ ერთ-ერთი ულამაზესი, სიცოცხლით სავსე საპორტო ქალაქი გახდეს! ბათუმში ხომ სავსებით რეალურია, ნებისმიერი ტიპის, ხასიათის, ასაკის ადამიანმა კარგად, ბედნიერად იგრძნოს თავი! ე.ი. რაღაცის გაკეთების, გახსნის, ამუშავების საშუალება ბათუმში მართლაც მიეცათ!

ახალი კაფე შესანიშნავი ხარისხის, ზღვის სიახლოვის გათვალისწინებით, სპეციალურად დამუშავებული ხისგან არის აშენებული და უზარმაზარი, სხვადასხვა ტონის ტერასასაგან შედგება, ბულვარის ნაძვნარშია ჩაფლული, ზღვას გადაჰყურებს და ყოველგვარ ზედმეტობებსა და "VIP" უპირატესობებს მოკლებული, განსაკუთრებული გარემოთი გამოირჩევა.

"კოორდინატი 41/41"-ის პომპეზური, ხალხმრავალი, ფეირვერკიანი გახსნა ამ კვირაში შედგა და გარდა იმისა, რომ ბათუმში დასასვენებლად ჩასულებს თუ მაცხოვრებლებს მთელი წლის განმავლობაში ზღვის პირას ჯდომის, სიამოვნების მიღების საშუალება მიეცათ, გახსნაზე უამრავი თბილისელის გარდა, ყველა ის ბათუმელი ერთად ვნახე, რომლებიც წლების განმავლობაში ასე შემიყვარდა და პოლიტიკური ორიენტაციების განსხვავების მიუხედავად, რომელთა ერთიანობაში ამ ქალაქის ერთ-ერთი მთავარი კოლორიტი, ხიბლი და მიზიდულობაა.

გემოვნებით, ზღვის სპეციფიკის და ხალხის სურვილების ცოდნითა და გათვალისწინებით გაკეთებულმა კაფემ ყველა გააერთიანა. კარგმა მუსიკამ ყველა სიამოვნების მისაღებად განაწყო. ბარმენი ვახოს მიერ განსაკუთრებული ხალისითა და მონდომებით დამზადებულმა კოქტეილებმა ყოველგვარი დაძაბულობა გააქარწყლა. ბევრმა ლამაზად ჩაცმულმა, მოღიმარმა, მომხიბვლელმა ქალმა საღამოს განსაკუთრებული პეწი შეჰმატა. კაფეს ყველა ტერასას, კუთხის წინ გადაშლილმა ზღვამ და იმ დღეს თითქოს განსაკუთრებულად თვალისმომჭრელმა მზის ჩასვლამ კი საღამო დაუვიწყარი გახადა.







# ჩხაიძემ სახელურები და თეთრეული დააბრუნოს!

თბილისი-ბათუმის ან ბათუმი-თბილისის მიმართულებით მგზავრობა ღამის მატარებლით არც ისე ხშირად მიწევს. უპირატესობას უმეტესად მანქანას ან დღის მატარებელს ვანიჭებ, რომელშიც, მართალია, ტელევიზორების უმეტესობა არ მუშაობს, ან თუ მუშაობს, მხოლოდ "იუმორინას" აჩვენებს, მაგრამ მგზავრობა მაინც შეიძლება, რასაც სამარშრუტო ტაქსებზე ნამდვილად ვერ ვიტყვი. მათი გაუმართაობა და ტარების სიჩქარე ჩემს ეგოიზმსა და ნერვულ სისტემას არ შეეფერება. რომელიმე სამარშრუტო ტაქსის მძღოლის თვითკმაყოფილ ავტოპილოტობას შევეწირო, ან რომელიმე მოსახვევში სამ ბორბალზე აღმოვჩნდე, ნამდვილად არ მინდა.

ბათუმიდან ამ წამოსვლაზე რა სისულელე დამემართა და თბილისში ღამის მატარებლით რატომ წამოვედი, წარმოდგენა არ მაქვს! ეს რა ნახა, რა შეიყნოსა, რა შეიგრძნო ჩემმა უბედურმა თავმა! საინტერესოა, სანეპიდსადგურს ჩვენი მატარებლები თუ შეუმოწმებია და თუ კი, მაშინ ბოლოს, რამდენი წლის წინ? მე რომ მკითხო, სანიტარული სამსახურის პარალელურად, ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტიც უნდა დაინტერესდეს ღამის მატარებლებში არსებული მდგომარეობით და მგზავრების გადარჩენაში ჩაერთოს. ტუალეტის აღწერით არც ჩემს თავს და არც თქვენ ამხელა დისკომფორტს არ შეგიქმნით. ერთს კი ვიტყვი, რომ ეს არა ადამიანების, არამედ ცხოველების მიერ წლების განმავლობაში დაბინძურებული, მოუვლელი, გაურეცხავი, გაუწმენდავი ანტისანიტარიის ერთი მთლიანი "სველი წერტილია". ოღონდ რითია სველი, აი ეს კი არც სანახავი, არც საყნოსი, არამედ თვალდახუჭულ-ცხვირმოჭერილად გასარკვევია და თანაც სასწრაფოდ, სანამ რომელიმე მგზავრი არ დაღუპულა, არ ჩამხრჩვალა და ეპიდემია კი ქალაქს არ მოსდებია.

გამყოლი "პრავადნიკები" ღვინისფერ, შალის, ხუთი ზომით დიდ კოსტიუმებში გამოუწყვიათ და მატარებლის მდგომარეობაზე ზრუნვა ამით დაუწყიათ და ამით დაუმთავრებიათ. გარედან ჩემი ვაგონი დაბომბვას ნაწილობრივ გადარჩენილს წააგავდა. კიბე მორყეული, დაჟანგული, ყველა სახელურმომძვრალი იყო. კარი არც იღებოდა და არც იკეტებოდა. გასასვლელში მზრუნველად დაგებული, ჭუჭყისგან და მტვრისგან ფერშეცვლილი ხალიჩის ბილიკების დაგორგვლა მხოლოდ ფეხის წამოკვრას, მტვრის ღრუბლის შექმნას და ცხვირ-პირის დალეწვას ემსახურება. კუპეში არც ერთი ნათურა, არც ერთი საკიდი, არც ერთი ჩამოსაკიდი თარო აღარ არის, მათ ადგილას მხოლოდ შავი ნახვრეტებია. კუპეს ბუნდოვან განათებაში შეიძლება იფიქრო, რომ კედლები ან კოპლებიანია ან ბუზებშესეული. თუმცა, იქვე ნამდვილი, ცოცხალი, შავი, მსუქანი ბუზებიც საკმარისად არის. ამიტომ, სიბნელეს ცოტა თვალი რომ შეეგეჩვევა, სად ბუზია, სად ნახვრეტი და სად კიდევ სხვა გაუგებარი მწერი, ადვილად გაარჩევ. ჭერზე დამაგრებული ნეონის გამნათებლის მაგივრად საკმაოდ სიურეალისტურად ჩამოკიდებული დენის ფერადი მავთულები გადმოგყურებს და გირლიანდებივით თავზე გაკიდია. თუმცა, ეს დაშლილი გამნათებელი, ფიზიკის ყველანაირი კანონის დარღვევით, მაინც ანათებდა. მაგრამ ისე, რომ წიგნის წაკითხვა, კროსვორდის შევსება ან ბანქოს თამაში ამ განათებისას შეუძლებელია. ლეიბები და ბალიშები მატარებლის გამოგონების დროიდან გმირულად არის შენარჩუნებული და კაცობრიობის ისტორიულ-ანტისანიტარიულ კვალს ატარებს. მაგიდა გამომწვარი, გაშავებული და იდაყვების ჩამოსადებადაც გამოუყენებელია. ატლასის, სინთეტიკური, ლაპლაპა ფარდები მატარებლის ტერიტორიაზე მტვრის და ჭუჭყის ბუდის უპირატესობას ამაყად ინარჩუნებს. თეთრეული თითქოს ოდესღაც ბუკლეს ნაჭრიდან არის შეკერილი - ფერდაკარგული, ფაქტურაშეცვლილი, მინდვრის ყვავილების თაიგულებიანი ნახატწაშლილი, სპეციფიკური სუნშეძენილი. კუპეში მოხვედრისას დილემის წინაშე აღმოჩნდები: რა გირჩევნია, დალაქული ლეიბი სახეზე თუ ფეხებზე მოგედოს. სხვა გამოსავალი არ არსებობს. ორივე ბოლოს ზეწარი ვერაფრით მისწვდება. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ ჩაცმულმა მიწოლა და დაძინება გადავწყვიტე. თუ, რა თქმა უნდა, ამას შეიძლება ძილი ვუწოდო. თავიდან შემცივდა და გამყოლს მორიდებით "პლედი" ვთხოვე. საპასუხოდ მიღებული ორაზროვანი ღიმილით მივხვდი, რომ თხოვნა ვერ გაიგო. "პლედი" სიტყვა "საბნით", "საბანი" "გადასაფარებლით", "გადასაფარებელი" "პაკრივალათი" შევცვალე და გამყოლიც მიხვდა. "აა, ადეალა გინდა". დიახ, "ადეალა". თუმცა, გამყოლი "სვეტი" არ არის, მისი ქართული ნამდვილად ზედმეტად რუსულით არის გამდიდრებული. როგორც იქნა, "ადეალა" მივიღე. ის იყო, მოვეწყვე და დაიწყო მარა, რა დაიწყო! მთელი ღამე, ვაგონიდან ვაგონში, გამყიდველები დაუღლელად დადიოდნენ და უცნაური ხმის ტემბრითა და გამოთქმით ბოლო ხმაზე ყვიროდნენ: "ძვირფასი ხაჭაპური, სპეცბორჯომი, ოქროფანტა, ცივი კოკა-კოლა, ტყლაპი, მოხალული მარილიანი სემიჩკა, მიწის თხილი, ლუდი, მასკოვსკი პეჩენია, კარტი!"



სულ მაინტერესებს, ან სად ამოდიან, ან მერე სად ჩადიან და ღამის ოთხ-ხუთ საათზე ტყლაპს ვინ ყიდულობს?

წარმოუდგენელი ყანყალის, თეთრად გათენებული ღამის ბოლოს, როგორც იქნა, თბილისში ჩამოვედი და მართალია, ამ წერილის დაწერას მხოლოდ ბათუმი-თბილისი მატარებლის შესახებ ვაპირებდი, მაინც არ შემიძლია, თბილისის რკინიგზის სადგურს გვერდი ავუარო და მის შესახებ ერთი-ორი სიტყვით ჩემი აზრი არ მოგახსენოთ.

ალბათ, ლოგიკურია, რომ ასეთი მატარებელი სწორედ ასეთ სადგურში უნდა მიდიოდეს, მაგრამ აი, გვინდა კი ასეთი მატარებლის და სადგურის მქონე ქვეყანა, ეს უკვე ჩვენი გადასაწყვეტია! თბილისის სადგური, ისევე როგორც მატარებლის ტუალეტი, მარტივ, ელემენტარულ აღწერას არ ექვემდებარება. გაუგებარი კატაკომბური არქიტექტურის მქონე ეს მონსტრი გაპარტახებულობის იმ სტადიაში იმყოფება, რომელიც კაცობრიობის მიერ ჯერ, მგონი, შესწავლილიც კი არ უნდა იყოს. მოგლეჯილი, ასფალტაცლილი, ოღრო-ჩოღრო ბაქნები, მოტეხილი, სრიალა, სხვადასხვა ზომის კიბის საფეხურები. სრულიად გაუნათებელი და საზოგადოებრივ ტუალეტად ქცეული მთელი მიწის სართული. გზადაგზა მიმობნეული ნაგვის გროვები, საუკუნის დასაწყისის სატვირთო ურიკები. სუნი, ჭუჭყი, სიღატაკე, მათხოვრები, კუპეებთან მოსული ტაქსისტები, მეძვირე ბარგის მტვირთავები (1 ჩანთა - 2 ლარი), ყვირილი, გინება, ფურთხი, ოფლი, ჟანგი და "ოქროს ბაზარი". გამაგებინეთ, სადგურზე ოქრო რა შუაშია? სადგური ხომ ქალაქის ერთ-ერთი პირველი სახეა! რკინიგზის სადგურის ფონზე. კარგად გამოიყურება ჩვენი დედაქალაქი! ამ წერილის ფოტოილუსტრირება სადგურის ფოტოებით მინდოდა, მაგრამ მერე ვიფიქრე, რომ რკინიგზის ყოფილი შეფის, აკაკი ჩხაიძის ფოტოც საკმარისი იქნებოდა. რა თანხას ედავებოდნენ და რა თანხა გადაიხადა ჩხაიძემ, ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ამ ყველაფრის შემხედვარემ ზუსტად ვიცი, რომ ცოტა გადაახდევინეს! ეგება, ან ცოტა კიდევ მოიტანოს, ან ვაგონის სახელურები, საკიდები, თეთრეული ან მატარებლისთვის განკუთვნილი სხვა წვრილმანი სახლში მოიძიოს, ან პირდაპირ ერთი ახალი მატარებელი გვიყიდოს. მაგისგან კი გვეკუთვნის. ჩხაიძისთვის ეს სასაცილოდ იოლია, ჩვენთვის კი... არ შეიძლება, რომ სადგურის ბედითა და მდგომარეობით ვინმე დაინტერესდეს? მაინცდამაინც მიშა სააკაშვილის მატარებლით ვოიაჟის იმედად უნდა ვიყოთ? ეგება და არ უყვარს პრეზიდენტს მატარებელი, ან, უბრალოდ, არ სცალია. არა, არა, სხვა გამოსავალი, ხალხო, არ გვაქვს. ისევ და ისევ რკინიგზის ყოფილ შეფს უნდა მოვკითხოთ.

# დიუკი ყველაზე შორს გავიდა

## კონცერტი, რომელიც მოულოდნელობებით დაგვამახსოვრდება

ვერა ნეფარიძე

*მაინც, საით იყურება ჯორჯ დიუკი? ეს შეკითხვა ამერიკელი ჯაზმენის კონცერტამდე ერთი დღით ადრე ამეკვიატა; მაშინ, როდესაც "შერატონ-მეტეხი პალასში" გამართულ პრესკონფერენციაზე სტუმარმა განაცხადა: "ჯაზის განვითარების ისტორიიდან, პირადად ჩემთვის 50-60-იანი წლები იყო ძალიან მნიშვნელოვანი. ძალიან ნოვაციური იყო, მუსიკოსები წინ იყურებოდნენ. მგონია, რომ დღეს ძალიან ბევრი მუსიკოსი იყურება უკან". ამ უკანასკნელთა რიგებში ჯორჯ დიუკი, ცხადია, არ უნდა ვეძიოთ. თითქმის 40 წელიწადი მუსიკალურ სცენაზე, არაა ცოტა. ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც გასწავლის, რომ თითქმის სრულიად უცხო პუბლიკა სცენაზე გამოსვლის წამიდან ჩართო ორსაათიან თამაშში, რომელიც მუსიკალურთან ერთად, უამრავ არტისტულ დეტალს აერთიანებს. ბოლო დროის სტუმრებთან შედარებით, ჯორჯ დიუკი აშკარად ყველაზე შორს წავიდა: არ დაიზარა და კონცერტის დასასრულისკენ ფილარმონიის დარბაზის სიღრმე მოიარა, მოულოდნელი "სეიშენი" გამართა და კონცერტი ეფექტურად დაასრულა. ამგვარად მხოლოდ სცენის დიდოსტატები იქცევიან.*

ვიდრე ბევრჯერ გაგონილი ჯორჯ დიუკის "მუსიკალური სასწაულების" მომსწრე გავხდებოდით, მოხდა ისე, რომ მანამდე მასში არაჩვეულებრივი მოსაუბრე მუსიკოსი დავინახეთ. "შერატონ-მეტეხი პალასში" გამართულმა პრესკონფერენციამ 25 სექტემბრის კონცერტისადმი მოლოდინი კიდევ უფრო გაამძაფრა. თავაზიანი მისალმების შემდეგ სტუმარმა გაგვაფრთხილა, რომ საკონცერტო პროგრამაში აუცილებლად იქნებოდა ის კომპოზიციები, რომლებიც, ვიცოდით. არ დავმალავ, და ჯორჯ დიუკის შემოქმედების ცოდანს არ დავიჩემებ, მაგრამ კონცერტზე ერთი-ორმა სიმღერამ ჩემი მეხსიერებიდან უდავოდ ამოყვინთა. მათ შორის, Sweet Baby, ერთ დროს სტენლი კლარკთან ერთად ჩაწერილი სინგლი, საუკეთესო მოსასმენი იყო ფილარმონიის სცენიდან. თუმცა, ეს კომპოზიცია, ალბათ, ნაკლებად გამოდგება მრავალჯერ ნაქები დიუკის შესრულების ტექნიკის საილუსტრაციოდ. ქართველმა მსმენელმა ამ კონცერტით მუსიკოსის ტექნიკური შესაძლებლობები უდავოდ ირწმუნა.

პრესკონფერენციაზე სასიამოვნოდ მოსაუბრე ჯაზმენი კონცერტზე კიდევ უფრო აქტიური, ენერგიული და კომუნიკაბელური აღმოჩნდა. სცენაზე გამოსვლისთანავე მუსიკოსმა ყველაფრის მიუხედავად, მოახერხა მთელი დარბაზი მისდამი პოზიტიურად განეწყო. შეიძლება ვინმე შემომედავოს, სხვაგვარად განწყობილ მსმენელს კონცერტზე რა უნდოდაო? ისღა დამრჩენია კითხვითვე ვუპასუხო ასეთებს: დარწმუნებულები არიან, რომ ფილარმონიაში მოსულთაგან ყველამ იცოდა ჯორჯ დიუკის მუსიკა? ვფიქრობ, ეს არც დიუკის საერთაშორისო სტატუსს ვნებს რამეს და თქვენ წარმოიდგინეთ, იმდენად არც ჩვენი მსმენელის რეპუტაციას. მთავარი ამ კონცერტში ხარისხიანი მუსიკის მოსმენის სურვილი იყო. მოლოდინმა გაამართლა და მასთან ერთად, "ისთერნ პრომოუშენისადმი" აღმოჩენილმა ნდობამაც. ჯორჯ დიუკთან დაკავშირებით, სხვაგვარი მოსაზრებები მისი მუსიკალური გემოვნებიდან გამომდინარე თუ გაჩნდება, თორემ სახელოვანი პიანისტის, ვოკალისტის, პროდიუსერისა და, ერთი სიტყვით, აღიარებული ჯაზმენის პროფესიონალიზმში ეჭვის შეტანა, სულ მცირე, მიამიტობაა.





სცენაზე ჯორჯ დიუკის ბენდი.


ნინო ქათამაძის სცენაზე გასვლა ამ კონცერტის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ეპიზოდი იყო.

შეკითხვაზე, თუ საიდან იღებს დიუკი ენერგიის წყაროს, კონცერტამდე ერთი დღით ადრე სტუმარმა ასე გვიპასუხა: "ენერგიის წყარო - ეს თვითონ ცხოვრებაა. ვიღებ იმას, რაც ხდება ჩემ გარშემო. ვუყურებ, როგორც მუსიკოსი, ან ჩვეულებრივი ადამიანი და ვაკეთებ ამ ყველაფრის კომენტარს. მუსიკას მოაქვს გარკვეული შეტყობინება. მინდა, ჩემს მუსიკაში პოზიტიური "მესიჯი" იყოს ჩადებული. მე 60-იანების შვილი, ანუ სიყვარულის შვილი ვარ". "60-იანების შვილი" დღეს ჯაზის, სოულისა და ფანკის ნაზავისგან მიღებულ მუსიკას ქმნის. შიგადაშიგ, 80-იანების დისკოს ნოსტალგიასაც მოგგვრით და ცეკვას მოგანდომებთ. ყველაზე მეტად კი განცვიფრებას მისი შესრულების ტექნიკა იმსახურებს.

"ძალიან ბევრმა ცნობილმა მუსიკოსმა გაიარა თავის დროზე კლასიკური მომზადება. მათ არასდროს ავიწყდებათ, რომ მუსიკა ისეთი რამაც არის, რაც შეიძლება სპონტანურად გამოხატო და დაწერო. დიდ მუსიკოსებს ამ ორის - აკადემიურისა და სპონტანურობის შერწყმის შედეგად გამოსდით ასეთი მნიშვნელოვანი შედეგები", - ამ სიტყვების ავტორი, როგორც უკვე დავრწმუნდით, თავადვე არის აკადემიური განათლებისა და ამ განათლების სპონტანური იმპროვიზაციის კარგი მაგალითი. ამიტომაც არის იგი შორს იმ მოსაზრებისგან, თითქოს ჯაზი კარგავს აქტუალობას და ამბობს: "ჯაზი საკმაოდ აქტიური და ცოცხალია. არავითარ შემთხვევაში არ არის ჯაზი მკვდარი მუსიკა. თუმცა, შიგადაშიგ რაღაც უცნაური სუნი კი ასდის".

სტენლი კლარკი, ფრენკ ზაპა, ჟან-ლუკ პონტი, ბილი კობემი, ელ ჯერო..., - ერთ დროს მუსიკის ამ ლეგენდებთან ჯორჯ დიუკს შემოქმედებითი პროექტები აკავშირებდა. დღეისათვის ამერიკელი ჯაზმენი სოლო კარიერით არის ცნობილი და ჰყავს საკუთარი ბენდი. თბილისში დიუკი ექვსკაციანი შემადგენლობით (კევინ რენდოლფი, ჯეფ ლი ჯონსონი, მაიკ მენსონი, გორდონ კემბელი, შენონ პირსონი) ჩამოვიდა. ეს მუსიკოსები შეიძლება სცენას არ ანგრევენ გამოსვლისას (ყოველ შემთხვევაში, თბილისის კონცერტიდან გამომდინარე ამის თქმა შეიძლება), მაგრამ ჯორჯ დიუკს შესაფერის აკომპანიმენტს ნამდვილად უწევენ, ხოლო დამოუკიდებლად მუსიკას უქმნიან ისეთ ცნობილ სახელებს, როგორებიც არიან: მადონა ან თუ გნებავთ, კრისტინა აგილერა. რა თქმა უნდა, ყველაფერი შედარებითია, თორემ, როდესაც ვამბობთ, "სცენას არ ანგრევენ, მაგრამ კარგები არიან", სამწუხაროდ, ნიშნავს, რომ მსგავსი დონის მუსიკოსები ჩვენ ან არ გვყავს, ან - ყოველ შემთხვევაში, იმათი და ჩვენი გაგების საშუალო დონის შემსრულებლებს შორის უზარმაზარი განსხვავებაა. ამის თქმის საბაბს ისევ და ისევ 25 სექტემბრის კონცერტი მაძლევს. თუმცა, საბედნიეროდ ჯორჯ დიუკის "სიურპრიზი" - სეიშენი მოულოდნელად სცენაზე მიწვეული ქართველების მონაწილეობით, მხოლოდ ჩავარდნებით (მაგალითად, დიუკისა და მისი ბენდის გამოსვლა მევიოლინესთან ერთად) არ დაგვამახსოვრდება. არა მგონია, ვაჭარბებდე, და ნინო ქათამაძის სცენაზე გასვლა ამ კონცერტის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი, ეფექტური და წარმატებული ეპიზოდი იყო.

## TV პროგრამა

25 სექტემბერი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **10.00** სერიალი "შეყვარებული ქალები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.40** კურიერი **12.20** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **13.30** მხ. ფილმი "დაქირავებული მკვლელები" **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "მაშველები" **17.05** სერიალი "მაშველები" **17.25** პერეკროსტიკი **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **20.00** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **23.00** ფილმი (ნ. ჯაფიაშვილის პროექტი) **00.00** მხ. ფილმი "2009: დაკარგული მეხსიერება". მთ. რ-ში: ანკილ კანგი (18).

### 9 არხი

**08.00** "ქართული ათეული" **12.00** "ფოლკი" **12.30, 20.00** "მხიარული ხუთეული" **13.00** "კლიპ-მიქსი" **18.00** "ფოლკი" **19.00** "ტევე-პოპი" **20.30** "ფოლკი" **21.00** "ტევე-პოპი" **00.00** "ნონ-სტოპი"

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.30** მულტსერიალი "მარსუპილამი" **10.00** "იმღერე რამე" **10.30** მხ. ფილმი "არ დაიჯერო რომ აღარა ვარ" **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი "კარიბის გული" **13.00** კონცერტი **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "ქალაქები" (რეიკიავიკი) **15.20** "ფორტუნა" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალი "უშიშართა საოცარი თავშადასავალი" **16.30** "ფრაგმენტები სურათისათვის" - ზ. ყიფშიძე **17.00** მულტსერიალი "მარსუპილამი" **17.25** "ჩემი მშვენიერი ლედი" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "კარიბის გული" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "ბერიკაცები" (გ)

### კავკასია

**13.00, 00.30** ქართული მუსიკა **14.00** ინდ. მხ. ფილმი "განკიცხულნი" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "თავგადასავლების მეფე" (გ) **22.30** "საქმე და ეკონომიკა"

### მზე

**09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ველური მთვარე" **10.30** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **11.35** ერთი ჟურნლისტის მზერა. გ. კალანდია. "გელინო" **12.05** ტელეჟურნალი "დები ტრევისის საოცარი სახლი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** ტელეჟურნალი "სცენა" **19.05** სერიალი "ველური მთვარე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "ბილი ფინგალი" (15) (მაიკლ კეინი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "მარსუპილამი" **19.30** "იმღერე რამე" **20.00** შეხვედრები ფიქრის გორაზე **20.40** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 13-14ს. **21.30** ფორტუნა **22.00** მხ. ფილმი "მყუდრო სავანე" (გ)

### იმედი

**07.00** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** ანიმაციური ფილმი "სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" **08.25, 02.25** იმედის მელოდიები **08.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **09.20** "აქტიორი" **10.05** სერიალი "ტყუპები" **11.15** დროება **12.40, 16.25, 01.55** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ბოგუსი" (გ) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.45** ქრონიკა **15.25** სერიალი "კლონი" **16.30** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **17.30** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "ტყუპები" **20.00** სერიალი "კლონი" **20.55** სერიალი "ყავა და ლუდი" 1-ლი ს. **22.45** საქმე ტ **23.10** "არ იდარდო" **00.25** სპ. პროგრამა "გოლი" **00.50** სერიალი "ნეშ ბრიჯესი"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости **09.20, 21.30** Сериал **"УЧАСТОК". 10.30, 19.00** Сериал **"КЛОН". 11.20** Мультсериал "Кошки-мышки". **11.30** Дисней-клуб: "Лило и Стич". **12.20** Леонид Куравлев в комедии **"СВАДЕБНЫЙ ПОДАРОК". 14.00** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.20** Сериал **"СЫЩИКИ". 16.30** "Фабрика звезд". **17.00** "Пять вечеров". Среда. **18.20** "Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко. **20.00** Сериал **"ЧЕРНЫЙ ВОРОН". 21.00** Время. **22.40** Спецназ. "По золотому следу". **23.30** Ночное "Время". **23.50** "Фабрика звезд". **00.20** "Сканер". **00.50** Док. фильм "Гонки по вечной мерзлоте". **01.20** Остросюжетный фильм **"БИТВА ЗА ГАЛАКТИКУ"**. Фильм 2-й. **03.05** Джон Стэмос в комедии **"КАК ЖЕНИТЬСЯ НА МИЛЛИАРДЕРШЕ". 04.40** Сериал **"ДОКТОР КУИНСИ".**

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **10.00,13.00, 16.00, 19.00, 00.30** "Сегодня" **10.15** Преступление в стиле "модерн": полонез вокруг Огинского. 10.50 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-VI". **13.35 Сериал "АДВОКАТ". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25 Премьера. Сериал "ФАБРИКА ГРЕЗ". 8-я с. 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40 Александр Балуев в сериале "ГРАФ КРЕСТОВСКИЙ". 1-я с. 20.50** Игорь Лагутин в сериале **"КОДЕКС ЧЕСТИ". 1-я с. 22.00** "Страна и мир". **22.40 Премьера. Сериал "СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ" 23.15** "Школа злословия". Ток-шоу **00.45 Сериал "СКОРАЯ ПОМОЩЬ" 01.45 Боевик "ШИРИ" (Южная Корея).**

## იაპონური ხატვა



## სკანვორდი



1. ცისფერი ძვირფასი ქვა; 2. ძალის საზომი ერთეული; 3. რუსი კინომსახიობი; 4. რამდენიმე მუსიკალური ბგერის ჰარმონიული შეერთება; 5. გ. პატარაიას მოკლემეტრაჟიანი ფილმი; 6. რუსი ვიოლონჩელისტი და დირიჟორი; 7. საკონდიტრო ნაწარმი; 8. სპორტული, საფარიკაო ხმალი; 9. მ. ლერმონტოვის პოემა; 10. მაგარი კრისტალური ქანი, საშენი მასალა; 11. ჯილდო შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის; 12. მცირეალკოჰოლიანი სასმელი; 13. მსახიობის მიერ განსახიერებული პერსონაჟი; 14. ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა ფეხსაცმელი; 15. იტალიელი მცველი, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი; 16. პოლონელი მწერალი-ფანტასტი; 17. ამერიკელი პიანისტი, ჯაზური მუსიკის ოსტატი; 18. ხილული საზღვარი ცასა და დედამიწას შორის; 19. სიხშირის საზომი ერთეული; 20. იტალიელი კინომსახიობი ქალი; 21. სახელმწიფო დაწესებულების მოსამსახურე მეფის რუსეთში; 22. მამაკაცის თავსაბურველი მუსლიმანურ ქვეყნებში; 23. აგამემნონის ძმა, ელენეს ქმარი ბერძნულ მითოლოგიაში; 24. მუსიკალური ინტერვალი; 25. ახლომხედველობა; 26. შ. პეროს ზღაპარი; 27. მკაცრი, სასტიკი მმართველი; 28. საგრაფო და ქალაქიშოტლანდიაში; 29. ციხე-სიმაგრის გარშემო შემოვლებული კედელი; 30. გერმანელი იმპერატორების ტიტული; 31. ინსტრუმენტული მუსიკის ჟანრი; 32. ლიტვის საკალათბურთო კლუბი; 33. ეთიოპიის ძველი სახელწოდება; 34. სასიამოვნო საქმის აღსანიშნავი პურმარილი.

# ინტერნეტში ჯონ ლენონის ხელოვნური ინტელექტი ცოცხლობს

მამუკა ქირია

ახლა რასაც მოგიყვებით, 1999 წელს დაიწყო და დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს ინტერნეტსამყაროში. საქმე ეხება ფირმის Triumph PC ONLINE-ის მიერ შემუშავებულ პროექტს. Persona-Bots ტექნოლოგიის საშუალებით ფირმის დირექტორმა დევიდ მეგინმა ჯონ ლენონის "გაცოცხლება" გადაწყვიტა. ზემოთ ხსენებული ტექნოლოგიის საფუძველზე ნებისმიერი სუბიექტის "ხელოვნური ინტელექტი" იქმნება და შესაბამისად, სავარაუდო კითხვებზე პასუხებით უზრუნველყოფა მიმდინარეობს.

როდესაც ბაზა სათანადოდ გაივსება ყველა საჭირო ინფორმაციით, რომელიც შეესაბამება კონკრეტული სუბიექტის ხასიათსა და პროფესიას, ჩვენ შეიძლება სასურველი ცნობილი პიროვნება რომელიმე "საჩეთაო" პროგრამით ვიპოვოთ. არსებობს უკვე მსგავსი სერვისები ინტერნეტში, გნებავთ ფასიანი, გნებავთ უფასოც. რა თქმა უნდა, განსხვავება დიდია. მაგრამ რაც მთავარია, ვერ გაარჩევთ ის ადამიანია თუ რობოტი. არ არის გამორიცხული რომელიმე ცნობილი, გარდაცვლილი ადამიანი გამოგეხმაუროთ "მირკის" ან ICQ-საშუალებით. მაგალითისთვის, თქვენ შეგიძლიათ ვირტუალურად ესტუმროთ ამერიკის პრეზიდენტს და მას სთხოვოთ თეთრი სახლის დათვალიერება, ის ყველა კითხვაზე გიპასუხებთ; ან კიდევ რომელიმე მხატვარ-იმპრესიონისტს შეგიძლიათ გაესაუბროთ იმდროინდელ გალერეებზე და გამოფენებზე.

რაც Triumph PC ONLINE-მა ეს საქმე წამოიწყო, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და აგერ უკვე თითქმის სრულყოფილი "ხელოვნური ინტელექტის" ტექნოლოგია შემოგვთავაზა. ვინ წარმოიდგენდა, რომ ჯიბის კომპიუტერის მეშვეობით სკოლაში, გაკვეთილზე მოსწავლეს მეჩვიდმეტე საუკუნის მემატიანესთვის იმდროინდელი ამბები ეკითხა და შემდგომ მასწავლებლისთვის მოეყოლა. ამჟამად, მიმდინარეობს ხმის დადებაზე საუბარი, რომელიც რა თქმა უნდა, ძალიან დიდ რესურსს მოითხოვს, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. Triumph PC ONLINE-ს დიდი გამოცდილება და წარმატება აქვს ამ საქმეში. მომავალში კი იმედია უამრავ სიურპრიზებს შემოგვთავაზებს.




" კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ"

2004 წლის 1 ოქტომბრიდან აცხადებს სტუდენტების მიღებას სოციალური თერაპიის სემინარში.
სემინარის მიზანია სოციალ-თერაპევტების აღზრდა, რათა მათ შეძლონ მუშაობა განვითარების შეფერხების მქონე მოზრდილ პირებთან.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ მისამართზე:
ძმები უბილავების ქ.8
ტელ: 77-54-85, 77-63-07, 877-41-55-71, ელ.ფოსტა: **heim@heim.ge**

Save the Children USA

## ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროექტი თოჯინების დადგმის რეჟისორთა კონკურსი

"Save the Children" ("ფედერაცია გადავარჩინოთ ბავშვები") ახორციელებს ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროექტს საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. პროექტი ფინანსდება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშOრისო განვითარების სააგენტოსა (USAID) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ (SDC). პროექტი მიზნად ისახავს ბავშვებში ტოლერანტობისა და კრიტიკული აზროვნების უნარის გამომუშავებას პიროვნებათაშორისი და საზოგადოებრივი კონფლიქტების გადაჭრის საქმეში, ასევე კულტურათაშორისი ურთიერთობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

"Save the Children" აცხადებს თოჯინების დადგმის რეჟისორთა კონკურსს ბავშვთა სატელევიზიო სერიებისათვის. სატელევიზიო სერიები შეიქმნება ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში. თოჯინების დადგმის რეჟისორი მოახდენს დადგმების შექმნის მთლიან ორგანიზებას, მის მოვალეობაში შევა თოჯინა-პერსონაჟების შექმნა, მხატვრების, მეთოჯინეების, დეკორატორების, მუსიკალური გამფორმებლების და სცენარისტების მუშაობის კოორდინაცია. რეჟისორი Mმჭიდროდ ითანამშრომლებს Bბავშვთა ტოლერანტობის პროექტის კოორდინატორთან და ტელევიზიასთან.

**კვალიფიკაცია და კომპეტენცია**

1. ხანგრძლივი სამუშაო გამოცდილება თოჯინების დადგმების რეჟისურაში, სასურველია თოჯინების სატელევიზიო დადგმებში
2. გამოცდილება საბავშვო თოჯინების დადგმების რეჟისურაში
3. ორგანიზატორული უნარ-ჩვევები და დადგმების შექმნის პროცესის მართვის და ორგანიზების უნარი
4. ზოგადი ცოდნა სამოქალაქო საზოგადოების პრინციპებისა და დემოკრატიის შესახებ, ასევე საბავშვო საგანმანათლებლო, გასართობი ან შემეცნებითი პროგრამების სფეროში
5. ბავშვებისათვის ადვილად გასაგები, მიმზიდველი და საინტერესო თოჯინების დადგმების შექმნის უნარი
6. ქართული კულტურისა და ტრადიციების ღრმა ცოდნა
7. აზერბაიჯანელ და სომეხ კოლეგებთან კონსტრუქციული და კოლეგიალური ურთიერთობის უნარი
8. მტკიცედ განსაზღვრულ ვადებში მუშაობის უნარი
9. მოქნილობა, კრიტიკული აზროვნება და კულტურათაშორისი ურთიერთობის უნარი
10. ქართული და რუსული ენების კარგი ცოდნა.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ რეზიუმე და სატიტულო გვერდი ბავშვთა ტოლერანტობის საგანმანათლებლო პროექტის კოორდინატორის მარინა უშვერიძის სახელზე, შემდეგ მისამართზე: "Save the Children" საქართველოს ოფისი, ბარათაშვილის ქ. 8, IV სართული, 0105, თბილისი;

**ფაქსი: (995 32) 99 89 43; ელ-ფოსტა: marina@save.org.ge**
**განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა 30 სექტემბერი, 2004.**

## განცხადება

**შპს "აჭარის ენერგოკომპანიის" დირექცია აცხადებს ღია ტენდერს სატრანსფორმაციო ზეთის (სერთიფიცირებული) შეძენაზე.**

ტენდერის საგანი:
1. სატრანსფერო ზეთი;
2. რაოდნობა 50-60 ტონა;
3. ტექნიკური მახასიათებელი მარკა T-1500

მომწოდებლის შერჩევის კრიტერიუმი:
1. ტექნიკური შესაბამისობა;
2. ღირებულება;
3. გადახდის პირობები;
4. მიწოდების ადგილი;
5. მომწოდებლის გამოცდილება მსგავსი შეკვეთების შესრულებაში.

გთხოვთ, თქვენი წინადადებები მოგვაწოდოთ ამა წლის 10 ოქტომბრამდე.
საკონტაქტო ტელეფონები:
Fax: (888222) 7-63-45
(888222) 7-63-46
Tel: 7-25-50
Mob: (877) 44-52 38.
გენერალური დირექტორი: რუსლან ხოროშვილი







მოსწავლეთა საყურადღებოდ!
საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი
„მზიური"
აცხადებს მოსწავლეთა და სტუდენტთა მიღებას
პერსონალური კომპიუტერის
შემსწავლელ ჯგუფებში
მიიღებიან V – XI კლასების მოსწავლეები
მისამართი: დ. უზნაძის (ყოფილი კამოს) №70
☎91-03-17; 29-48-61; 95-45-75

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: **WWW.mziuri.ge**

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.